

რუსეთი როგორც ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ევროკავშირის
ენერგოპოლიტიკის დივერსიფიკაციის პოლიტიკაში



მუსეიფ შავერდოვი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაცაბერიძე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მუსეიფ შავერდოვი

25.06.2021

ანოტაცია

წინამდებარე აკადემიურ ნაშრომში განხილულია თუ რა გამოწვევები ხვდება ევროკავშირს რუსეთის სახით ენერგოპოლიტიკის დივერსიფიკაციის პროცესში. უკვე ათწლეულებია ევროკავშირის წევრი ქვეყნები ძლიერ არიან დამოკიდებულები რუსეთიდან იმპორტირებულ ენერგორესურსებზე, როგორც არის გაზი და ნავთობი. ევროკავშირის რუსეთზე მაღალი დამოკიდებულების გამო რუსეთი მოცემულ უპირატესობას იყენებს საკუთარი საგარეო პოლიტიკური ამოცანების განსახორციელებლად ენერგორესურსების როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტის გამოყენების გზით. ეს კი ევროკავშირის რეგიონალურ საგარეო პოლიტიკურ ინტერესებში საერთოდ არ შედის. შესაბამისად, ევროკავშირის სუპრანაციონალური მოტივებიდან გამომდინარე ის დაინტერესებულია არსებული სტატუს-ქვოს შეცვლით. ამის უზრუნველსაყოფად კი ორგანიზაცია ცდილობს ენერგოპოლიტიკის დივერსიფიკაციას ახალი ენერგოპროექტების მხარდაჭერით და ასევე რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ენერგოპროექტების დაბლოკვით. თუმცა, რუსეთი აქტიურად ცდილობს ხელი შეუშალოს ზემოთ აღნიშნულ ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის დივერსიფიკაციის მცდელობებს. ამისათვის რუსეთი მიმართავს სხვადასხვა პოლიტიკურ ბერკეტებს. პირველი, რუსეთი აქტიურად ცდილობს შეაფერხოს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ის ენერგოპროექტები რომელთა მიზანიც არის კასპიის ზღვის რეგიონის ბუნებრივი აირის რუსეთის ტერიტორიის მიღმა სამხრეთ კავკასიის დერეფნის გამოყენებით იმპორტირება. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად შევხებით ნაბუკოს პროექტს, ნაბუკოს ვესტის და ტრანს-კასპიური მილსადენების პროექტებს. მეორე, რუსეთი თავად ახორციელებს ახალ ენერგოპროექტებს, რომელიც მიზნად ისახავს კიდევ უფრო მეტი მოცულობის ენერგორესურსების შეტანას ევროკავშირის ენერგო ბაზარზე, რომ ამით კიდევ უფრო მეტად გაზარდოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების რუსეთზე დამოკიდებულება. ამ ენერგო პროექტებში იგულისხმება სამხრეთის ნაკადი, ჩრდილოეთის ნაკადი და ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის პროექტები. სწორედ აღნიშნულ საკითხებზე პასუხების გასაცემად ნაშრომში განხილული იქნა რუსეთის და ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი სხვადასხვა ენერგოპროექტები და მათ გარშემო არსებულ პოლიტიკურ კონტექსტი. ამ გზით

შევეცდებით ნაშრომში ვაჩვენოთ თუ რა გზებით ცდილობს რუსეთი შეაფერხოს ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის დივერსიფიკაციის მცდელობები.

საკვანძო სიტყვები: *რუსული ენერგოპოლიტიკა, ევროკავშირის ენერგოდივერსიფიკაციის პოლიტიკა, ენერგოპროექტები.*

Annotation

This academic paper discusses what challenges the EU faces in the form of Russia in the process of diversifying its energy policy. For decades, EU member states have been heavily dependent on energy resources coming from Russian territory such as oil and gas. Due to the EU's high dependence on Russia, Russia is taking this advantage to pursue its foreign policy interests by using energy resources as a political tool. This is not in the EU's regional foreign policy interests at all. Accordingly, due to the supranational interests of the EU it is interested in changing the existing status quo. To ensure this, the organization seeks to diversify energy policy by supporting new energy projects and also by blocking Russian-backed energy projects. However, Russia is actively trying to interfere with EU energy policy diversification efforts. For this, Russia uses various political instruments. First, Russia is actively trying to block EU-backed energy projects which purpose is to import Caspian Sea natural gas bypassing Russia using the South Caucasus Corridor. To answer this question, we will discuss the Nabucco project, Nabucco West and Trans-Caspian pipeline projects. Russia itself is implementing new energy projects which purpose is to bring even more natural gas to the EU energy market. And in this way increase even more the EU's dependence on Russian gas. Such energy projects include South Stream, Nord Stream One and Nord Stream 2. In order to answer these questions, the paper discusses various energy projects supported by Russia and the European Union and the political context around them. In this way, we will try to show in our article how Russia is trying to hinder the EU's energy diversification efforts.

Keywords: *Russian energy policy, EU energy diversification policy, Energy projects.*

სარჩევი

თავი 1. შესავალი	7
1.1. თემის აქტუალობა	10

1.2.	კვლევის მიზნები და ამოცანები	11
1.3.	საკვლევი კითხვა	12
1.4.	ჰიპოთეზა და ცვლადების ოპერაციონალიზაცია.....	13
1.5.	კვლევის მეთოდოლოგია	14
1.6.	კვლევის თეორიული ჩარჩო.....	15
	სუ-ს ნეორეალიზმის თეორია.....	15
	ინტერგოვერმენტალიზმი.....	19
თავი 2.	ლიტერატურის მიმოხილვა.....	20
თავი 3.	კასპის ზღვის ენერგორესურსები და მათი მნიშვნელობა ევროკავშირისთვის და რუსეთისთვის	25
3.1.	ევროკავშირის დამოკიდებულება ენერგორესურსებზე	26
3.2.	რუსული ენერგორესურსები და მისი ენერგოპოლიტიკის გავლენა ევროკავშირზე	31
3.3.	კასპის ზღვის რეგიონის ენერგორესურსების როლი.....	34
თავი 4.	ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ენერგოპროექტები და რუსეთის ფაქტორი	37
4.1.	ევროპის ბუნებრივი აირის სამხრეთ დერეფნის კონცეფცია.....	37
4.2.	ნაბუკოს პროექტი.....	39
4.3.	ტრანს-კასპიური მილსადენის პროექტი.....	49
4.4.	ნაბუკო WEST VS ტრანს-ადრიატიკის მილსადენი.....	53
თავი 5.	რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ენერგოპროექტები და ევროკავშირის წევრი ქვეყნების არაკორდინირებული ენერგოპოლიტიკა.....	60
5.1.	სამხრეთის ნაკადი	61
5.2.	ჩრდილოეთის ნაკადი.....	66
5.3.	ჩრდილოეთის ნაკადი 2.....	69
დასკვნა		71
ბიბლიოგრაფია		79

თავი 1. შესავალი

ენერგორესურსები თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთ სასიცოცხლოდ აუცილებელ ნედლეულს წარმოადგენს. თუმცა, აღნიშნული რესურსები ქვეყნებს შორის არათანაბრად არის განაწილებული, რის შედეგადაც სახეზე გვაქვს ენერგორესურსებით ღარიბი და მდიდარი სახელმწიფოები. თანამედროვე პოლიტიკაში ენერგორესურსებით მდიდარი სახელმწიფოები მათ ხელში არსებულ უპირატესობას იყენებენ საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ხოლო ენერგორესურსებით ღარიბი ქვეყნები კი ცდილობენ დივერსიფიკაციის თუ სხვა ზომების მიღებით ნაკლებად იყვნენ

დამოკიდებული ენერგორესრუსებით მდიდარ ქვეყნებზე, რომ ამ გზით უზრუნველყონ საკუთარი პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხი. სწორედ მსგავსი ტიპის ურთიერთობა შეიმჩნევა რუსეთსა და ევროკავშირს შორის.

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს რუსეთ-ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის სფეროში არსებული ურთიერთდაპირისპირებული ინტერესები. აღნიშნული ორი გიგანტი აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური საკითხების გამო ერთმანეთის მოწინააღმდეგე აქტორები არიან. საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული რუსეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ნატოსა და ევროკავშირის რუსეთის მიმართულებით გაფართოების შეჩერება და პოსტ-საბჭოთა სივრცეში ძველი გავლენების აღდგენა. ხოლო ევროკავშირის საგარეო პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენდა „სამეზობლო პოლიტიკის“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფორმატების გამოყენებით ევროკავშირის გარშემო დემოკრატიული, სტაბილური და ეკონომიკური კეთილდღობის სახელმწიფოების განვითარების ხელშეწყობა. შესაბამისად, რუსეთ-ევროკავშირს შორის ბუნებრივად წარმოქმნილი გეოპოლიტიკური ინტერესთა კონფლიქტის გამო ორივე აქტორის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა თავიანთი საგარეო პოლიტიკური ინტერესების დაცვის მიზნით შესაბამისი ზომების მიღება. რუსეთი აქტიურად იყენებს ენერგორესრუსებს საკუთარი საგარეო პოლიტიკური ამოცანების განსახორციელებლად, რაც ევროკავშირის სუპრანაციონალურ ინტერესებში არ შედის. შესაბამისად, ევროკავშირის ცდილობს შეასუსტოს რუსეთის ენერგორესრუსების გავლენები ორგანიზაციის წევრ ქვეყნებზე. შედეგად კი ევროკავშირ-რუსეთს შორის ენერგოპოლიტიკის მიმართულებით ჩნდება სერიოზული დაპირისპირება, კერძოდ კი გაზის ენერგო დერეფნების გაყვანის საკითხებთან დაკავშირებით.

უკვე ათწლეულებია ევროკავშირის წევრი ქვეყნები ძლიერ არიან დამოკიდებულები რუსეთიდან იმპორტირებულ ენერგორესურსებზე (გაზი, ნავთობი), რაც მათ რუსეთის წინაშე დაუცველს ტოვებს. ხოლო რუსეთი, რომელსაც აქვს დიდი ამბიციები, აღნიშნულ უპირატესობას იყენებს საკუთარი საგარეო პოლიტიკური ამოცანების

განსახორციელებლად, რაც საერთოდ არ შეიძლის ევროკავშირის ინტერესებში. შესაბამისად ევროკავშირის სუპრანაციონალურ ინტერესებს წარმოადგენს არსებული სტატუს-ქვოს შეცვლა, სადაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები სულ უფრო ნაკლებად იქნებიან დამოკიდებულები რუსეთის ტერიტორიიდან მომდინარე ენერგორესურსებზე. აღნიშნული მიზნის მიღწევას ევროკავშირი ცდილობს ორი გზით: პირველი - ევროკავშირი ცდილობს არ დაუშვას რუსეთის მიერ მხარდაჭრილი ახალი ენერგოპროექტების განხორციელება; მეორე - ევროკავშირი მხარს უჭერს იმ ენერგოპროექტს, რომელიც მას რუსეთზე დამოკიდებულებას შეუმცირებს (ამ მხრივ განხილული იქნება მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ენერგოპროექტები).

ამ უკანასკნელთან მიმართებაში ევროკავშირის ერთ-ერთ სტრატეგიას წარმოადგენს „ევროპის ბუნებრივი აირის სამხრეთ დერეფნის“ კონცეფციის განხორციელება. ეს არის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობის მქონე სტრატეგია, რომელიც გულისხმობს რუსეთის გვერდის ავლით ახალი ენერგორესურსების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, რომელიც საბოლოო ჯამში ევროკავშირს რუსეთის ტერიტორიიდან მომავალ გაზე დამოკიდებულებას შეუმცირებს (European Commission Communication, 2008). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კასპის ზღვის რეგიონმა შეიძინა გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან მოცემულ რეგიონში ენერგორესურსებით მდიდარი ახალი სახელმწიფოები გაჩნდნენ, რომლებსაც სერიოზული წვლილის შეტანა შეუძლიათ ევროკავშირის რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირების მხრივ (10-20%). შესაბამისად, ევროკავშირი ათწლეულების განმავლობაში მხარს უჭერდა მრავალ ენერგოპროექტს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ კასპის ზღვის რეგიონის ენერგორესურსების რუსეთის გვერდის ავლით სამხრეთ კავკასიის დერეფნის გამოყენებით ევროკავშირის ტერიტორიაზე იმპორტირებას. თუმცა, ამ მიზნის განხორციელების გზაზე ევროკავშირს შეხვდა მრავალი გამოწვევა. მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა რუსეთის ფედერაცია, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით ცდილობდა ხელი შეეშალა ევროკავშირის გაზის დივერსიფიკაციის პოლიტიკისთვის.

1.1. თემის აქტუალობა

ევროკავშირის რუსეთზე დამოკიდებულება უკვე ათწლეულებია გრძელდება, რაც ევროპისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს. რუსეთი ენერგორესურსებს იყენებს როგორც პოლიტიკურ ინსტრუმენტს საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად, რაც ხშირ შემთხვევაში ევროკავშირის ინტერესებში არ შედის. შესაბამისად ევროკავშირისთვის და განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთ წევრი ქვეყნებისთვის რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. დასავლეთისთვის (ევროკავშირი) მნიშვნელოვანი არის ენერგორესურსების სტაბილურად და უსაფრთხოდ მიღება. თუმცა, ევროკავშირის რუსეთის ენერგო რესურსებზე მაღალი დამოკიდებულება საფრთხეს უქმნის მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხსაც. მას შემდეგ, რაც ევროკავშირი დარწმუნდა, რომ რუსეთი თავის ენერგო რესურსებს იყენებს პოლიტიკური მიზნებისთვის, რაც კარგად გამოჩნდა 2006, 2009¹ და 2014² წლების რუსეთ-უკრაინის კონფლიქტების დროს და ასევე, მრავალ სხვა ქვეყანასთან ურთიერთობაში, ევროკავშირისთვის სულ უფრო პრიორიტეტული გახდა რუსეთის ენერგო რესურსებზე დამოკიდებულების შემცირება. კერძოდ, ევროკავშირმა აქტიურად დაიწყო რუსეთის ალტერნატიული ენერგო სამარშრუტო გზების ძიება და ასევე, რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ენერგოპროექტების დაბლოკვა. ამ უკანასკნელთან მიმართებაში აღსანიშნავია ჩრდილოეთის ნაკადი, სამხრეთის ნაკადი და ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის ენერგოპროექტები, რომელბსაც ევროკავშირის ზოგიერთი წევრი სახელწმიფო აქტიურად აკრიტიკებდა და მათი განხორციელების წინააღმდეგ გამოდიდოდა. თუმცა, ჩრდილოეთ ნაკადის პროექტის განხორციელება წარამტებით მოხერხდა, ხოლო ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის ენერგოპროექტი კი დასრულების საბოლოო ეტაპზეა³. გარდა

¹ Fernandez, Rafael (2010). *“Nabucco and the Russian gas strategy vis-à-vis Europe”*.

<https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/14631377.2011.546976>

² Spiegel, P (2014). *“Brussels chiefs urge EU states to approve tough curbs on Russia”*. Retrieved from:

<https://www.ft.com/content/0ae68c40-142a-11e4-9acb-00144feabdc0>

³ რუსეთის პრემიერ მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ნოვას განცხადებით ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის მშენებლობა სავარაუდოდ 2021 წლის ბოლოსთვის დასრულდება. Kiselyova, Maria (2021). *“Russia within 62*

აღნიშნულისა, ევროკავშირისთვის რუსეთზე დამოკდიებულების შემცირების მხრივ მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ალტერნატიული ახალი ენერგოპროექტების მხარდაჭერაც. ამ მიმართულებით სწორედ სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო დერეფანი აღმოჩნდა გამოსავალი ევროკავშირისთვის, რომ კასპიის ზღვის მდიდარი ენერგორესურსები რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით მიედო. ამისათვის ევროკავშირი აშშ-სთან ერთად არაერთი ენერგოპროექტის ინიციატორი და მხარდამჭერი გახდა. ზოგიერთი ენერგოპროექტების წარმატებით განხორციელება მოხერხდა (ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი), ზოგიერთი კი განუხორციელებელი დარჩა (ნაბუკოს პროექტი, ტრანსკასპიური გაზსადენი).

ენერგოპოლიტიკის დევერსიფიკაციის პროცესში ევროკავშირს მრავალი გამოწვევა შეხვდა. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა რუსეთის ფედერაციაა, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით დღემდე ცდილობს ხელი შეუშალოს ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის დივერსიფიკაციის საკითხს. ამ პოლიტიკურ ინსტრუმენტებში იგულისხმება რუსეთის მხრიდან ალტერნატიული ენერგოპროექტების ინიცირება და მხარდაჭერა (ჩრდილოეთის ნაკადი, სამხრეთის ნაკადი, თურქული ნაკადი), ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ ენერგოპროექტებში მონაწილე სახელმწიფოების პოზიციების შეცვლის მცდელობები და ევროკავშირის ფრაგმენტული ენერგოპოლიტიკის თავის სასარგებლოდ გამოყენება. აღნიშნული მიზეზების გამო ევროკავშირის მიერ ინიცირებული და მხარდაჭერილი ენერგო პროექტები ან ვერ განხორციელდა ან ხანგრძლივი ვადით გადაიდო.

1.2. კვლევის მიზნები და ამოცანები

მოცემული კვლევის მიზანია დასაბუთებულად წარმოაჩინოს რუსეთი როგორც ერთ-ერთი მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის

miles of finishing Nord Stream 2 gas pipeline". Retrieved from: <https://www.reuters.com/business/energy/russia-says-nord-stream-2-pipeline-almost-complete-100-km-left-tass-2021-06-03/>

დივერსიფიკაციის პროცესში. ამისათვის კი შევისწავლით ევროკავშირის და რუსეთის მიერ მხარდაჭერილ ბუნებრივი აირის ენერგოპროექტებს. კერძოდ, პირველი, შევისწავლით იმ ენერგოპროექტებს რომელთა გამოყენებითაც რუსეთი ცდილობს ახალი ენერგო მარშრუტების გზით დამატებითი გაზის მარაგები შეიტანოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ენერგეტიკის ბაზარში, რომლის მიზანიც არის ევროკავშირის კვლავ რუსეთის გაზზე დამოკიდებულად შენარჩუნება; ხოლო მეორე, ხელი შეუშალოს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ იმ ენერგოპროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავენ რუსეთის გვერდის ავლით კასპიის ზღვის ენერგორესურსების სამხრეთ კავკასიის დერეფნის გამოყენებით იმპორტირებას. გარდა ამისა, ასევე აუცილებელია შევისწავლოთ რუსეთის მხრიდან სხვა გამოყენებული პოლიტიკური ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც ცდილობდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ენერგოპროექტების ჩაგდებას. ასეთ საკითხებად კი მოიაზრება სატრანზიტო ქვეყნებში უსაფრთხოების საკითხების გამძაფრება (მაგ: 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი), ევროკავშირის შიგნით ერთიანი ენერგო პოლიტიკის არ არსებობის თავის სასარგებლოდ გამოყენება და ბოლოს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ენერგოპროექტებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საკითხების დაბლოკვა (მაგ: ტრანს-კასპიური მილსადენი).

1.3. საკვლევი კითხვა

აღნიშნული კვლევის საკვლევი თემაა რუსეთის როლის გამოკვლევა ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის დივერსიფიკაციის შეფერხების საკითხში. ათწლეულებია ევროკავშირი ცდილობს რუსეთის ტერიტორიიდან მომავალ გაზზე დამოკიდებულების შემცირებას, რისთვისაც პირველი ის ცდილობს რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ენერგოპროექტების დაბლოკვას, ხოლო მეორე რუსეთის მიღმა არსებული ალტერნატიული ენერგოდერეფნების პროექტების განხორციელებას. ამ უკანასკნელთან მიმართებაში ერთ-ერთი ასეთი გზა არის კასპიის ზღვის ენერგორესურსების არა რუსეთის კონტროლირებადი ტერიტორიიდან იმპორტირება, არამედ მის მიღმა სამხრეთ კავკასიის დერეფნის გამოყენებით ახალი მილსადენების გაყვანა და მისი საშუალებით ევროპაში იმპორტირება. თუმცა,

ევროკავშირის ენერგო დივერსიფიკაციის გზაზე რუსეთი სხვადასხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით ცდილობს შეაფერხოს ევროკავშირის ენერგორესურსების დივერსიფიკაციის საკითხი. აქედან გამომდინარე ჩვენი საკვლევი კითხვა ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: *რა მთავარი გამოწვევები ხვდება ევროკავშირს რუსეთის სახით ენერგოპოლიტიკის დივერსიფიკაციის საკითხში.*

ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე აღნიშნული საკვლევი კითხვა ორ ქვეკითხვად შეიძლება ჩაიშალოს: 1) რა გზებით ცდილობს რუსეთი შეაფერხოს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ის ენერგოპროექტები, რომლებიც მიზნად ისახავენ რუსეთის გვერდის ავლით კასპიის ზღვის ენერგორესურსების ევროპაში იმპორტირებას? 2) როგორ ცდილობს რუსეთი მის მიერ მხარდაჭერილი ახალი ენერგოპროექტების განხორციელებით ხელი შეუშალოს ევროკავშირის რუსეთზე დამოკიდებულების შემცირების პოლიტიკაში?

1.4. ჰიპოთეზა და ცვლადების ოპერაციონალიზაცია

კვლევის ჰიპოთეზის უკეთ გასაგებად აუცილებელია გავიაზროთ რუსეთისა და ევროკავშირის ენერგოპოლიტიკების მთავარი მამოძრავებელი მოტივები, რომლებიც ურთიერთდაპირისპირებულია. ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის მთავარი მიზანია რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება, რომლის მიღწევასაც ცდილობს შემდეგი გზებით: პირველი, კასპიის ენერგორესურსების რუსეთის გვერდის ავლით იმპორტირებით და მეორე, რუსეთისთვის ევროკავშირის მიმართულებით ახალი ენერგოპროექტების განხორციელებაში ხელის შეშლით. თუ ევროკავშირი ამ ორი მიმართულებით მიაღწევს თავის მიზანს, მაშინ მისი საერთო საგარეო ენერგოპოლიტიკა (იგივე სუპრანაციონალური ინტერესები) არის წარმატებული. რაც შეეხება რუსეთს, ევროკავშირისგან საპირისპიროდ რუსეთის მთავარი მიზანია, რომ ევროკავშირი კვლავ მასზე დარჩეს დამოკიდებული, ხოლო ამისთვის რუსეთი მიმართავს ორ სტრატეგიას: 1) რუსეთმა ხელი უნდა შეუშალოს ევროკავშირის ნებისმიერ მცდელობას, რითაც რუსეთის გვერდის ავლით ახალი ენერგომილსადენების გაყვანას შეაფერხებს; 2) თავად რუსეთმა გაიყვანოს ახალი

ენერგომილსადენები, რითაც ევროკავშირის დამოკიდებულება რუსეთიდან მომდინარე გაზზე შენარჩუნდება ან გაიზრდება. შესაბამისად, ამ ვარიანტების განხორციელებით რუსეთი აღწევს თავის მიზანს, რადგან ევროკავშირში კვლავ მასზე დამოკიდებული რჩება პროცენტული მაჩვენებლებით, რის შედეგადაც რუსეთის ენერგოპოლიტიკა არის წარმატებული. იმისათვის, რომ რუსეთმა საკუთარი საგარეო ენერგოპოლიტიკის მიზანს მიაღწიოს ის აქტიურად იყენებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ფრაგმენტულ ეროვნულ ენერგოპოლიტიკას თავად ევროკავშირის სუპრანაციონალური ინტერესების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა არის შემდეგი: *რაც უფრო ფრაგმენტულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ენერგოპოლიტიკები ორგანიზაციის საერთო ენერგოპოლიტიკასთან მიმართებაში (კერძოდ რუსეთის გაზზე დამოკიდებულების შემცირების მიმართულებით), მით უფრო წარმატებულია რუსეთის ენერგოპოლიტიკა ევროკავშირის მასზე დამოკიდებულების შენარჩუნების პოლიტიკაში.*

ჰიპოთეზის დამოუკიდებელი ცვლადია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ფრაგმენტული ეროვნული ენერგოპოლიტიკები, რაც ნიშნავს, იმას, რომ შესაძლებელია ევროკავშირის რომელიმე წევრ ქვეყანას ჰქონდეს ევროკავშირის სუპრანაციონალური ინტერესებისგან განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ხედვა ენერგოპოლიტიკის მიმართულებით. რაც შეეხება ჰიპოთეზის დამოკიდებულ ცვლადს, ეს არის რუსეთის წარმატება ენერგოპოლიტიკაში. ამაში იგულისხმება ის, რომ რუსეთის ენერგოპოლიტიკა წარმატებულია მაშინ, როდესაც ევროკავშირი ვერ ახერხებს რუსეთის ტერიტორიიდან მომავალ ენერგორესურსების პროცენტული წილის შემცირებას.

1.5. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის დარგისა და სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილია თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენება. კვლევის დროს გამოყენებული იქნება პირველადი, მეორადი და მესამეული წყაროების ანალიზი. მასში იგულისხმება სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, მაღალი რანგის პირების განცხადებები, ოფიციალური დოკუმენტები და

ექსპერტთა მოსაზრებები. ასევე კონტენტ ანალიზის გამოყენებით შევეცდებით მოცემულ საკითხთან დაკავშირებული არსებული აკადემიური კვლევების, სტატიების და მედია საშუალებების მიერ ბეჭდური სახით არსებული ინფორმაციის მოძიებას და გამოკვლევას. გარდა ამისა, კვლევის დროს აუცილებელი გახდება კონკრეტული ქეისების შესწავლა და მათი შედარებითი ანალიზი. კონტენტ ანალიზის, ქეის-სთადის და შედარებითი ანალიზის ტექნიკების გამოყენებით შევეცდებით პასუხი გავცეთ კვლევის საკვლევ კითხვას და ჰიპოთეზას.

1.6. კვლევის თეორიული ჩარჩო

რუსეთ-ევროკავშირს შორის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების ასახსნელად გამოყენებული იქნება საერთაშორისო ურთიერთობების ნეორეალიზმის თეორია, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დიდი სახელმწიფოების ქმედებებზე საერთაშორისო პოლიტიკაში და ცდილობს ახსნას მათ შორის არსებული გეოპოლიტიკური ინტერესთა კონფლიქტის მიზეზები. ხოლო იმისათვის, რომ ავხსნათ რუსეთ-ევროკავშირის შორის არსებული ურთიერთდაპირისპირებული ენერგოპოლიტიკები, ამისთვის გამოვიყენებთ ნეორეალიზმის ჭრილში ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების თეორიას. გარდა აღნიშნული თეორიებისა, ასევე გამოყენებული იქნება ინტერგოვერმენტალიზმის თეორია ევროკავშირის სუპრანაციონალურ ინტერესებსა და ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ეროვნული ინტერესებს შორის დაპირისპირების ასახსნელად.

სუ-ს ნეორეალიზმის თეორია

ნეორეალიზმის იგივე სტრუქტურული რეალიზმის დამფუძნებელი არის კენეტ უოლცი, რომელსაც ეკუთვნის ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი „ადამიანი, სახელმწიფო და ომი“ და „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“. პირველ ნაშრომში უოლცი საუბრობს იმაზე, რომ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებას განაპირობებს არა ადამიანის ბუნება ან

სახელმწიფოს შიდა ვითარება, არამედ საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა, რის გამოც თითოეული სახელმწიფო უბრალოდ იძულებულია საკუთარ ეროვნულ ინტერესებს მივყენ. სახელმწიფოების ნაციონალურ ინტერესებს წარამოდგენს პირველრიგში თავიანთი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რეგიონალური ლიდერობის ხელსაყრელი ეკონომიკური კავშირების დამყარება (რონდელი 2006). რაც შეეხება უოლცის მეორე ნაშრომს, აღნიშნული ნაშრომის მიხედვით სტრუქტურული რეალიზმი შედგება 3 ძირითადი ელემენტებისგან: 1) სტრუქტურა - მასში იგულისხმება საერთაშორისო სისტემაში არსებული მთელი სისტემა, ხოლო სტრუქტურის ფორმის განმსაზღვრელი ფაქტორების სისტემაში არსებული ელემენტები როგორებიც არიან სახელმწიფოები. სტრუქტურის ფორმა გვაჩვენებს თუ როგორ არის განაწილებული ძალა საერთაშორისო სისტემაში - ძალთა წონასწორობის თეორია. აქედან გამომდინარე სისტემა შეიძლება იყო უნიპოლარული, ბიპოლარული და მულტიპოლარული. 2) სისტემა - ის არის მასში არსებული ელემენტებისა და სტრუქტურის ერთობლიობა. 3) სისტემის ელემენტები - სისტემის ელემენტებში იგულისხმება სისტემაში არსებული სახელმწიფოები (გვალა, 2008).

მას შემდეგ რაც 1991 წელს საბჭოთ კავშირი და სოციალისტური ბანაკი დაიშალა, საერთაშორისო სისტემა ბიპოლარული ძალთა წონასწორობის სისტემიდან უნიპოლარული ძალთა ბალანსის სისტემად გარდაიქმნა, სადაც მხოლოდ ერთადერთი სუპერსახელმწიფო აშშ დარჩა. აშშ-ს და ევროკავშირს ჰქონდათ საერთო იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური საგარეო ხედვა, რის გამოც ისინი ერთმანეთს სტრატეგიულ პარტიონებად მიიჩნევდნენ. საბჭოთ კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთმა დაკარგა მნიშვნელოვანი გავლენები: ტერიტორიები, სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერე და ა.შ. რუსეთის ასე დასუსტებმის გამო 1990-იანებში ოფიციალური მოსკოვი შედარებით რბილ საგარეო პოლიტიკას ატარებდა, რომელიც ემყარებოდა კოზირევის დოქტრინას (დასავლეთთან ინტეგრაცია, დემოკრატიის და თავისუფალი ბაზრის ღირებულებების შემოტანა...) (Litera, 1995). გამომდინარე იქიდან, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპაში გაქრა საბჭოთ კავშირის მსგავსი ძალის გავლენა და შეიქმნა ვაკუუმი, ამან გასაქანი მისცა დასავლეთს, რომ საკუთარი გავლენები გაეფართოვებინა. ეს გამოიხატა შემდეგ პოლიტიკებში: ევროკავშირისა და ნატოს

გაფართოებით აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით; კოსოვოს სერბეთისგან გამოყოფისა და მისი სუვერენული სახელმწიფოდ აღიარების საკითხით (რუსებისთვის სერბები იყვნენ მთავარი დასაყრდენი ბალკანეთის რეგიონში); ფერადი რევოლუციები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რაც რუსეთის ავტორიტარულ რეჟიმსაც საფრთხეს უქმნიდა და რუსეთი ამ რევოლუციების ავტორად დასავლეთს მიიჩნევდა; ასევე დასავლეთის მხრიდან განხორციელებული ენერგოპროექტებით, რომლებიც რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებას ითვალისწინებდნენ (ბაქო-სუფსას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-თბილისი-ერზურუმის, ნაბუკოს პროექტის დაგეგმვა). შესაბამისად, რუსეთის საგარეო პოლიტიკური ინტერესების შელახვის გამო რუსეთში თანდათანობით ძლიერდებოდა რეალიზმისთვის დამახასიათებელი საგარეო პოლიტიკური ხედვა. პირველად ის გამოჩნდა 1996 წელს პრიმაკოვის დოქტრინით, რაც გულისხმობდა აშშ-ს ჰეგემონობის დასრულებას და კვლავ მულტიპოლარულის სამყაროს შექმნას, პოსტ-საბჭოთ სივრცეში რუსული გავლენების და რუსეთის სუპერსახელმწიფოს პრესტიჟის აღდგენას. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში პრიმაკოვის დოქტრინის თანდათანობით რადიკალიზება ხდება დასავლეთთან სულ უფრო მეტი ინტერესთ კონფლიქტის შედეგად (Torbakov, 2000). იმისათვის, რომ რუსეთს საკუთარი საგარეო პოლიტიკური ინსტერესები დაეცვა, პუტინის ხელისუფლებამ დაიწყო ენერგორესურსების აქტიურად გამოყენება. 1990-იანებიდან მოყოლებული დასავლეთსა და რუსეთს შორის არსებული გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური უთანხმოების გამო მათ შორის გაქრა ნდობა, რამაც შექმნა უსაფრთხოების დილემის ვითარება. შესაბამისად, რუსეთი საკუთარი საგარეო პოლიტიკური ინტერესების დასაცავად იყენებს ნებისმიერ ხერხს, მათ შორის ენერგორესურსების ინსტრუმენტსაც.

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ენერგორესურსები, რომლებიც მათი სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე გავლენას ახდენენ თვით სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებზეც. ენერგორესურსები სახელმწიფოებს შორის ქმნიან ინტერესთა კონფლიქტს, რომელიც გადაიზრდება ხოლმე ურთიერთდაპირისპირებასა თუ ომში. ნეორეალიზმის თეორიტიკოსების მიხედვით საერთაშორისო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე

თითოეული სახელმწიფო საკუთარი ეროვნული ინტერესების მიხედვით მოქმედებენ, რომლებიც მზად არიან მათ ხელთ არსებული ნებისმიერი საშუალება გამოიყენონ ამისთვის. ენერგორესურსებიც სწორედ თანამედროვე პოლიტიკის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გამოდგა. შესაბამისად ბუნებრივია, როდესაც ენერგორესურსებით მდიდარი სახელმწიფოები ცდილობენ მათ ხელთ არსებული უპირატესობის საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენებას. ხოლო ენერგორესურსებით ღარიბი სახელმწიფოები კი ცდილობენ თავი დააღწიონ ამ ქვეყნების პოლიტიკურ გავლენებს. სწორედ მსგავსი ტიპის ურთიერთობები შეიმჩნევა ევროკავშირსა და რუსეთს შორის. აღნიშნულ საკითხს კარგად წარმოაჩენს ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების თეორია. ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების თეორიის შესახებ პირველად ისაუბრა ალბერტ ჰირშმანმა 1945 წელს „ეროვნული ძალაუფლება და საგარეო ვაჭრობის სტრუქტურის“ წიგნში (Hirschman, 1945). თეორიის მიხედვით ერთ სახელმწიფოს გააჩნია ღირებული რესურსი, რომელიც მეორე სახელმწიფოს არ გააჩნია და აუცილებლად სჭირდება. ასეთ ვითარებაში პირველი და მეორე სახელმწიფო ერთმანეთთან თანამშრომლობენ, ერთი შეხედვით ორივე ურთიერთდამოკიდებულია ერთმანეთზე - პირველი ყიდის თავის ღირებული რესურსს (მაგ: გაზი) და სანაცვლოდ იღებს მისთვის მნიშვნელოვან პროდუქტს (მაგ: ევროს კუპიურა), ხოლო ამის საპირისპიროდ მეორე ყიდულობს მისთვის ღირებულ რესურსს და გასცემს პირველისთვის საჭირო პროდუქტს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული ღირებული რესურსი ყველას არ გააჩნია ეს პირველ სახელმწიფოს აძლევს უპირატესობას მეორე სახელმწიფოსთან შედარებით, რაც წარმოშობს ასიმეტრიულ ურთიერთდამოკიდებულებას ამ ქვეყნებს შორის, სადაც მეორე სახელმწიფო დაუცველი რჩება პირველის წინაშე.

სწორედ მსგავსი ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულება შეიმჩნევა რუსეთ-ევროკავშირს შორის, რაც გამოიხატება ენერგოპოლიტიკის სფეროში. ევროკავშირი არის ღარიბი აქტორი ენერგორესურსების რეზერვების საკითხში, ხოლო ამის საპირისპიროდ რუსეთი ენერგორესურსებით მდიდარი სახელმწიფოა. იმისათვის, რომ ევროკავშირმა საკუთარი ენერგო მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს იძულებულია მისი ექსპორტირება

მოახდინოს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან, რის გამოც ევროკავშირი ძლიერ დამოკიდებული ხდება რუსეთის ენერგორესურსებზე. ხოლო ასეთი ვითარებით რუსეთს უჩნდება მძლავრი ინსტრუმენტი ენერგორესურსების სახით, რომელსაც ბოროტულად იყენებს საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. სწორედ, ამიტომ ევროკავშირი ცდილობს რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებას რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით ალტერნატიული ენერგომილსადენების პროექტების განხორციელებით. ხოლო ამის საპირისპიროდ რუსეთი ცდილობს ხელი შეუშალოს ევროკავშირის მოცემულ მცდელობებს, რომ ეს უკანასკნელი კვლავ მასზე დამოკიდებული დარჩეს და აღნიშნული ვითრება კვლავ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მრავალ ავტორს აქვს აკადემიური სტატიები გამოქვეყნებული. მათ შორის არიან ანდრეი დადალტი და სეო ჰუიან პარკი, რომლებიც ცდილობენ ჰირშმენის ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების თეორიის მისადაგებას რუსეთ-ევროკავშირს შორის არსებულ ენერგოპოლიტიკის ვითარების აღსაწერად (DaDalt, 2020).

ინტერგოვერმენტალიზმი

გარდა ნეორეალიზმის თეორიისა, ასევე გამოყენებული იქნება ინტერგოვერმენტალიზმის თეორია, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების და ევროკავშირის საერთო საგარეო პოლიტიკური ინტერესების ურთიერთდაპირისპირების ასახსნელად.

ინტერგოვერმენტალიზმის დამფუძნებელია სტენლი ჰოფმანი, რომელმაც ამით ახალ თეორიას დაუდო სათავე რომელიც ცდილობდა აეხსნა ევროკავშირის განვითარების ევოლუცია თუ რა მიზეზებმა გამოიწვიეს ევროპული გაერთიანების შექმნა და მისი ინტეგრაცია და გაფართოება. თეორიის მიხედვით სახელმწიფოები არიან მთავარი და რაციონალური აქტორები, რომლებიც საკუთარი ეროვნული ინტერესების მიხედვით მოქმედებენ და ქმნიან მთავრობათაშორის ორგანიზაციებს (მაგ: ევროკავშირი). ხოლო ევროკავშირისი მსგავს გაერთიანებაში ინტეგრაციული პროცესების თუ საგარეო

პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გადასცემენ ორგანიზაციას საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილს. ხოლო თუ აღნიშნული ეწინააღმდეგება მათ ეროვნულ ინტერესებს, მაშინ შესაძლოა გაერთიანების საწინააღმდეგო საგარეო პოლიტიკაც გაატარონ (Cini, 2010).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროკავშირი არ არის კლასიკური ტიპის უნიტარული სახელმწიფო, არამედ ის არის სუპრანაციონალური ორგანიზაცია, რომელიც შედგება 28 სუვერენული სახელმწიფოსგან. ხოლო თითოეულ ნაციონალურ სახელმწიფოს კი საკუთარი ეროვნული ინტერესები გააჩნია ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში. ეს მნიშვნელოვანია, რადგან უნიტარულობა გულისხმობს იმას, რომ საერთაშორისო სივრცეში თითოეული სახელმწიფო წარმოადგენს ერთიან პოლიტიკურ აქტორს, რომელსაც გააჩნია საერთო პოლიტიკა და, შესაბამისად, ცდილობს საკუთარი ეროვნული ინტერესების განხორციელებას. ევროკავშირის შემთხვევაში კი მის თითოეულ წევრს აქვს საკუთარი საგარეო პოლიტიკა თითოეულ საკითხთან მიმართებაში, რაც ევროკავშირს ერთგვარად აკარგვინებს უნიტარულობის ელემენტს. თუმცა, ამის მიუხედავად ევროკავშირს მაინც გააჩნია საერთო ეროვნული ინტერესები, რასაც აქლერებენ ევროკავშირის ინსტიტუტები - ევროკავშირის საბჭო, ევროპარლამენტი, ევროკომისია. შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში ევროკავშირის საერთო ინტერესებსა და მისი წევრი სახელმწიფოების ინტერესებს შორის იქმნება ინტერესთა კონფლიქტი, რაც ნიშნავს იმას, რომ ასეთ ვითარებაში ევროკავშირი სხვა საგარეო პოლიტიკას ატარებს, ხოლო მისი ზოგიერთი წევრი სახელმწიფო კი სხვას.

თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა

ევროკავშირისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი საკითხი იყო ენერგორესურსების სტაბილურად და უსაფრთხოდ მიღება. განსაკუთრებით აღნიშნული საკითხი პრიორიტეტული გახდა 2006 და 2009 წლების რუსეთ-უკრაინის გაზის კონფლიქტის პერიოდში რუსეთის როგორც არასანდო პარტნიორის იმიჯის დანახვით. ამის საფუძველზეც სულ უფრო მეტად გაძლიერდა ევროკავშირის და მისი წევრი სახელმწიფოების თვალში რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება ალტერნატიული ენერგოპროექტების ხელშეწყობით. თუმცა, ევროკავშირს ამ გზაზე მრავალი გამოწვევა შეხვდა, რომელთა შორისაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაღობა იყო რუსეთის მიერ განხორციელებული პოლიტიკები. რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი იყო ხელი შეეშალა ევროკავშირისთვის რომ რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით ვერ განეხორციელებინა ახალი ენერგოპროექტები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს დიდი დაინტერესება პოლიტიკოსებსა და მკვლევარებს შორის, რის საფუძველზეც დაიწერა მრავალი აკადემიური სტატია.

არსებობს ბევრი აკადემიური სტატია უცხოელ მეცნიერთ შორის და ასევე საერთაშორისო ენერგეტიკული ორგანიზაციის ანგარიშები, რომელთ მიხედვითაც კასპიის ზღვის ენერგეტიკულ რესურსებს მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია ევროკავშირის კერძოდ კი გაზის ბაზრის დივერსიფიკაციის საკითხში. თუმცა, ამ გზაზე მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორად ასახელებენ კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის გაურკვეველობას, რაც ხელს უშლის ზღვაში გაზის ინფასტრუქტურის მშენებლობას, მის მოპოვებას და ტრანსპორტირებას რუსეთის გვერდის ავლით სამხრეთ კავკასიის დერეფნის გამოყენების გზით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე აკადემიკოსის ერთობლივი ნაშრომი „კასპიის ქვეყნების მნიშვნელობა ევროკავშირის ენერგო უსაფრთხოებაში“, რომელშიც ავტორები ხაზს უსვამენ აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უზბეკეთის და თურქმენეთის ენერგორესურსების პოტენციალსა და მის იმპორტირებაზე ევროპის მიმართულებით. ასევე ისინი საუბრობენ, თუ რა მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ აღნიშნულ ქვეყნებს ევროკავშირის რუსეთის გაზზე დამოკიდებულებებს შემცირების მიმართულებით. თუმცა, მიუხედავად მოცემული

ქვეყნების დიდი სურვილისა, რომ მათ რუსეთის გვერდის ავლით განახორციელონ გაზის მიწოდება ევროპული ქვეყნებისთვის, მათი ყველაზე დიდი წინააღმდეგობა არის ენერგო მილსადენების არ არსებობა, უსაფრთხოების საკითხების პრობლემები, და სხვა პოლიტიკური თუ ბაზრის გაურკვევლობის საკითხები. ავტორების ხედვით კასპიის ზღვაში ენერგოდერეფნის გაყვანას მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია ევროკავშირის რუსეთზე დამოკიდებულების შემცირების მხრივ. სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო რუსეთი არის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე, რომ განხორციელდეს ტრანს-კასპიური მილსადენი, რომელიც თურქმენულ და ყაზახურ ენერგორესურსების იმპორტირებას უზრუნველყოფდა რუსეთის გვერდის ავლით (Ibrayeva, 2018).

მაიკლ ფურმანის სტატიაში საუბარი მოცემული კვლევისთვის საინტერესო საკითხზე, რომლის მიხედვითაც რუსეთი და ირანი ტრანს-კასპიური ენერგო პროექტის განხორციელების აქტიური მოწინააღმდეგეები იყვნენ 1991 წლებიდან მოყოლებული. ამის მიზეზი იყო ის, რომ არცერთ მათგანს არ სურდა ალტერნატიული სანავთობო მილსადენების გაჩენა, რომელიც კონკურენციას გაუწევდა. რუსეთისთვის კი მოცემული მილსადენი საფრთხეს უქმნიდა მის მონოპოლიურ მდგომარეობას აღმოსავლეთ ევროპაში გაზის მიწოდების მიმართულებით. ამიტომ რუსეთი და ირანი აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ მოცემულ პროექტს და მიზეზად ასახელებდნენ კასპიის ზღვის საზღვრების დაუდგენლობას, რაც შეუძლებელს ხდიდა მილსადენის გაყვანას კასპიის ზღვაზე. თუმცა მას შემდეგ რაც 2018 წელს კასპიის ზღვის საზღვრების შეთანხმება მოხდა, ისინი მიზეზად ასახელებდნენ ეკოლოგიურ საკითხებს, რომ მოცემული პროექტის გაყვანა დააბინძურებდა კასპიის ზღვას. რა თქმა უნდა მოცემული არგუმენტები რეალურად საბაზს წარმოადგენდა და მის უკან სხვა პოლიტიკური მოტივები იმალებოდა (Fuhrmann, 2019).

ტრანს-კასპიური მილსადენის დაბლოკვის გარდა, რუსეთი სხვა გზებითაც ცდილობს ხელი შეუშალოს კასპიის ენერგორესურსების იმპორტირებას. ეს გზა არის რუსეთის მხრიდან ტრანზიტ ქვეყნებში უსაფრთხოების და სტაბილურობის პრობლემების შექმნა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კორნელი კაკაჩიას ეკუთვნის აკადემიური ნაშრომი „სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევები რუსეთ-საქართველოს

კონფლიქტის შემდეგ: ჰეგემონური სტაბილურობა ან ახალი პარტნიორობა“, რომელშიც ის საუბრობს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კასპიის ზღვის რეგიონის ენერგეტიკული რესურსები მსოფლიოს წამყვანი ძალებისთვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიასა და კასპიის ზღვის რეგიონებში შეიქმნა ძალის ვაკუუმი, რის შემდეგადაც აშშ და ევროკავშირი დაინტერესდნენ აღნიშნული რეგიონით მისი მდიდარი ენერგორესურსების გამო. თუმცა, რეგიონში სტრატეგიული ვითარება მკვეთრად შეიცვალა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რადგან რუსეთს მიეცა შესაძლებლობა, რომ დასავლეთისთვის დაებლოკვა ცენტრალური აზიის და კასპიის ზღვის ენერგორესურსებზე ხელმისაწვდომობა. აღნიშნულმა ომმა წარმოაჩინა ახალი რისკები და საფრთხის ქვეშ ჩააგდო არა მარტო რეგიონში არსებული ენერგოდერეფნების უსაფრთხოება, არამედ ევროკავშირის მიერ გაცილებით უფრო გრანდიოზული ნაბუკოს პროექტის განხორციელების საკითხიც (Kakachia, 2011).

ნაბუკოს პროექტის უმთავრესი პოლიტიკური მიზანი იყო რუსეთის გაზზე დამოკიდებულების შემცირება, განსაკუთრებით კი ევროკავშირის აღმოსავლეთ წევრი ქვეყნებისთვის, რომლებიც ძლიერ იყვნენ დამოკიდებულები რუსეთიდან იმპორტირებულ გაზზე. ნაბუკოს პროექტის განხორციელება რუსეთისთვის ორმაგ გამოწვევას ქმნიდა. პირველი იყო რუსეთის გაზის მონოპოლიის შესუსტება ევროკავშირის ენერგეტიკის ბაზარზე, ხოლო მეორე იყო რუსეთის გავლენების შესუსტება თავად კასპიის ზღვის ენერგორესურსებით მდიდარ ქვეყნებში (თურქმენეთი, ყაზახეთი), რადგან ტრანს-კასპიური მილსადენის განხორციელებით აღნიშნული სახელმწიფოები ნაკლებად იქნებოდნენ დამოკიდებულები რუსეთის ენერგო ინფრასტრუქტურაზე. შესაბამისად რუსეთისთვის ორმაგ მოტივაციას წარმოადგენდა ნაბუკოს პროექტის ჩაგდებისთვის სხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებაც. ამ მხრივ რუსეთის ინსტრუმენტს წარმოადგენდა მის მიერ კონტროლირებადი გაზპრომის მიერ ინიცირებული სამხრეთის ნაკადის ენერგოდერეფნის განხორციელება. აღნიშნულ საკითხზე აკადემიური სტატია ეკუთვნის რაფაელ ფერნანდესს, რომლის ხედვითაც სამხრეთის ნაკადის განხორციელებას შეუძლია

არაპირდაპირი გზით შეასუსტოს ნაბუკოს პროექტის პოზიციები და ასევე გაზარდოს რუსეთის მონოპოლია ცენტრალური ევროპის გაზის ბაზარზე (Fernandez, 2010).

2013 წელს ნონა მიქელაძე თავის აკადემიურ სტატიაში „გამარჯვებული არის ტაპ-ი: ევროკავშირის წარუმატებელი პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“ საუბრობს ნაბუკო ვესტის და ტრანს-ადრიატიკის მილსადენის პროექტების კონკურენციის შესახებ, რომელშიც საბოლოოდ რუსეთი გამოდგა გამარჯვებული. ავტორის ხედვით ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ნაბუკო ვესტის პროექტი ითვალისწინებდა იმ ქვეყნებში დამატებითი გაზის ტრანსპორტირებას, რომლებიც რუსეთზე მაღალი დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ. თუმცა, პროექტი ჩავარდა ნაწილობრივ რუსეთის მხრიდან აზერბაიჯანზე განხორციელებული ზეწოლის გამო (აზერბაიჯანმა რუსეთის არ გაღიზიანების მიზნით არჩევანი ტრანს-ადრიატიკის მილსადენზე შეაჩერა). შედეგად საბოლოოდ არჩეული იქნა ტრანს-ადრიატიკის პროექტი, რომელიც გაზს მიაწვდიდა ევროკავშირის სამხრეთ ნაწილში, რომლებიც შედარებით უფრო ნაკლებად იყვნენ რუსეთზე დამოკიდებულები, რის გამოც ენერგოპოლიტიკის მიმართულებით რუსეთს არ ჰქონდა მნიშვნელოვანი ენერგო ბერკეტები მათ წინააღმდეგ (საბერძნეთი, ალბანეთი, სამხრეთ იტალია). შედეგად რუსეთმა შეინარჩუნა საკუთარი მონოპოლია ისეთ ქვეყნებზე როგორც არის ბულგარეთი და ავსტრია. ავტორის ხედვით მართალია, რომ ტრანს-ადრიატიკის მილსადენის მომავალში გაფართოება იგეგმებოდა, რითაც ის რუსეთის ალტერნატიულ გაზს მიაწვდიდა მონტენეგროს, ბოსნია და ჰერცეგოვინას და ჩეხეთის მსგავს ქვეყნებს, მაგრამ სანამ ეს განხორციელდებოდა მანამდე რუსეთი სამხრეთ ნაკადის პროექტის განხორციელებით კიდევ უფრო ღრმად გაიდგამდა ფესვებს ამ ქვეყნებში (Mikhelidze, 2013).

ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის დივერსიფიკაციის კონტექსტში, რუსეთი არა მარტო ცდილობდა შეეფერხებინა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ენერგოპროექტები, არამედ თავადვე ცდილობდა ახალი მილსადენების გაყვანას, რომლებიც კიდევ უფრო მეტად გაზრდინენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების რუსეთიდან იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე დამოკიდებულებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ანდრეას გოლდთაუ-ს აკადემიური ნაშრომი „ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის შეფასება: რეგულირება, გეოპოლიტიკა და ენერგო

უსაფრთხოება ევროკავშირში, ცენტარლურ-აღმოსავლეთ ევროპაში და დიდ ბრიტანეთში“. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი სხვა საკითხების გარდა ყურადღებას ამახვილებს ჩრდილოეთ ნაკადი ერთი და ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის სამომავლო პოლიტიკურ გავლენებზე გერმანიის და ზოგადად ევროკავშირის მიმართ. მოცემული ორი პროექტი ერთობლივად ევროკავშირის ენერგო ბაზარზე შეიტანს 110 მლრ მ³ ბუნებრივ აირს, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის პოზიციებს რუსეთთან მიმართებაში საკმაოდ შეასუსტებს. მიუხედავად აშშ-ს და აღმოსავლეთ ევროპის 9 სახელმწიფოს მცდელობებისა, რომ ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის პროექტი არ განხორციელდეს, გერმანია ჯიუტად აგრძელებს პროექტის დაცვას. ხოლო საკუთარი ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილების სანაცვლოდ ზიანს აყენებს ევროკავშირის სუპრანაციონალურ ინტერესებს (Goldthau, 2016).

თავი 3. კასპიის ზღვის ენერგორესურსები და მათი მნიშვნელობა ევროკავშირისთვის და რუსეთისთვის

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ენერგორესურსებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ის გამოიყენება როგორც ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელი ინდუსტრიული სექტორის ასამუშავებლად, ასევე ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ასევე, ენერგორესურსების მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე მან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საერთაშორისო პოლიტიკაშიც და გავლენას ახდენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაზეც. მსოფლიოს მრავალ ქვეყანას არ გააჩნია საკმარისი ბუნებრივი

რესურსები (ნავთობი, ბუნებრივი აირი...), რომ სახელმწიფოებმა თავადვე უზრუნველყონ თავიანთი მოსახლეობის ენერგო მოთხოვნილებები. რის გამოც ეს ქვეყნები იძულებულნი არიან ენერგო რესურსები შეისყიდონ სხვა სახელმწიფოებისგან, რომლებსაც ბუნებრივი ენერგო რესურსების უდიდესი მარაგები გააჩნიათ. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ამ ბუნებრივი რესურსების მომწოდებელი ქვეყნები თავიანთ უპირატესობას იყენებენ პოლიტიკური მიზნებისთვის. სწორედ მსგავსი ვითარება შეიმჩნევა ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში. ბოლო ათწლეულებია რუსეთმა საკუთარი ენერგო რესურსები არაერთხელ გამოიყენა როგორც პოლიტიკურ ბერკეტად ევროკავშირისა და მასთან დაახლოებულ ცალკეული ქვეყნების ინტერესების საწინააღმდეგოდ. სწორედ ამიტომ, ევროკავშირის უმთავრესი საზრუნავი გახდა რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება. თუმცა, სანამ ჩვენი საკვლევი კითხვის და ჰიპოთეზის კვლევაზე გადავიდოდეთ, მანამდე აუცილებელია მოცემულ თავში განვიხილოთ კონკრეტულად რატომ არის ევროკავშირ-რუსეთის ენერგოპოლიტიკები ურთიერთდაპირისპირებული. ამისთვის კი აუცილებელია პასუხი გავცეთ თუ რამდენად დამოკიდებულია ევროკავშირი რუსეთის ტერიტორიიდან მომავალ გაზსა და ნავთობზე, ხოლო რამდენად მნიშვნელოვანია რუსეთისთვის, რომ აღნიშნული რესურსების ექსპორტირება განახორციელოს მხოლოდ მის მიერ კონტროლირებად საზღვრებიდან (და არა მისი ტერიტორიების მიღმა არსებული დერეფნებით). ბოლოს შევეხებით კასპიის ზღვის გაზისა და ნავთობის რეზერვების და მათი პოტენციალის შესახებ, რომ კარგად გავიაზროთ თუ რატომ იბრძის ევროკავშირი და რუსეთი კასპიის ზღვის ენერგორესურსების მოსაპოვებლად.

3.1. ევროკავშირის დამოკიდებულება ენერგორესურსებზე

British petroleum-ის ოფიციალური გვერდიდან ვიგებთ, რომ ევროპის (ბელარუსის, უკრაინის, და რუსეთის გამოკლებით) ბუნებრივი გაზის რეზერვების ჯამური მოცულობა შეადგენს 1.7%-ს, ხოლო ნავთობის რეზერვები კი 0.8%-ს, რითაც ევროკავშირი არის ყველაზე ღარიბი რეგიონი გაზის და ნავთობის ენერგორესურსების რეზერვებით. თუმცა, ამის მიუხედავად ევროკავშირი არის ერთ-ერთი წამყვანი ბაზარი ენერგორესურსების

მოხმარების კუთხით (British Petroleum, Energy charting tool and app)⁴. მომავალში კი გაზზსა და ნავთობზე მოთხოვნილება კიდევ უფრო მეტად გაიზრდება, ხოლო ევროპის რეგიონში (რუსეთის და აზერბაიჯანის გამოკლებით) არსებული ენერგორესურსების რეზერვები კი თითქმის ამოიწურება (ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი). იმიასთვის, რომ ევროკავშირმა საკუთარი ენერგომოთხოვნილობები დაიკმაყოფილოს მას სჭირდება მოცემული ნედლეულის მის საზღვრებს გარეთ არსებული სხვა ქვეყნებიდან იმპორტირება. „eurostat“-ის მონაცემების მიხედვით, 2018 წელს ევროკავშირი ნავთობის 2/3-ის იმპორტირებას ახდენდა არა წევრი ქვეყნებიდან, კერძოდ რუსეთიდან 30%-ის, ერაყიდან 9%-ის, ხოლო საუდის არაბეთიდან, ნორვეგიიდან, ყაზახეთიდან და ნიგერიიდან 7-7%-ის. რაც შეეხება ბუნებრივი აირის იმპორტირებას, 2018 წლის მონაცემებით ევროკავშირი თავისი მოთხოვნილების 3/4-ს იკმაყოფილებდა მის გარეთ არსებული ქვეყნებიდან. კერძოდ ესენია: რუსეთი 40%, ნორვეგია 18% და ალჟირი 11% (Eurostat, 2019)⁵. ევროკავშირის მაღალი დამოკიდებულება ახალი ტრენდი არ არის და ის უკვე დიდი ხანია ასე გრძელდება. 2010-2020 წლებში ევროკავშირი რუსეთის ბუნებრივ გაზზე საშუალოდ დამოკიდებული იყო 34%-ით (Statista, 2021)⁶. რაც შეეხება ევროკავშირის რუსულ ნავთობზე დამოკიდებულებას ეს მაჩვენებელი 26.4%-ს შეადგენდა (Statista, 2021)⁷.

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს ევროკავშირის ენერგორესურსების მოთხოვნილების ყველაზე დიდი ნაწილის დაკმაყოფილებას ახდენს რუსეთის ფედერაცია. ხოლო არსებული ვითარება კი ევროკავშირის ინტერესებში არ შედის, რადგან რუსეთი ცნობილია, როგორც ენერგორესურსების პოლიტიკურ ინტსტრუმენტად გამოყენებაში. 2018 წელს გამოქვეყნდა დოკუმენტი „ენერგეტიკა როგორც საგარეო პოლიტიკური იარაღი ავტორიტარული სახელმწიფოების ხელში, კერძოდ რუსეთის“. აღნიშნული დოკუმენტის დამკვეთი იყო ევროკავშირის ერთ-ერთი ინსტიტუტის ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა

⁴ British Petroleum - Energy charting tool and app. Retrieved from: <https://www.bp.com/en/global/corporate/energy-economics/energy-charting-tool-desktop.html>

⁵ Eurostat - Retrieved from: <https://ec.europa.eu/eurostat/cache/infographs/energy/bloc-2c.html>

⁶ Statista (2021). Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/1021735/share-russian-gas-imports-eu/>

⁷ Statista (2021). Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/1021752/share-russian-petroleum-oil-imports-eu/>

კომიტეტი. დოკუმენტში ვკითხულობთ რუსეთის მიერ ენერგორესურსების პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნების მისაღწევად გამოყენების შესახებ. რუსეთი სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, როგორც არის ფასების პოლიტიკა, მომარაგების შეწყვეტა, მილსადენების აქტივების ფლობა, ხელშეკრულების შეზღუდვა და ალტერნატიული მილსადენების პროექტების განხორციელებით ცდილობს ზეწოლა მოახდინოს არა მარტო რუსეთის „ახლო სამეზობლოში“ არსებულ ქვეყნებზე, არამედ თავად ევროკავშირის წევრ ქვეყნებზეც. აღნიშნული მეთოდების გამოყენებით რუსეთი ენერგომილსადენების ტრანზიტსა და მოხმარებაში მონაწილე ქვეყნებს სჯის ან აჯილდოვებს. სჯის იმ ქვეყნებს, რომლებიც რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო საგარეო პოლიტიკას ატარებენ, ხოლო აჯილდოვებს იმ ქვეყნებს, რომლებიც რუსეთის სასარგებლოდ იღებენ გადაწყვეტილებებს (Korteweg, 2018). სწორედ ამიტომაც პუტინმა ერთხელ გაზპრომი დაახასიათა როგორც „ძლიერი გავლენის მქონე პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტრუმენტი დანარჩენ მსოფლიოზე“⁸ (Cohen, 2015).

როგორც ზემოთ ნაჩვენები სტატისტიკური მონაცემებიდანაც გამოჩნდა ევროკავშირი ძლიერ არის დამოკიდებული რუსეთის ტერიტორიიდან მომავალ ენერგორესურსებზე. თუმცა, ვითარების უკეთ გასარკვევად უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი არის არა ერთიანი სახელმწიფო აქტორი, არამედ ის არის სუპრანაციონალური ორგანიზაცია, რომელიც შედგება 28 სუვერენული სახელმწიფოსგან. ეს ნიშნავს იმას, რომ შესაძლოა ევროკავშირს ჰქონდეს საერთო საგარეო ენერგოპოლიტიკა, მაგრამ ასევე შესაძლებელია ის წინააღმდეგობაში მოდიოდეს ევროკავშირის წევრი ზოგიერთი სახელმწიფოს ინტერესებთან. ეს იმიტომ, რომ ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი სახელმწიფოსთვის შესაძლოა სულაც არ წარმოადგენდეს რუსეთზე დამოკიდებულება პრობლემას ან უბრალოდ მისი ბუნებრივი აირის ბაზარი საკმაოდ დივერსიფიცირებული იყოს, რაც რუსულ მონოპოლიას შეუძლებელს ხდიდეს. შესაბამისად ამის უკეთ გასაგებად, აუცილებელია გაავანალიზოთ არა მარტო ევროკავშირის ზოგადი დამოკიდებულება

⁸ ინგლისური ვარიანტი: a powerful political and economic lever of influence over the rest of the world.

რუსულ ენერგორესურსებზე, არამედ ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოს ცალკეული დამოკიდებულება რუსეთის ენერგორესურსებზე. რადგან რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ხარისხი გავლენას აქვდენს ამა თუ იმ ქვეყნის განსხვავებული საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზეც.

2012 და 2019 წლის სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით ავაგეთ დიაგრამა, რომელზეც კარგად გამოჩნდა უკვე 10 წლეულის განმავლობაში თუ რამდენად არიან დამოკიდებულები ევროკავშირის წევრი ქვეყნები რუსეთის გაზზე (იხ. დანართი N1). აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები როგორებიც არიან ფინეთი (2012 – 100%, 2019 – 100%), ლატვია (2012 – 100%, 2019 – 93%), ბულგარეთი (2012 – 89%, 2019 – 79%), ესტონეთი (2012 – 100%, 2019 – 79%), ჩეხეთი (2012 - 57%, 2019 - 71%), ავსტრია (2012 - 60%, 2019 - 64%), უნგრეთი (2012 – 80%, 2019 – 61%) და სხვა უფრო მეტად არიან დამოკიდებულები რუსულ ენერგო რესურსებზე ვიდრე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები (საფრანგეთი, ბენილუქსის ქვეყნები) (Statista, 2012, 2019)^{9,10}. ეს განსაკუთრებით საშიშია, რადგან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უფრო მეტად არიან ახლოს რუსეთის ტერიტორიულ საზღვრებთან, რითაც კიდევ უფრო მეტად დაუცვლები რჩებიან რუსეთისგან მომავალ საფრთხის წინაშე.

მოცემული ვითარება ძალიან საყურადღებო და მნიშვნელოვანია, რადგან ეს გავლენას ახდენს ზოგადად ევროკავშირის მტკიცე პოლიტიკურ კურსზეც. მაგალითად, ზოგადად როდესაც რაიმე გაერთიანების ყველა წევრს აწუხებს საერთო პრობლემა, მაშინ მათ ინტერესებშია ერთობლივი მოქმედებით აღნიშნული პრობლემის მალევე გადაჭრა. თუმცა, ვითრება მაშინ იცვლება, როდესაც გაერთიანების თითოეულ წევრს განსხვავებულად აწუხებს კონკრეტული პრობლემა. რადგან ამ შემთხვევაში მათ განსხვავებული პრიორიტეტები გააჩნიათ და შესაბამისად განსხვავებულად უდგებიან პრობლემის

⁹ Statista (2021). *“Share of gas supply from Russia in Europe in 2019, by selected country”*. Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/1201743/russian-gas-dependence-in-europe-by-country/>

¹⁰ Statista (2014). *“Selected countries' estimated reliance on natural gas supplied by Russia in 2012”*. Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/305395/natural-gas-supplied-by-russia-as-a-share-of-total/>

გადაჭრის საკითხსაც. მსგავსი მსჯელობის გადმოტანა შესაძლებელია ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების ურთიერთობების შემთხვევაშიც. ევროკავშირის წევრი ქვეყნები რუსულ გაზზე განსხვავებული პროცენტული მაჩვენებლებით არიან დამოკიდებულები, რის გამოც მათთვის რუსეთზე დამოკიდებულების პრობლემას განსხვავებული პრიორიტეტი ეძლევა. აღნიშნული საკითხი ძალიან კარგად გამოჩნდა რუსეთის მიერ მხარდაჭერილ ენერგოპროექტების დროს, როდესაც ევროკავშირის ზოგიერთ წევრ ქვეყნას გაერთიანების სუპრანაციონალურ ინტერესებთან შედარებით განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ (ამაზე დაწვრილებით შემდეგ თავში ვისაუბრებთ). როდესაც ევროკავშირის ზოგიერთი სახელმწიფო ნაკლებად არიან დამოკიდებულები რუსეთის ენერგორესურსებზე მათთვის მეორეხარისხოვანი ხდება რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირების საკითხიც, ხოლო პრიორიტეტულ ადგილს იკავებს რუსეთთან ეკონომიკური თუ სხვა სახის თანამშრომლობის წახალისება (საფრანგეთი, გერმანია, იტალია). გარდა აღნიშნულისა, როგორც წესი ეროვნულ სახელმწიფოებს უჭირთ საკუთარი სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილის ევროკავშირის მსგავსი სუპრანაციონალური ორგანიზაციისთვის გადაცემა. ხოლო როდესაც ის სახელმწიფოები, რომლებისთვისაც ნაკლებად წარმოადგენს პრობლემას რუსულ გაზზე დამოკიდებულება, მათ ნაკლები მოტივი აქვთ, რომ ევროკავშირის ინსტიტუტებს გადასცენ საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილი იმისათვის, რომ ამ გზით უკეთ დაიცვან სუპრანაციონალური ინტერესები. შესაბამისად ეს გავლენას ახდენს ზოგადად ევროკავშირის საერთო ენერგოპოლიტიკის წარმოებაზეც. რაც შეეხება იმ სახელმწიფოებს, რომლებისთვისაც დიდ პრობლემას წარმოადგენს რუსეთზე დამოკიდებულება, მათთვის უფრო მეტად პრიორიტეტულია, რომ ევროკავშირს ჰქონდეს ერთიანი ენერგოპოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც უფრო მეტად იქნებიან დაცული რუსეთის მხრიდან ენერგორესურსების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებისგან (მაგ: პოლონეთი, ბალტიის პირეთის ქვეყნები). აქედან გამომდინარე რუსეთზე ნაკლებად დამოკიდებული ეროვნულ სახელმწიფოებსა და რუსეთზე მეტად დამოკიდებულ სახელმწიფოებს შორის ინტერესთა კონფლიქტი ჩნდება, რაც აისახება კიდევ ევროკავშირის საერთო ენერგოპოლიტიკის სისუსტეშიც, რადგან პირველი ტიპის სახელმწიფოებმა შეიძლება

მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ევროკავშირის მიერ არჩეულ საერთო პოლიტიკას.

3.2. რუსული ენერგორესურსები და მისი ენერგოპოლიტიკის გავლენა ევროკავშირზე

ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირმა ძირითადი ენერგომილსადენების ინფრასტრუქტურის მოდიფიცირება იმდაგვარად მოახდინა, რომ რუსეთის ტერიტორიაზე და კასპიის ზღვის რეგიონში არსებული გაზი და ნავთობის რესურსები სწორედ რუსეთის ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირებულიყო. შესაბამისად იქედან მოყოლებული საბჭოთა კავშირი იყო არა მარტო მასში შემავალი სახელმწიფოების ძირითადი მომარაგებელი, არამედ კომუნისტურ ბანაკში შემავალი ყველა სახელმწიფოსი, რომელთაგანაც ზოგიერთი დღეს ევროკავშირის წევრი ქვეყნები არიან. ცივი ომის შემდგომ უკვე არსებული ძირითადი ენერგორესურსების ინფრასტრუქტურა შენარჩუნებული იქნა, რის შედეგადაც რუსეთმა მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური ბერკეტები ჩაიგდო ხელში. რადგან ის ქვეყნები, რომლებიც ენერგორესურსების ექსპორტირებას ახდენდნენ ევროპის მიმართულებით კვლავ რუსეთის ტერიტორიიდან მიმავალ მილსადენებზე დარჩნენ დამოკიდებულები. ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც აღნიშნული რესურსების მომხარებლები არიან, შესაბამისად კვლავ რუსეთის ტერიტორიიდან მიმავალ მილსადენებზე დარჩნენ დამოკიდებულები. მართალია, რომ 1990-იანების დასაწყისში რუსეთი შედარებით რბილ საგარეო პოლიტიკას ატარებდა, მაგრამ შემდგომ პერიოდებში, განსაკუთრებით კი პუტინის ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან, ენერგორესურსები კვლავ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ინსტრუმენტად იქცა რუსეთის მილსადენებზე დამოკიდებულ სახელმწიფოებზე ზემოქმედებისთვის (Rutland, 2008). რუსეთისთვის აღნიშნული ენერგორესურსები მნიშვნელოვანია საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და ასევე სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერისთვისაც.

ენერგორესურსების მარაგის კუთხით რუსეთი არის ძალიან მდიდარი სახელმწიფო. კერძოდ 2019 წლის მონაცემებით ბუნებრივი აირის მარაგებით რუსეთს აქვს მსოფლიოს 24.3%-იანი წილი, რითაც ის პირველ ადგილს იკავებს (Worldometer Group, 2020)¹¹. რაც შეეხება ნავთობის მარაგებით ის 4.8%-იანი წილით მერვე ადგილს იკავებს (Worldometer Group, 2020)¹². რუსეთი არის მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფო ნავთობის წარმოებაში, ხოლო ბუნებრივი აირის წარმოებაში კი მეორეა მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ რუსეთი ძლიერ არის დამოკიდებული საკუთარი ენერგო რესურსების ექსპორტირებიდან მიღებულ შემოსავლებზე. 2016 წლის მონაცემებით ნავთობიდან და ბუნებრივი აირიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს რუსეთის სახელმწიფო/ფედერალური ბიუჯეტის 36%-ს, რაც 1/3-ზე მეტია (U.S. Energy Information Administration (EIA), 2017). 2013 წლის მონაცემებით ბუნებრივი აირი და ნავთობი რუსეთის ექსპორტის 68%-ს შეადგენდა, ხოლო აქედან მიღებული შემოსავლები კი რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლების 50%-ს შეადგენდა (მინერალების, გაზის და ნავთობის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები) (U.S. Energy Information Administration (EIA), 2014). აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირის ენერგეტიკის ბაზარი მისი ეკონომიკური შემოსავლებისთვის. 2018 წლის მონაცემებით გაზპრომმა, რუსეთის სახელმწიფომ კომპანიამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მიაწოდა 200.8 მილიარდი მ³ გაზი (40% ევროკავშირის მთელი იმპორტის) (Gazprom, 2018). გაზის ექსპორტიდან რუსეთმა მიიღო 400 მილიონი ევრო შემოსავლების სახით. საბოლოო ჯამში ენერგორესურსების ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის 50%-ზე მეტი შეადგინა (Bogoviz, 2018). როგორც ვხედავთ რუსეთისთვის ეკონომიკური კუთხით ენერგორესურსების განუწყვეტლივ ექსპორტირება ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სიძლიერისთვის. აქედან გამომდინარე ბევრი ავტორი ფიქრობს, რომ როგორც ევროკავშირს სჭირდება რუსეთის ენერგო რესურსები, ასევე რუსეთს სჭირდება ევროკავშირის ენერგო

¹¹ Worldometer Group. “*Natural Gas Reserves by Country*”. Retrieved from: <https://www.worldometers.info/gas/gas-reserves-by-country/>

¹² Worldometer Group. “*Oil Reserves by Country*”. Retrieved from: <https://www.worldometers.info/oil/oil-reserves-by-country/>

ბაზარი საკუთარი ექსპორტისთვის. შესაბამისად მათ შორის არსებობს ურთიერთდამოკიდებულება. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე ვახსენეთ ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების თეორიის შესახებ, რომლის მიხედვითაც მართალია, რომ ორივე სახელმწიფო ერთმანეთთან ვაჭრობით ცვლის მათთვის ღირებულ პროდუქტს, მაგრამ როდესაც ერთ სახელმწიფოს გაცილებით უფრო ღირებული რესურსი გააჩნია (როგორც არის მაგალითად გაზი და ნავთობი), ხოლო მეორე სახელმწიფო კი დამოკიდებულია ამ ღირებულ რესურსზე, მაშინ ეს უკანასკნელი სახელმწიფო დაუცველი რჩება პირველის წინაშე.

ევროკავშირის სისუსტე კარგად გამოჩნდა 2009 წლის რუსეთ-უკრაინის გაზის კონფლიქტის დროს, როდესაც რუსეთმა გაზის მიწოდება შეწყვიტა უკრაინის მიმართულებით. 2009 წლისთვის ევროკავშირი რუსეთიდან წამოსული გაზის 80%-ს სწორედ უკრაინაში გამავალი მილსადენებით იღებდა. ხოლო რუსეთის მხრიდან გაზის შეწვეტამ ზიანი მიაყენა არა მარტო უკრაინას, არამედ მთლიანად ევროკავშირის 16 წევრ ქვეყანასაც. ზოგიერთ ქვეყანას ჰუმანიტარული ზიანიც მიადგა (ბალკანეთის ქვეყნები), ხოლო ზოგიერთს კი ეკონომიკური (უნგრეთი, სლოვაკეთი) (Fernandez, 2010). გარდა ამისა, ევროკავშირისთვის, რომ რუსული გაზის სასიცოხლოდ აუცილებელია ეს კარგად გამოჩნდა 2014 წელს რუსეთ-უკრაინის ომის დროსაც. მას შემდეგ რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და ყირიმის და დონბასი ოკუპაცია მოახდინა, მას სანქციები დაუწესეს აშშ-მ და ევროკავშირის ბევრმა წამყვანმა სახელმწიფომ, კერძოდ ფინანსების და ენერგეტიკის მიმართულებით (Spiegel, 2014). თუმცა, სანქციები არ შეხებია გაზისა და ნავთობის სფეროებს, რადგან როგორც ყველასთვის ცნობილია ევროკავშირის წევრი ქვეყნები ძლიერ არიან დამოკიდებულები რუსეთის ტერიტორიიდან მომდინარე ენერგორესურსებზე. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთს არ ემინია ევროკავშირის მხრიდან ენერგეტიკის მიმართულებით სანქციების მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიც ძლიერ არის დამოკიდებული აღნიშნულ ენერგორესურსების ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებზე. მეტიც, 2015 წლის თებერვალში რუსეთი დაიმუქრა კიდევ, რომ უკრაინას შეუწყვეტდა გაზის მიწოდებას, რეალურად კი ამით რუსეთი ირიბი გზით ევროპას ულტიმატუმს უყენებდა, რომ თუ არ

შეწყვეტენ უკრაინის საკითხში რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებას, მაშინ აუცილებლად დაისჯებოდნენ (Johnson, 2015). აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ენერგორესურსები როგორც პოლიტიკური იარაღი და მას შეუძლია მის ხელში არსებული უპირატესობა გამოიყენოს ევროკავშირის სუპრანაციონალური ინტერესების წინააღმდეგ.

3.3. კასპიის ზღვის რეგიონის ენერგორესურსების როლი

კასპიის ზღვის რეგიონი ენერგორესურსებით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რეგიონია. 2019 წლის მონაცემების მიხედვით დადგენილია, რომ რეგიონში დაახლოებით 300 ტრილიონი მ³-ი ბუნებრივი აირი და 50 მილიარდი ბარელი ნავთობია (Hajiev, 2019). შესაბამისად კასპიის ზღვის რეგიონი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონია, რის გამოც დიდ ყურადღებას იპყრობს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან, როგორებიც არიან აშშ, ევროკავშირი, რუსეთი, ჩინეთი და სხვა. კასპიის ზღვის რეგიონის ქვეყნებად მოიაზრებიან რუსეთი, აზერბაიჯანი, ირანი, ყაზახეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი (იხ. დანართი N2). თითოეულ მათგანს გააჩნია ენერგორესურსების მნიშვნელოვანი რეზერვები, რომელთა ექსპორტსაც ახორციელებენ როგორც აზიის მიმართულებით, ასევე ევროპის მიმართულებითაც.

აღსანიშნავია, რომ კასპიის ზღვის რეგიონის ქვეყნები როგორებიც არიან თურქმენეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი და აზერბაიჯანი მათ საგარეო პოლიტიკურ ინტერესებში შედის თავიანთი ენერგორესურსების ექსპორტის დივერსიფიკაცია, რომ ამ გზით უზრუნველყოფენ თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხი. შესაბამისად მათ ინტერესებშია, რომ რუსეთის გვერდის ავლით თავიანთი ენერგორესურსები მიაწოდონ ევროპასაც, რომ ამით თავიანთი საერთაშორისო ეკონომიკური თუ პოლიტიკური მნიშვნელობა გაზარდონ (გარაყანიძე, 2020). თუმცა, მიუხედავად ამისა, 2019 წლის მონაცემების მიხედვით ცენტრალური აზიის ქვეყნების გაზის ძირითადი მომხმარებლები არიან ჩინეთი და რუსეთი (Pirani, 2019). ეს უკანასკნელი სახელმწიფო სხვადასხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების

გამოყენებით ცდილობს ხელი შეუშალოს ცენტრალური აზიის ქვეყნებს, რომ თავიანთი ენერგორესურსები რუსეთის გვერდის ავლით არ მიაწოდონ ევროპას (მოცემულ საკითხს შეეხებით ტრანს-კასპიური მილსადენის ქვეთავში). რუსეთი ამ გზით აღწევს თავის 2 მთავარ საგარეო პოლიტიკურ მიზანს: 1) ცენტრალური აზიაში ინარჩუნებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ გავლენებს და არ აძლევს დასავლეთს შესაძლებლობას, რომ თავიანთი პოზიციები გაიმყარონ; 2) ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის ალტერნატიული ენერგომარშრუტების განვითარებაში ხელის შემწივით რუსეთი კვლავ ინარჩუნებს მონოპოლიას ევროკავშირის აღმოსავლეთ წევრი ქვეყნების ენერგეტიკის ბაზარზე.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთისა და ირანის გამოკლებით, დანარჩენ 4 სახელმწიფოს საკმარისი გაზის მარაგები გააჩნიათ, რომ მათ შეძლონ მნიშვნელოვანი კონკურენცია გაუწიონ რუსეთს თუ მათ საშუალება ექნებათ რუსეთის გვერდის ავლით მიაწოდონ საკუთარი ნედლეული ევროპის რეგიონს. მოცემულ ქვეთავში მოყვანილი სტატისტიკები ეხება არა კასპიის ზღვაში არსებული ენერგორესურსების რეზერვებს, არამედ მთლიანად ქვეყანაში ასრებულ რეზერვებს¹³. 2019 წლის მონაცემების მიხედვით აღნიშნული სახელმწიფოების გაზის მარაგები ასე გამოიყურება: თურქმენეთი 3.8% (მე-6-ე ადგილი გაზის რეზერვებით მსოფლიოში), ყაზახეთი 1.2% (მე-15-ე), უზბეკეთი 0.9% (მე-19-ე) და აზერბაიჯანი 0.5% (25-ე). საერთო ჯამში მოცემული ქვეყნები ფლობენ მსოფლიოში არსებული გაზის რეზერვების 6.4%-ს. თუმცა, ამ ქვეყნების გარდა კასპიის ზღვის რეგიონის ყველაზე მდიდარი გაზის რეზერვების მფლობელი სახელმწიფოები არიან რუსეთი 24,3% (პირველი ადგილი) და ირანი 17.3% (მეორე ადგილი) (Worldometer Group, 2020)¹⁴. რაც შეეხება ნავთობის მარაგებს: ყაზახეთი 1.8% (მე-12-ე ადგილი ნავთობის რეზერვებით მსოფლიოში), აზერბაიჯანი 0.42% (მე-20-ე), თურქმენეთი 0.036% (44-ე) და უზბეკეთი 0.036% (46-ე). ნავთობის მარაგების მხრივ აღნიშნული ქვეყნები ღარიბი სახელმწიფოები არიან. რაც

¹³ კასპიის ზღვაში არსებული რეზერვები, ქვეყნების მიხედვით, შეგიძლიათ იხილოთ აქ: Paul Kubicek (2013). Retrieved from: <https://journals.sagepub.com/doi/10.1016/j.euras.2013.03.007>

¹⁴ Worldometer Group. “Natural Gas Reserves by Country”. Retrieved from: <https://www.worldometers.info/gas/gas-reserves-by-country/>

შეეხება რეგიონის სხვა ქვეყნებს: ირანი 9.5% (მე-4-ე), რუსეთი 4.8% (მე-8-ე) (Worldometer Group, 2020)¹⁵.

როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ არსებობს ბევრი აკადემიური სტატია და ასევე საერთაშორისო ენერგეტიკული ორგანიზაციის ანგარიშები, რომელთა მიხედვითაც კასპიის ზღვის რეგიონს გააჩნია საკმარისი რაოდენობის ენერგორესურსები, რომელმაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ევროკავშირის გაზის ბაზრის დივერსიფიკაციის მიმართულებით. თუმცა, ავტორები ამ გზაზე ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ასახელებენ კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსს, რომელიც 2018 წლამდე გაურკვეველ ვითარებაში იყო. ეს გაურკვეველობა კი ხელს უშლიდა კასპიის ზღვაში ახალი ენერგო ინფრასტრუქტურების მშენებლობას. მოცემულ საკითხზე არსებობს მრავალი აკადემიური ნაშრომი, მათ შორის ერთ-ერთია რამდენიმე ავტორის მიერ შემოთავაზებული ერთობლივი ნაშრომი: „კასპიის ქვეყნების მნიშვნელობა ევროკავშირის ენერგო უსაფრთხოებაში“. აშნიშნულ ნაშრომში ავტორები ყურადღებას ამახვილებენ აზერბაიჯანის, თურქმენეთის, ყაზახეთის და უზბეკეთის ენერგორესურსების პოტენციალზე, რომელთა იმპორტირებაც შესაძლებელია ევროპის ბაზარზე რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით. ხოლო აღნიშნულ ქვეყნებს გააჩნიათ საკმარისი რაოდენობის ენერგორესურსები, რომელთა დახმარებითაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის დივერსიფიკაციის და შესაბამისად მისი რუსეთზე დამოკიდებულების შემცირების მიმართულებით. თუმცა, როგორც ავტორები აღნიშნავენ მოცემული ქვეყნების სურვილის მიუხედავად, რომ მათ რუსეთის გვერდის ავლით მიაწოდონ ევროკავშირს ენერგორესურსები, მათი ყველაზე დიდი წინააღმდეგობა არის ენერგო მილსადენების არ არსებობის საკითხი, უსაფრთხოების საკითხების პრობლემები, და სხვა პოლიტიკური თუ ბაზრის გაურკვეველობის თემები (Ibrayeva, 2018).

¹⁵ Worldometer Group. “*Oil Reserves by Country*”. Retrieved from: <https://www.worldometers.info/oil/oil-reserves-by-country/>

თავი 4. ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ენერგოპროექტები და რუსეთის ფაქტორი

4.1. ევროპის ბუნებრივი აირის სამხრეთ დერეფნის კონცეფცია

ევროპის ბუნებრივი აირის სამხრეთ დერეფნის კორიდორი (South Gas Corridor - SGC) ეს არის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობის მქონე კონცეფცია, რომლის უმთავრესი მიზანი არის გაზის ინფრასტრუქტურული პროექტების იმდაგვარად განხორციელება, რომელიც ევროკავშირის ენერგორესურსებით მომარაგების უსაფრთხოებას და დივერსიფიკაციას უზრუნველყოფს. სამხრეთ დერეფნის კორიდორის ინიციატივა შემოთავაზებული იქნა ევროკომისიის მიერ 2008 წელს თავის კომუნიკეში, რითიც ის მიმართავდა ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებს როგორც არის ევროპარლამენტი, ევროკავშირის საბჭო და სხვა მნიშვნელოვანი ორგანოები. მოცემული კონცეფციის პოლიტიკური მიზანი არის სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებული გახადოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების რუსეთის ტერიტორიიდან მომავალ გაზზე, რაც გულისხმობს იმას, რომ აუცილებელია რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით არსებული ბუნებრივი აირის ნედლეულის ევროკავშირის წევრ ქვეყნებამდე ტრანსპორტირება. ევროკომისიის კომუნიკეს მიხედვით ბუნებრივი აირის სამხრეთ დერეფნის მილსადენების ნედლეულით ევროკავშირის მომარაგების ორი მთავარი რეგიონი არსებობს: ახლო აღმოსავლეთი (მაშრიყის ქვეყნები¹⁶ - არაბული სამყარო) და კასპიის ზღვის რეგიონები (აზერბაიჯანი,

¹⁶ მაშრიყის ქვეყნების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ აქ: Statista (2021). *“Mashriq region: total population 2020, by country”*. <https://www.statista.com/statistics/981706/total-population-of-the-mashriq->

ყაზახეთი, თურქმენეთი) (European Commission Communication, 2008). აღნიშნული პროექტების განხორციელების შემთხვევაში ევროკავშირი დაუკავშირდება ბუნებრივი რესურსებით ყველაზე მდიდარ რეგიონებს, რომელთა რეზერვებიც შეფასებულია ჯამში 90 ტრილიონ მ³. დღეს-დღეობით კასპიის ზღვის რეგიონიდან ბუნებრივი აირის იმპორტირება გაცილებით უფრო რეალურად გამოიყურება ვიდრე არასტაბილური ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებები კასპიის ენერგო რესურსების რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით მიწოდება ევროპისთვის ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაიწყო. აღნიშნულ პროექტებს აშშ აქტიურად უჭერდა მხარს, რადგან არ სურდა მისი მთავარი პარტნიორი - ევროკავშირი - რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებული დარჩენილიყო. საწყის ეტაპზე ევროკავშირი ენერგოპროექტების მხარდასაჭერად აქტიურად არ გამოდიოდა წინაპლანზე. თუმცა, აშშ-ს ძალისხმევის შედეგად განხორციელდა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელმაც წინაპირობები შექმნა ევროკავშირისთვის უფრო გრანდიოზული ენერგოპროექტების დასაგეგმად. აშშ-ს ლიდერობის შედეგად საქართველო-აზერბაიჯანი შეთანხმდნენ ბაქო-სუფსას ნავთობსადენის გაყვანაზე, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 1999 წელს. ნავთობსადენის წლიური გამტარუნარიანობა 5,75 მილიონ ტონას წარმოადგენდა, რაც რა თქმა უნდა ძალიან ცოტაა. შესაბამისად მის განხორციელებას დიდი პოლიტიკური წინაღობა და ცვლილებები არ გამოუწვევია რეგიონში. თუმცა, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კასპიის ზღვის ენერგორესურსების ტრანსპორტირება მოხერხდა რუსეთის გვერდის ავლით. ამას მალევე მოყვა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ორი პროექტების განხორციელება, რომელზე შეთანხმებაც აზერბაიჯან-საქართველომ 1999 წლის ნოემბერში მიაღწიეს ეუთო-ს სამიტზე. პირველი ეს არის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელება, რომელსაც საუკუნის პროექტსაც უწოდებენ. მან ფუნქციონირება დაიწყო 2006 წელს და გამტარუნარიანობა წარმოადგენს 50 მილიონ ტონას წელიწადში. მეორე ეს არის ბაქო-

countries/#:~:text=The%20Mashriq%2C%20also%20Mashreq%2C%20is,United%20Arab%20Emirates%2C%20and%20Yemen.

თბილისი-ერზურუმის გაზსადენის პროექტი, რომლის დასრულებაც მოხდა 2007 წელს¹⁷ (იხ. დანართი N3). აღნიშნული პროექტების მნიშვნელოვანია იმ კონტექსტში, რომ მათ შექმნეს პრეცედენტი, რომლის ფარგლებშიც კასპიის ზღვის ენერგორესურსების ტრანსპორტირება ევროპის მიმართულებით მოხდა რუსეთის ფედერაციის გვერდის ავლით. ასევე, სწორედ ევროპის ბუნებრივი აირის სამხრეთ დერეფნის კონცეფციის მნიშვნელოვან ღერძს წარმოადგენს აღნიშნული გაზის მილსადენი, რომელსაც სამხრეთ კავკასიურ მილსადენსაც უწოდებენ (South Caucasus Pipeline - SCP). მოცემული გაზის მილის გაფართოების შესაძლებლობამ ბიძგი მისცა ტრანსანატოლიის (TANAP) და ტრანსადრიატიკის გაზსადენების (TAP) მსგავსი პროექტების დაგეგმვას და განხორციელებას (კომახია, 2017).

4.2. ნაბუკოს პროექტი

ნაბუკოს პროექტი ეს იყო ბუნებრივი გაზის სამხრეთ დერეფნის კონცეფციის პირდაპირი გამოხატულება, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ევროკავშირის რუსეთის გაზზე დამოკიდებულების შემცირება. კერძოდ კი ის ითვალისწინებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაზით მომარაგებას, რომლებიც ძლიერ იყვნენ დამოკიდებულები რუსულ გაზზე, რის გამოც განსაკუთრებით დაუცველები იყვნენ რუსეთის წინაშე. მოცემული პროექტის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამო მას აქტიურად მხარს უჭერდა ევროკავშირი და აშშ. 2003 წელს ევროკავშირმა აღნიშნული პროექტი პრიორიტეტულ საკითხად გამოაცხადა.

¹⁷ ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენს სამხრეთ კავკასიის გაზსადენსაც უწოდებენ, რომელიც აზერბაიჯანული გაზის ტრანსპორტირებას ახდენს საქართველოს გავლით თურქეთში. მილსადენის წლიურად 8 მილიარდ მ³-ს ატარებდა. შაჰ-დენიზის საბადოს მეორე ფაზის გაფართოების ფარგლებში მილსადენის გამტარუნარიანობამ მიაღწია 24 მილიარდ მ³-ს.

პროექტის ტექნიკური მხარე და მნიშვნელოვანი მოვლენები

პროექტის განვითარებას საფუძველი ჩაუყარეს ხუთმა კერძო კომპანიამ 2002 წლის იანვარში - ავსტრიის კომპანია OMV, თურქეთის კომპანია Botas, უნგრეთის კომპანია MOL, რუმინეთის კომპანია Transgaz და ბულგარეთის კომპანია Bulgargaz. ასევე, 2008 წლის იანვარში პროექტს შემოუერთდა ახალი კომპანია RWE (გერმანია). აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა თურქეთის ქალაქ ერზურუმიდან ახალი დიდი გაზსადენის გაყვანას, რომელიც ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის გავლით ჩააღწევდა ავსტრიაში, საიდანაც შემდგომ მოხდებოდა მისი განაწილება ევროკავშირის აღმოსავლეთ წევრი ქვეყნების ენერგომომარაგებისთვის (იხ. დანართი N4). ნაბუკოს პროექტის მილსადენის მთლიანი სიგრძე ავსტრიიდან თურქეთის ჩათვლით წარმოადგენდა 3,300 კილომეტრს. ხოლო თურქეთის ქალაქ ერზურუმიდან ის შეუერთდებოდა 2 დიდ გაზის მილსადენს. პირველი ეს იყო სამხრეთ კავკასიის გაზსადენი იგივე ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი, ხოლო მეორე მილსადენი წარმოადგენდა თებრიზ-ანკარის გაზსადენს. ნაბუკოს მილსადენის წლიურ ტევადობას შეადგენდა 31 მილიარდ მ³-ს, რაც ძალიან დიდი მოცულობა იყო, რის გამოც როგორც მისი განხორციელება ჯდებოდა ძალიან ძვირი (7.9 მილიარდი ევრო = 10.6 მილიარდი დოლარი), ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენდა მისი შევსებაც. სწორედ ამიტომ აუცილებელი იყო რამდენიმე გაზის მომარაგებელი სახელმწიფოს ჩართვა აღნიშნულ პროექტში, რომ მილსადენის შევსება მომხდარიყო. ნაბუკოს პროექტის პოტენციურ მომარაგებლებს წარმოადგენდნენ შემდეგი სახელმწიფოები: 1) სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (ბაქო-თბილისი-ერზურუმის) მიმართულებით - აზერბაიჯანი, თურქმენეთი და ყაზახეთი; ხოლო ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მიმართულებით - ერაყი, ეგვიპტე და ირანი. პირველ ეტაპზე პროექტი ითვალისწინებდა წლიურად 13 მილიარდი მ³-ის ტრანსპორტირებას, ხოლო შემდგომ 2020 წლიდან იგეგმებოდა 31 მილიარდ მ³-მდე გაზრდას. გაზსადენიდან გამავალი გაზის ნახევარს გამოიყენებდა ავსტრიის სახელმწიფო, ხოლო დანარჩენს კი მისი ტრანზიტორი სახელმწიფოები (თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ავსტრია) (Erdogdu, 2010).

2003 წლისთვის აღნიშნულ ენერგოპროექტს მხარდაჭერა გამოუცხადა ევროკომისიამ, ევროპარლამენტმა და ევროპის საბჭომ. ამის შემდგომ ევროკომისის ფარგლებში დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. ევროკომისიამ პროექტის 50% დააფინანსა, რომელიც ითვალისწინებდა გამოკვლევების ჩატარებას ბაზრის ანალიზის, ტექნიკური საკითხების, ეკონომიკური და ფინანსური სფეროების შესწავლისთვის. 2004 წლისთვის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება დაიწყებოდა 2011 წელს, ხოლო ექსპლუატაციაში შევიდოდა 2015 წელს. 2008 წელს პროექტს შემოუერთდა აზერბაიჯანი, როგორც მისი მომარაგებელი სახელმწიფო. 2008-9 წელს რუსეთ-უკრაინის გაზის კონფლიქტმა კიდევ უფრო მეტად დააჩქარა ნაბუკოს პროექტის განხორციელების პოლიტიკური მოტივები. შედეგად 2009 წლის 27 იანვარს გაიმართა ნაბუკოს სამიტი ბუდაპეშტში, რის შემდგომაც ევროპის ინვესტიციის ბანკმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა მზადყოფნა გამოაცხადეს, რომ გამოყოფდნენ ფინანსურ დახმარებას ნაბუკოს პროექტისთვის. ამას მალევე მოყვა ანკარაში სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების დადება ნაბუკოს ტრანზიტ ქვეყნებს შორის - თურქეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი და ავსტრია. ასევე, გერმანიამ სრული პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადა აღნიშნული შეთანხმების დადებას (გერმანია ვერ იქნებოდა ხელშეკრულების მონაწილე მხარე, რადგან ის არ იყო ტრანზიტორი ქვეყანა) (Reuters Staff, 2009).

პოლიტიკური კონტექსტი

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი 2009 წელს - ნაბუკოს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირისთვის. ევროკავშირი ძლიერ იყო დამოკიდებული რუსეთიდან იმპორტირებულ გაზზე (2006 წელს 113.8 მილიარდი მ³ – 40%; 2008 წელს 116.9 მილიარდი მ³ – 40%; 2009 წელს 117 მილიარდი მ³ – 42%) (Pirani, 2009). აღნიშნული პროექტის განხორციელებით ევროკავშირი მნიშვნელოვნად შეამცირებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში რუსული გაზის მონოპოლიას. მას შემდეგ რაც 2006 და 2009 წლებში რუსეთ-უკრაინას შორის მოხდა გაზის საკითხში კონფლიქტი, რუსეთმა გაზის მიწოდება შეწყვიტა უკრაინის მიმართულებით. გაზის შეწყვეტამ დააზარალა არა მარტო უკრაინა, არამედ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინტერესებიც. 2009 წელს რუსეთის მხრიდან

უკრაინაში არსებულ მილსადენებში გაზის შეწყვეტით გავლენა მოახდინა 16 ევროკავშირის წევრ ქვეყანაზე და მოლდოვაზე. მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული ზიანი მიაღწა ბალკანეთის ქვეყნებს, ხოლო ეკონომიკურად მნიშვნელოვნად დაზარალდნენ უნგრეთი და სლოვაკეთი. ამის მიზეზი იყო ის, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები გაზის უდიდეს მარაგს იღებდნენ სწორედ უკრაინიდან გამავალი ენერგომილსადენის საშუალებით. 2009 წლის მონაცემებით ევროკავშირი რუსეთიდან წამოსული გაზის 80%-ს სწორედ უკრაინის გავლით იღებდა, ხოლო დანარჩენ 20%-ს კი ბელარუსის გავლით. რუსეთის მხრიდან უკრაინის მიმართულებით გაზის შეწყვეტის გამო დაზარალდნენ ევროკავშირის წევრი შემდეგი ქვეყნები, რომლებიც მნიშვნელოვნად იყვნენ დამოკიდებულები უკრაინიდან წამოსულ რუსულ გაზზე: ბულგარეთი (100%-ით იყო რუსულ გაზზე დამოკიდებული. კონფლიქტის გამო მას მთლიანად შეუწყდა გაზის მიწოდება); სლოვაკეთი (97%-ით შეუწყდა); საბერძნეთი (80%-ით შეუწყდა); ავსტრია (66%-ით შეუწყდა); ჩეხეთი (71%-ით შეუწყდა); სლოვენია (50%-ით შეუწყდა); უნგრეთი (45%-ით შეუწყდა); პოლონეთი (33%-ით შეუწყდა); რუმინეთი (34%-ით შეუწყდა); გერმანია (10%-ით შეუწყდა); იტალია (25%-ით შეუწყდა); საფრანგეთი (15%-ით შეუწყდა); სერბეთი (100%-ით შეუწყდა); ბოსნია და ჰერცეგოვინა (40%-ით შეუწყდა); ხორვატია (40%-ით შეუწყდა) (Pirani, 2009)¹⁸. სტატისტიკური მონაცემებიდანაც კარგად ჩანს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც გაცილებით უფრო მეტად იყვნენ რუსეთიდან წამოსულ გაზზე დამოკიდებული უფრო მეტად დაზარალდნენ. შესაბამისად, რაც უფრო ნაკლებად იქნებიან აღნიშნული სახელმწიფოები რუსეთიდან წამოსულ გაზზე დამოკიდებულები მით უფრო ნაკლებად დაზარალდებიან. ამის შესაძლებლობას კი იძლეოდა ნაბუკოს პროექტის განხორციელება, რომლის წლიური გამტარუნარიანობა იქნებოდა 31 მილიარდი მ³. ეს მოცულობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოხმარების 40%-ს შეადგენდა, რაც ნიშნავდა იმას, რომ ნაბუკოს პროექტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იყო რუსეთიდან მომავალ გაზზე

¹⁸ სტატისტიკური მონაცემების წყარო: Gas Coordination Group, Member State General Situation According to Significance of Impact, Memo 09/3, Brussels, 9 January 2009.

დამოკიდებულების მნიშვნელოვნად შემცირება აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (Fernandez, 2010).

გარდა ამისა, ნაბუკოს პროექტის განხორციელება სასურველი იყო ევროპელებისთვის იმ მიზეზის გამოც, რომ ის გაივლიდა უამრავ სახელმწიფოზე (თურქმენთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი, ირანი...) მანამ, სანამ ჩააღწევდა საბოლოო დანიშნულების ადგილს. ეს კი მნიშვნელოვანი იყო, რადგან ერთი მიმწოდებლის კონტროლ ქვეშ არ იქნებოდა, რაც მაქსიმალურად შეამცირებდა მოცემული მილსადენის ევროკავშირის წინააღმდეგ გამოყენების შესაძლებლობას.

თუმცა, აღნიშნული პროექტის გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე მას მრავალი გამოწვევა შეხვდა. ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმ გამოწვევებს, რომლებშიც რუსეთი იყო როგორც ხელის შემშლელი ფაქტორი: 1) გაზის მომწოდებელი სახელმწიფოების დეფიციტი; 2) რუსეთის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული ენერგოპროექტი სამხრეთის ნაკადი; 3) 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და ნაბუკოს მილსადენის უსაფრთხოების საკითხი. მოცემულ სამ გამოწვევაზე აღნიშნულ ქვეთავში ცალ-ცალკე შევეხებით.

გაზის მომწოდებელი ქვეყნების დეფიციტი

გამომდინარე იქიდან, რომ ნაბუკოს პროექტი პირველ ეტაპზე ითვალისწინებდა ყოველწლიურად 13-16 მილიარდი მ³-ი გაზის გატარებას, ხოლო შემდგომ ეტაპზე კი მისი გაზრდა იგეგმებოდა 26-30 მ³-მდე, ჩნდებოდა ბუნებრივად კითხვა თუ ვის უნდა მოემარაგებინა ამხელი მოცულობის გაზსადენი. ნაბუკოს პროექტში როგორც მილსადენის გაზით მომარაგებელი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობა სურდათ ბევრ ახლო აღმოსავლეთის (ეგვიპტე, ერაყი, ლიბია, ირანი, საუდის არაბეთი) და კასპიის ზღვის რეგიონის სახელმწიფოებს (თურქმენეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი). თუმცა, მრავალი მათგანის პროექტში ჩართვა ვერ მოხერხდა ამ ქვეყნებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო. შესაბამისად, პროექტისთვის შერჩეული იქნენ ის სახელმწიფოები,

რომლებსაც უკვე გააჩნდათ შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სწორედ ამ მიზეზის გამო ნაბუკოს პროექტის მომარაგება იგეგმებოდა ორი სხვადასხვა რეგიონიდან მომავალი მილსადენით. პირველი იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გაზის მილსადენი (იგივე სამხრეთ კავკასიის გაზსადენი), ხოლო მეორე იყო თებრიზ-ანკარის გაზსადენი. პირველი მილსადენი ექსპლუატაციაში შევიდა 2007 წლიდან, რომლის გამტარუნარიანობა წელიწადში შეადგენდა 16 მილიარდ მ³-ს, ხოლო მეორე მილსადენი ექსპლუატაციაში შევიდა 2001 წელს და მისი გამტარუნარიანობა წელიწადში შეადგენდა 14 მილიარდ მ³-ს. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მილსადენები ისედაც გადატვირთულები იყვნენ, რის გამოც იგეგმებოდა ორივე მილსადენის გამტარუნარიანობის გაზრდა იმისათვის, რომ ნაბუკოს მილსადენისთვის დამატებითი ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება ეზრუნველყოთ. ორივე მილსადენი ერთმანეთს ხვდებოდა თურქეთის ქალაქ ერზურუმში. პოტენციურ მომარაგებელ სახელმწიფოებად კი შერჩეული იქნენ შემდეგი ქვეყნები: აზერბაიჯანი, ირანი, თურმქეთი და ყაზახეთი. თუმცა, აღნიშნულ სახელმწიფოებთან დაკავშირებითაც გაჩნდა სხვადასხვა პრობლემები:

- **ირანი** - 2000-იან წლებში ირანსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების თანდათანობით გაართულება მოხდა, რის გამოც ის უკვე აღარ განიხილებოდა სტაბილურ პარტნიორად, რომელზე დამოკიდებულებაც შეიძლებოდა ევროკავშირის მხრიდან. ურთიერთობების დაძაბვის მიზეზი იყო ირანის მხრიდან ბირთვული პროგრამის წამოწყება და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ტერორისტული დაჯგუფებების დაფინანსება, რამაც ძლიერი შემფოთება გამოიწვია დასავლეთის სამყაროს მხრიდან. მას მალევე მოყვა სანქციების დაწესება ირანისთვის (National Intelligence Estimate, 2007). ეს აჩენდა ინვესტორებს შორის იმის შიშს, რომ ირანზე დაწესებული სანქციები კიდევ უფრო მეტად გაიზრდებოდა და ის შეეხებოდა ენერგორესრუსებსაც. გარდა აღნიშნული პოლიტიკური ვითარებისა, ირანს და თურქეთს ჰქონდათ უსაფრთხოების სერიოზული გამოწვევები, რადგან წარსულში ირანსა და თურქეთს შორის არსებული გაზსადენის აფეთქება არა ერთხელ ყოფილა ქურთული ტერორისტული დაჯგუფებების სამიზნე. შესაბამისად არც ის იქნებოდა გამორიცხული, რომ მათი სამიზნე არ გახდებოდა

გაცილებიტ უფრო მნიშვნელოვანი ნაბუკოს პროექტისთვის შერჩეული მილსადენიც (Norling, 2007).

- **აზერბაიჯანი** - ეს ქვეყანა ნაბუკოს პროექტს შემოუერთდა 2009 წელს როგორც მისი მომარაგებელი ქვეყანა. თუმცა, ამ ქვეყნის პრობლემას წარმოადგენდა მისი მცირერიცხოვანი გაზის რეზერვები, რომელიც არასაკმარისი იყო ნაბუკოს მთლიანად მოსამარაგებლად. შაჰ-დენიზის კონსორციუმის ოპერატორი BP მიხედვით 2011-2012 წლებში შაჰ-დენიზის საბადოს წარმოების ლიმიტი იქნებოდა 8-12 მილიარდი მ³, რაც არასაკმარისი იქნებოდა ნაბუკოს და თურქეთი-საბერძნეთი-(იტალიის) მილსადენების ერთდროულად შესავსებად. თუმცა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მზადყოფნას განაცხადა, რომ მოამარაგებდა ნაბუკოს მილსადენის ნახევარს. თუმცა, ესეც არ იყო საკმარისი (Norling, 2007).
- **თურქმენეთი და ყაზახეთი** - იმისათვის, რომ აღნიშნული ქვეყნები ჩართულიყვნენ ნაბუკოს პროექტში როგორც მისი მომარაგებელი სახელმწიფოები, ამისთვის საჭირო იყო პირველრიგში ტრანს-კასპიური მილსადენის განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ თურქმენეთის ხელსუფლებას სურდა აზერბაიჯან-თურქმენეთის ტრანს-კასპიური მილსადენის განხორციელება, რაზეც მზადყოფნა გამოაცხადეს კიდევ 2006 წლის მარტში (Socor, 2006). თუმცა, ამ გზაზე დიდი წინაღობა შეხვდათ რუსეთის და ირანის სახით, რომლებიც გამუდმებით ბლოკავდნენ ტრანს-კასპიური მილსადენის პროექტის განხორციელებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებიტ ვისაუბრებთ ტრანს-კასპიური მილსადენის პროექტის ქვეთავში.

სამხრეთ ნაკადის პროექტი

ნაბუკოს პროექტს სერიოზული გამოწვევების შექმნა შეეძლო რუსეთის ფედერაციის ენერგო და რეგიონალური საგარეო პოლიტიკური ინტერესებისთვის ევროპაში. შესაბამისად, რუსეთი ნებისმიერი საშუალების გამოყენებით ცდილობდა ნაბუკოს პროექტის ჩაშლას. ნაბუკოს პროექტის საპასუხოდ რუსეთის ფედერაციამ წამოიწყო

სამხრეთის ნაკადის პროექტის წარდგენა. პროექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ევროკავშირის და აშშ-ს მიერ მხარდაჭერილი ნაბუკოს პროექტის პოზიციების შესუსტება.

სამხრეთის ნაკადის შესახებ მსოფლიო საზოგადოებამ პირველად შეიტყო 2007 წლის ივნისში, როდესაც იტალიურმა ფირმამ ENI-მ და რუსეთის გაზის კორპორაციამ გაზპრომმა საჯაროდ განაცხადეს სამხრეთის ნაკადის მშენებლობის გეგმის შესახებ (Reuters Staff, 2009). პროექტი მიზნად ისახავდა რუსეთის შავი ზღვის სანაპირო ნაწილიდან ზღვის გამოყენებით ბულგარეთში ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას. ბულგარეთიდან მილსადენი ორ ნაწილად გაიყოფოდა, საიდანაც ჩრდილოეთ მილსადენი სერბეთის, უნგრეთის და ავსტრიის საზღვრებს გადაკვეთდა, ხოლო სამხრეთის მილსადენი კი ჯერ საბერძნეთში და შემდეგ იტალიაში ჩააღწევდა (იხ. დანართი N5). მილსადენის მაქსიმალური სიგრძე იქნებოდა 2500 კმ. ხოლო პროექტის საერთო ღირებულება შეადგენდა 15.5 მილიარდ ევროს (10 მლრ ევრო სახმელეთო ნაწილი, ხოლო 5.5 მლრ ევრო საზღვაო ნაწილი). პროექტის ყველა მოსამზადებელი სამუშაოები 2012 წლის სექტემბრამდე დასრულდებოდა. ხოლო 2015 წელს კი იგეგმებოდა ბუნებრივი აირის მიწოდება ბულგარეთისთვის და სხვა ტრანზიტი სახელმწიფოებისთვის. ხოლო მილსადენი კი სრული დატვირთვით იმუშავებდა 2019 წლიდან. სამხრეთ ნაკადის მილსადენს შეეძლო სრული დატვირთვით წლიურად 63 მლრ მ³ გაზის ტრანსპორტირება (Gazprom, 2010).

სამხრეთ ნაკადის პროექტის დახმარებით რუსეთს შეეძლო პროპაგანდის საშუალებით პოლიტიკური გავლენა მოეხდინა ნაბუკოს პროექტზე. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთის ნაკადს მრავალი გამოწვევა ჰქონდა, რაც სპეციალისტებში იწვევდა პესიმიზმს, რომ სამხრეთის ნაკადი როდესმე შეძლებდა კომერციული თვალსაზრისით ოპერირებას. რუსეთის სახელმწიფო კომპანია გაზპრომი სამხრეთის ნაკადთან დაკავშირებულ ბევრ დეტალს მალავდა, როგორც იყო შემდეგი საკითხები: გაურკვეველი იყო პროექტის ზუსტი მარშრუტი, მისი მთლიანი ხარჯები, ასევე გაურკვეველი იყო თუ როგორ აპირებდა რუსეთი 63 მლრ მ³-ის მოცულობის მილსადენის ბუნებრივი აირით მომარაგებას და ა.შ. მოცემული ფაქტების მიუხედავად რუსეთის ფედერაციამ მაინც შეძლო ძალიან მოკლე ხანში პოლიტიკური მხარდაჭერის მიღება ბალკანეთის და ცენტრალური ევროპის არაერთი

სახელმწიფოსგან, მათ შორის ნაბუკოს პროექტის მხარდამჭერი ქვეყნებისგანაც. ამ გზით რუსეთმა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებული კონსენსუსი/ერთიანობა დაარღვია და გარკვეული გაუგებრობები გააჩინა ნაბუკოს პროექტის გარშემო შეკრებილ სახელმწიფოებს შორის (Loskot-Strachota, 2008). 2010 წელს რუსეთის პრეზიდენტი ავსტრიის პრეზიდენტთან შეხვედრისას განაცხადა, რომ „მილსადენის აშენება მომარაგებელ სახელმწიფოებთან კონტრაქტების გარეშე არის უაზრობა და ძალიან საშიში. დამისახელეთ ერთი კონტრაქტი მაინც, რომელიც ნაბუკოსთან დაკავშირებით იქნა ხელმოწერილი“ (Deutsche Welle Staff, 2010). ამ განცხადებით პუტინს სურდა ხაზი გაესვა იმისთვის, რომ სამხრეთ ნაკადის პროექტს, ნაბუკოს პროექტისგან განსხვავებით, რუსეთის სახით გარანტირებულად ყავდა გაზის მიმწოდებელი სახელმწიფო. ასევე, ნაბუკოს პროექტის ინვესტორებში გამოიწვია შიში იმისა, რომ სამხრეთ ნაკადის და ნაბუკოს პროექტების განხორციელების შემთხვევაში ბაზარზე გაჩნდებოდა ჭარბი გაზი, რაც აუცილებლად აისახებოდა ბუნებრივი აირის ფასებზეც (კონკურენცია გამოიწვევდა ფასის შემცირებას) (Laitai, 2009). გამომდინარე იქიდან, რომ ნაბუკოს პროექტი ძალიან ძვირადღიებულ მილსადენს წარმოადგენდა, მისი ინვესტორები დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ ინვესტიციების ჩადებას ისეთ პროექტში, რომელიც მათ გრძელვადიან პერიოდში ნაკლებ კომერციულ მოგებას მოუტანდა. შესაბამისად ინვესტორებისთვის ნაბუკოს პროექტის გვერდით სამხრეთ ნაკადის პროექტის განხორციელების შესაძლებლობაც კი კომერციულად ნაკლებად მომგებიან ხდიდა ორივე მილსადენს. რეალურად რუსეთისთვის შესაძლოა სამხრეთ ნაკადის პროექტის პრაქტიკაში განხორციელება არც იყო მნიშვნელოვანი, არამედ მისთვის მნიშვნელოვანი იყო ინვესტორების დაშინება, რომ 63 მლრ მ3 გაზსადენის განხორციელების შემთხვევაში ევროკავშირის ენერგო ბაზარზე ჭარბი ბუნებრივი აირი გაჩნდებოდა.

ნაბუკოს პროექტის ინვესტორებს შორის შიშს აძლიერებდა ის ფაქტიც, რომ რუსეთმა ძალიან მოკლე დროში შეძლო სამხრეთ ნაკადის პროექტისთვის საჭირო სახელმწიფოების მხარდამჭერის მოპოვება. 2008 წლის იანვარში ჯერ რუსეთ-ბულგარეთს შორის და შემდგომ რუსეთ-სერბეთს შორის ხელი მოეწერა სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებას აღნიშნულ

პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით. შემდგომ 2009 წლის მაისში რუსეთის გაზის კომპანიასა და იტალიის, ბულგარეთის, სერბეთის და საბერძნეთის წარმომადგენლებთან ხელი მოეწერა სამხრეთ ნაკადის მილსადენის კონსტრუქციის შესახებ. ხოლო 2009 წლის აგვისტოში რუსეთმა თანხმობა მიიღო თურქეთისგან, რომ გაატარებდა თურქულ წყლებში სამხრეთ ნაკადის მილსადენს ევროპის მიმართულებით (Reuters Staff, 2009). აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე სულ უფრო მეტად რეალური ხდებოდა სამხრეთ ნაკადის პროექტის განხორციელება, რაც ნაბუკოს პროექტის პოზიციებს ასუსტებდა ევროკავშირის ცალკეული ქვეყნებსა და მის დამფინანსებეს ინვესტორებში.

ნაბუკოს პროექტის უსაფრთხოების გამოწვევები

ევროკავშირისთვის და ასევე ნაბუკოს პროექტის ინვესტორებისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენდა პროექტის ფარგლებში არსებული ტრანზიტი ქვეყნების უსაფრთხოების და არასტაბილურობის საკითხები. განსაკუთრებით დიდ პრობლემას წარმოადგენს თურქეთი და ირანი, რომელშიც მილსადენებზე ტერორისტული თავდასხმების არაერთი შემთხვევა ყოფილა, რამაც გარკვეული დროით შეაფერხა ენერგორესურსების მიწოდება. გარდა აღნიშნულისა, არანაკლებ პრობლემას წარმოადგენდა რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, რაც დიდ თავსატეხს უჩენდა ევროკავშირსა და პროექტის დამფინანსებელ ინვესტორებს. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია მოახდინა. აგვისტოს ომის დროს რამდენიმე რუსული ბომბი ჩამოვარდა ქვემო ქართლში არსებულ მილსადენთან ახლოს (კომახია, 2017). ცნობილია, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს „BP“-მ გადაწყვიტა შეეჩერებინა გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მილსადენებით. მიზეზი კი მდგომარეობდა იმაში, რომ თავიდან აეცილებინა რაიმე დანაკარგები საომარი მოქმედების დროს (France24, 2008). ომის შემდგომ სიტუაციას ართულებდა ის ფაქტი, რომ რუსეთმა ოკუპირებულ რეგიონებში სამხედრო ბაზების შენება დაიწყო, აწყობდა სამხედრო წვრთნებს და მუდმივად ახორციელებდა ბორდერიზაციას (საზღვრების კიდევ უფრო ღრმად გადმოწევა საქართველოს შიგნით). ეს კი რა თქმა უნდა

დიდ პრობლემას წარმოადგენდა, რადგან არავინ არ იცოდა რა პროვოკაციებს მოაწყობდა რუსეთი და ამ პროვოკაციების საფუძველზე კიდევ უფრო მეტი ტერორიების ოკუპაციას მოახდენდა თუ არა. მოცემული ვითარება საყურადღებო იყო ყველასთვის, რადგან ნაბუკოს მილსადენის შესავსებად პროექტის ინვესტორებს უჭირდათ საქმეში გაზის მომარაგებელი სახელმწიფოების ჩართვა. ხოლო მათ ერთადერთ წყაროს კი უსაფრთხოების სერიოზული გამოწვევები ჰქონდა რუსეთის სახით (რადგან პროექტში მხოლოდ აზერბაიჯანი იყო ჩართული როგორც გაზის მომარაგებელი სახელმწიფო, ხოლო აზერბაიჯანული რესურსების ტრანსპორტირება კი იგეგმებოდა საქართველოზე გამავალი მილსადენით). შესაბამისად ნაბუკოს მილსადენის განუწყვეტლივ ექსპლუატაცია საფრთხის წინაშე იდგა, ეს ვითარება კი ინვესტორებისთვის კარგ ამბავს არ წარმოადგენდა. კორნელი კაკაჩია თავის ნაშრომში ეხება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გავლენას გეოპოლიტიკურ ვითარებაზე. ავტორის ხედვით კასპისი ზღვის ენერგორესურსები სტრატეგიულად იმდენად მნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა მოცემული ომით შეეცადა დასავლეთისთვის დაებლოკა მასზე ხელმისაწვდომობა. 2008 წლის ომის შედეგად რეგიონში გაჩნდა უსაფრთხოების სერიოზული გამოწვევები, რომლებმაც საფრთხის ქვეშ ჩააგდეს არა მარტო არსებული ენერგოდერეფნების უსაფრთხოება, არამედ ევროკავშირის მიერ დაგეგმილი სამომავლო პროექტებიც (მაგ: ნაბუკოს პროექტი) განხორციელების შესაძლებლობაც (Kakachia, 2011).

4.3. ტრანს-კასპიური მილსადენის პროექტი

ტრანს-კასპიური მილსადენი ეს არის დაგეგმილი წყალქვეშა მილსადენი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს თურქმენეთის ქალაქ თურქმენბაშის დაკავშირება აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოსთან. (იხ. დანართი N6). მილსადენის სიგრძე დაახლოებით არის 300 კმ. მისი სიმძლავრე შეადგენს 10-30 მილიარდ მ³-ს წელიწადში. მოცემული მისადენის მიზანი იქნება თურქმენეთის და ყაზახეთის ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება, რომელიც

შეუართდება სამხრეთ კავკასიის დერეფანში არსებულ ბაქო-თბილისი-ერზურუმის მილსადენს, საიდანაც ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება მოხდება თურქეთში და იქიდან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (Karayianni, 2018). აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით ევროკავშირმა აწარმოა არაერთი მოლაპარაკება აზერბაიჯანის, თურქემენტის და ყაზახეთის მთავრობებთან 2003, 2007, 2011, და 2019 წლებში. თუმცა, ყველა მცდელობა უშედეგოდა დასრულდა.

აღნიშნული პროექტი უმნიშვნელოვანესი იყო ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის დივერსიფიკაციის კონტექსტში. რადგან იმისათვის, რომ ნაბუკოს და თეთრი ნაკადის პროექტები განხორციელებულიყო ამისთვის აუცილებელი იყო პირველრიგში ტრანს-კასპიური მილსადენის პროექტის განხორციელება. ტრანს-კასპიური მილსადენის აუცილებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ აზერბაიჯანის გაზის მარაგი არ იყო საკმარისი ნაბუკოს პროექტის შესავსებად. ამიტომ, პროექტში აუცილებლად უნდა ჩართულიყვნენ თურქმენეთი და/ან ყაზახეთი. აღნიშნული ქვეყნებიდან ენერგორესრუსების იმპორტირების 3 გზა არსებობდა: 1) პირველი ეს არის რუსეთის ტერიტორიის გამოყენებით ევროკავშირამდე გაზის მიწოდება. მოცემული გზა ისედაც გამოიყენებოდა, რადგან სწორედ მისი გამოყენებით ხდებოდა ცენტრალური აზიის ენერგორესრუსების ევროპის მიმართულებით იმპორტირება. თუმცა, აღნიშნული გზა მიუღებელი იყო ნაბუკოს პროექტის პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე; 2) მეორე გზა ეს იყო ირანის ტერიტორიის გავლით ენერგორესრუსების თურქეთამდე ან აზერბაიჯანამდე მიტანა, საიდანაც გაზის ექსპორტირება მოხდება ევროკავშირის მიმართულებით¹⁹. მაგრამ როგორც რუსეთი, ასევე ირანიც არასტაბილურ პარტნიორ წარმოადგენს ევროკავშირისთვის. გარდა ამისა, ირანის ბირთვული პროგრამის გამო მას სანქციები ჰქონდა დაწესებული, რაც შეუძლებელს ხდიდა მოცემული გზის გამოყენებას. 3) მესამე გზა ეს იყო თავად კასპიის ზღვის გავლით სამხრეთ კავკასიის დერეფანამდე მიტანა, საიდანაც ენერგო რესურსების იმპორტირება მოხდებოდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიმართულებით. ამისათვის, კი

¹⁹ თურქმენეთი-ირანი-თურქეთის გაზსადენის პროექტი ჩავარდა ირანის უსაფრთხოების პრობლემების და მილსადენის არასაკმარისი ტევადობის გამო (Norling, 2007)

საჭირო იყო ტრანს-კასპიური მილსადენის გაყვანა. თუმცა, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ აღნიშნული მილსადენის გაყვანა უკვე მრავალი ათწლეულის განმავლობაში იგეგმებოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მისი განხორციელება ვერ მოხერხდა. ამ მიზეზებს შორის რუსეთს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ეკავა, რომელმაც კასპიის ზღვის სამართლებრივი და ეკოლოგიური საკითხები საკუთარი საგარეო პოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად გამოიყენა.

მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებულმა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებმა დაიწყეს ფიქრი საკუთარი სუვერენიტეტის გასამტკიცებლად გარკვეული ზომების მიღება. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სახელმწიფოები წარმოადგენდნენ პატარა სუსტ სახელმწიფოებს მათი შესაძლებლობები ახლოსაც კი ვერ მივიდოდა რუსეთის ფედერაციის შესაძლებლობებთან. ამიტომ მათთვის აუცილებელი იყო საკუთარი სუვერენიტეტის დასაცავად სხვა დიდი სახელმწიფოებისგან „ძალის სესხება“, რომ ამ ძალის დახმარებით დაებლანსებინათ რუსეთის ძალა. შესაბამისად, კასპის ზღვის ქვეყნებისთვის მსგავსი დამოუკიდებლობის მოპოვების ყველაზე კარგ საშუალებას წარმოადგენდა ყველასთვის მნიშვნელოვანი და ღირებული ენერგორესურსების საკუთარი სუვერენიტეტის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის მიზნებისთვის გამოყენება (გარაყანიძე, 2020).

ტრანს-კასპიური მილსადენის შესახებ საუბრები ჯერ კიდევ 90-იანე წლებში დაიწყო, რომელიც 1996 წელს აშშ-ს მიერ იყო შემოთავაზებული. მას შემდეგ კასპიის ზღვის ქვეყნებმა დაიწყეს წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება მოცემული პროექტის განხორციელების საკითხთან დაკავშირებით. 1999 წლის თებერვალში თურქმენეთის ხელისუფლებამ დაიქირავა „General Electir and Bechel Group“-ის კომპანიები იმისთვის, რომ შეესწავლათ თუ რამდენად არის შესაძლებელი ტრანს-კასპიური მილსადენის გაყვანა. 1999 წელს OECD-ს კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა სტამბულში, ერთმანეთთან არაერთი შეთანხმება დადეს საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქმენეთის ხელისუფლებებმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ტრანს-კასპიური მილსადენების პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით. თუმცა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისგან განსხვავებით ტრანს-

კასპიური მილსადენის პროექტის დაწყება ვერ მოხერხდა რუსეთისა და ირანის მხრიდან დიდი წინააღმდეგობის შედეგად. მათი მთავარი არგუმენტები იყო კასპიის ზღვის დაუდგენელი სტატუსი და ეკოლოგიური საკითხები (Karayianni, 2018). სწორედ ამ საკითხებს შევეხებით ქვემოთ.

კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი და ეკოლოგიური საბაზი

20 საუკუნის განმავლობაში კასპიის ზღვაზე ბატონობდა ორი დიდი სახელმწიფო - საბჭოთა კავშირი და ირანი. კასპიის ზღვის საზღვრების დასადგენად მათ ერთმანეთთან გააფორმეს ხელშეკრულებები, რომლებიც თარიღდებოდა 1921 და 1940 წლებით. აღნიშნული შეთანხმებები არეგულირებდა მოცემული ზღვის სამართლებრივ საზღვრებს და სხვა საკითხებს (ზღვაოსნობა, ვაჭრობა, თევზაობა...). თუმცა, მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, კასპიის ზღვაზე გამოჩნდნენ ახალი სახელმწიფოები: აზერბაიჯანი, თურქმენეთი და ყაზახეთი. თუმცა, ამ ქვეყნებს შორის კასპიის ზღვასთან დაკავშირებით არანაირი შეთანხმება არ დადებულა, რის გამოც გაურკვეველი დარჩა თუ სად გადის სახელმწიფო სუვერენიტეტის საზღვრები მოცემულ ზღვაზე. მართალია, რომ არსებობს საერთაშორისო სამართალში ზღვის სამართალი, მაგრამ პრობლემას ქმნის ის საკითხი, რომ კასპიის ზღვა ზოგ სახელმწიფოს ტბად მიაჩნდა, ზოგს კი ზღვად. ზოგიერთის აზრით კასპიის ზღვა ვერ ჩაითვლებოდა ზღვად, რადგან მას არ ჰქონდა არანაირი გასასვლელი მსოფლიო ოკეანეში, რის გამოც მას ტბისთვის დამახასიათებელი თვისებები ჰქონდა. ხოლო სხვების აზრით კი კასპიის ზღვა მისი ზომიდან გამომდინარე შეიძლება მიჩნეულიყო ზღვად. კასპიის ზღვის საზღვრების დაუდგენლობის გამო რუსეთს მიეცა საშუალება, რომ დაებლოკა ტრანს-კასპიური მილსადენის გაყვანის მცდელობები (Cason, 2015).

კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის მრავალი მცდელობა არსებობდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პირველად მოლაპარაკებები დაიწყო 1996 წელს. ათწლეულების განმავლობაში მოლაპარაკებები უშედეგოდ მიმდინარეობდა, ბოლოს 2014 წელს მოლაპარაკებებმა გარკვეულ პროგრესი განიცადა, პრობლემას წარმოადგენდა

რუსეთ-თურქმენეთის პოზიცია, სადაც თურქმენეთი ითხოვდა სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმების გარეშე ტრანს-კასპიური მილსადენის გაყვანას. ამ პოზიციას კი რუსეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. ამის მიზეზი კი რუსეთისთვის მიუღებელი იყო მისი ტერიტორიის გვერდის ავლით ახალი ენერგომილსაენების გამოჩენა. საბოლოო ჯამში 2018 წელს სახელმწიფოებმა მოაწერეს ხელი კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელ კონვენციას. კონვენცია შედგება 24 მუხლისაგან, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო მუხლი არის ეკოლოგიური საკითხის განმსაზღვრელი მუხლი, რომლის მიხედვითაც მასშტაბური პროექტების განხორციელების შემთხვევაში აუცილებელი იყო ყველა სახელმწიფოს თანხმობის მიღება. მოცემული პუნქტის მიზანი იყო ზღვის ეკოსისტემების და ბიომრავალფეროვნების დაცვა კასპიის ზღვაში. თუმცა, აღნიშნული პუნქტი ერთგვარი ინსტრუმენტი აღმოჩნდა რუსეთის ხელში, რითაც დღემდე ბლოკავს ტრანს-კასპიური მილსადენის გაყვანის შესაძლებლობას. რუსეთის და ირანის ხედვით ტრანს-კასპიური წყალქვეშა მილსადენის გაყვანა აუცილებლად უარყოფით ზეგავლენას მოახდენს წყლის ფსკერზე არსებულ ფლორაზე და ფაუნაზე. გარდა ამისა, ისინი აცხადებენ, რომ არსებობს საფრთხე მილსადენის დაზიანების რომელიც შემდგომ კვლავ გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს მის გარშემო არსებულ გარემოს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რუსეთი და ირანი თავად აზიანებენ მსგავსი ენერგოპროექტებით ბუნებას. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მათ მიერ გამოყენებული არგუმენტი მხოლოდ და მხოლოდ საბაბს წარმოადგენდა, რომელსაც სხვა საგარეო პოლიტიკური გათვლები ემყარებოდა (Abilov, 2020). სწორედ ამ გზით რუსეთი ცდილობს ხელი შეუშალოს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ტრანს-კასპიური ენერგოპროექტის განხორციელებას.

4.4. ნაბუკო WEST VS ტრანს-ადრიატიკის მილსადენი

ნაბუკოს გრანდიოზული პროექტის წარუმატებლობის შემდეგ, დიდ სახელმწიფოებს შორის სულ უფრო მეტად აქტუალური ხდებოდა შედარებით უფრო მცირე მასშტაბების

მქონე ენერგოპროექტები. მათ შორის აღსანიშნავია ნაბუკო ვესტის და ტრანს-ადრიატიკის პროექტები (TAP – Trans-Adriatic Pipeline). ისინი ითვლებოდნენ ერთმანეთის კონკურენტ ენერგოპროექტებად, რადგან მათ შორის მხოლოდ ერთის განხორციელების შესაძლებლობა არსებობდა ახლად გამოცხადებული ტრანს-ანატოლიური (TANAP – Trans-Anatolian Pipeline) ენერგოპროექტის კონტექსტში. რა თქმა უნდა, ორივე მილსადენი - ტრანს-ადრიატიკის და ნაბუკო ვესტი - მიზნად ისახავდა კასპიის ზღვის ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების გაზით მოსამარაგებლად. თუმცა, გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ევროკავშირის ინტერესებში შედიოდა ნაბუკო ვესტის ენერგოპროექტის განხორციელება და არა ტრანს-ადრიატიკის მილსადენის. სწორედ ამიტომ, რუსეთი ცდილობდა სხვადასხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით ნაბუკო ვესტის პროექტის ჩაგდებას ტრანს-ადრიატიკის მილსადენის ენერგოპროექტის მშენებლობისთვის ხელის შეწყობას. მოცემულ ქვეთავში პირველ რიგში განვიხილავთ ტრანს-ანატოლიური მილსადენის ტექნიკურ მახასიათებლებს და მის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას რუსეთისთვის და ევროკავშირისთვის. ხოლო შემდგომ გადავალთ ტრანს-ადრიატიკის და ნაბუკო-ვესტის ენერგოპროექტების პოლიტიკურ მნიშვნელობის განხილვას რუსეთ-ევროკავშირის კონტექსტში.

ტრანს-ანატოლიური მილსადენი

მას შემდეგ რაც ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ნაბუკოს პროექტი ჩავარდა, იმედგაცრუებულმა აზერბაიჯანმა საკუთარ თავზე აიღო ახალი ენერგომილსადენის გაყვანა, რომელიც მას ევროკავშირთან დააკავშირებდა და ამით საკუთარი პოლიტიკური სუვერენიტეტის ხარისხს გააძლიერებდა. ტრანს-ანატოლიური მილსადენის მშენებლობის შესახებ აზერბაიჯანმა და თურქეთმა გააფორმეს ურთიერთგაგების მემორანდული 2011 წლის 26 დეკემბერს. პროექტის აქციონერები იყვნენ SOCAR (აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია - 58%), BOTAS (თურქეთის სახელმწიფო კომპანია - 30%) და BP (გაერთიანებული სამეფო - 12%). აღნიშნული მილსადენის მშენებლობა იგეგმებოდა საქართველო-თურქეთის საზღვრიდან თურქეთ-საბერძნეთის საზღვრამდე (Hydrocarbons Techonlogy Staff).

მილსადენი ერთი ბოლოთი შეუერთდებოდა უკვე არსებულ სამხრეთ კავკასიის გაზსადენს (იგივე ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი), ხოლო მეორე ბოლოში თუ რომელ მილსადენს შეუერთდებოდა ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღო შაჰ-დენიზის კონსორციუმს 2013 წელს. არსებობდა ორი ვარიანტი: 1) ტრანს-ანატოლიური მილსადენის შეერთება მოხდებოდა რუსეთისთვის სასურველი ტრანს-ადრიატიკის მილსადენთან; 2) ტრანს-ანატოლიური მილსადენის მიერთება მოხდებოდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ ნაბუკო ვესტის გაზსადენთან (იხ. დანართი N7). სწორედ ამიტომ ამ ორი ენერგომილსადენის პროექტების მხარდამჭერ აქტორებს შორის გაჩაღდა კონკურენცია, რომ მათ მოეპოვებინათ „შაჰ-დენიზის“ კონსორციუმის მხარდაჭერა.

ტრანს-ანატოლიური მილსადენის მომარაგება იგეგმებოდა შაჰ-დენიზის საბადოს მეორე ფაზის პირობებში მოპოვებული აზერბაიჯანული გაზით. ტრანს-ანატოლიური გაზსადენის ღირებულება შეადგენდა 10-11 მილიარდ დოლარს. მისი წლიური გამტარუნარიანობა პირველ ეტაპზე 2018 წელს იქნებოდა 16 მილიარდი მ³, ხოლო მეორე ეტაპზე 2026 წლისთვის იგეგმებოდა მისი მოცულობის გაზრდა 31 მილიარდ მ³-მდე (Sobjak, 2012). აღნიშნული მილსადენს ნაბუკოს პროექტის მილსადენის მსგავსად შეეძლო შეემცირებინა რუსეთის გაზზე დამოკიდებულება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების. ამიტომ, რუსეთისთვის და ევროკავშირისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო თუ რა მიმართულებით გააგრძელდებოდა ტრანს-ანატოლიური მილსადენი გაზის ტრანსპორტირებას.

ნაბუკო ვესტის ენერგოპროექტი

ტრანს-ანატოლიური მილსადენის ინიცირების შემდეგ, ნაბუკოს პროექტის ჩანაწვლვა მოხდა შედარებით მცირე მასშტაბების მქონე ენერგოპროექტით ნაბუკო ვესტით. ნაბუკო ვესტის პროექტი იმავე პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა როგორც ნაბუკოს პროექტის წინა ვერსია. მილსადენის სიგრძე შეადგენდა 1329 კილომეტრს, რომელიც გაივლიდა ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის და ავსტრიის ტერიტორიულ საზღვრებს. ხოლო მილსადენის წლიური გამტარუნარიანობა იქნებოდა 10-31 მილიარდი მ³. 2012 წლის 8

ოქტომბერს ვიენაში ერთმანეთს შეხვდნენ თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ავსტრიის და აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრები, რომლებმაც მზადყოფნა და პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადეს ნაბუკო ვესტის პროექტის განხორციელებას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანმა მხარდაჭერა გამოუცხადა ნაბუკო ვესტის ენერგოპროექტს, საბოლოო გადაწყვეტილება აშენდებოდა თუ არა მოცემული პროექტი დამოკიდებული იყო შაკ-დენიზის კონსორციუმის გადაწყვეტილებაზე, რომელიც უნდა მიღებულიყო 2013 წელს (Sobjak, 2012).

ტრანს-ადრიატიკის მილსადენი (TAP)

ტრანს-ადრიატიკის მილსადენის პროექტი არ ყოფილა ახალი იდეა. მასთან დაკავშირებით სამუშაო პროცესები ჯერ კიდევ 2003 წელს შვეიცარიული კომპანიის Axpol-ის მიერ იქნა დაწყებული. თუმცა, ამ პროექტს არ ჰქონდა ისეთივე პოლიტიკური მხარდაჭერა როგორც ნაბუკოს პროექტს. თუმცა, სიტუცია მას შემდეგ შეიცვალა, როდესაც ტრანს-ანატოლიური პროექტის მშენებლობის შესახებ თურქეთმა და აზერბაიჯანმა ხელი მოაწერეს 2011 წლის 24 დეკემბერს. ამ შეთანხმებამ ტრანს-ადრიატიკის პროექტის განხორციელების პერსპექტივასაც ჩაუყარა საფუძველი. მილსადენი მიზნად ისახავდა თურქეთიდან საბერძნეთის და ალბანეთის გავლით გაზის ტრანსპორტირებას იტალიაში (იხ. დანართი N8). მილსადენის სიგრძე იქნებოდა 878 კილომეტრი, რომლის წლიური გამტარუნარიანობაც პირველ ეტაპზე იქნებოდა 10 მილიარდი მ³, ხოლო შემდგომ მეორე ეტაპზე მილსადენის წლიური გამტარუნარიანობის 20 მილიარდ მ³-მდე გაზრდა იგეგმებოდა. მილსადენის მშენებლობა დაახლოებით 4.5 მლრ დოლარი დაჯდება. ხოლო მშენებლობის დაწყება იგეგმებოდა 2016-2019 წლებში (NS Energy Staff, 2019).

მილსადენის კონსორციუმი (შვეიცარიული კომპანია Axpol-ი და ნორვეგიული კომპანიის Statioll-ი კონსორციუმი) მოლაპარაკებებს აწარმოებდა შაკ-დენიზის კონსორციუმთან, რომ მოცემული მილსადენის მიერთების ნებართვა მიეღოთ ტრანს-ანატოლიურ გაზსადენთან (Trans Adriatic Pipeline, 2012). 2012 წლის 28 სექტემბერს პროექტმა მიიღო ალბანეთის, საბერძნეთის და იტალიის ხელისუფლებების მხარდაჭერა და მათ ხელი მოაწერეს

ურთიერთგაგების მემორანდუმს (Agayev, 2012). ხოლო 2013 წლის თებერვალში ამ ქვეყნებს შორის დაიდო სამმხრივი მთავრობათაშორისი შეთანხმებაც, რამაც კიდევ უფრო რეალური გახადა მოცემული პროექტის განხორციელება (Trans Adriatic Pipeline, 2013).

პოლიტიკური კონტექსტი

ნაბუკო ვესტის მილსადენი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ევროკავშირისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ორგანიზაციის აღმოსავლეთ წევრი ქვეყნების რუსეთის გაზზე დამოკიდებულების შემცირების კონტექსტში ვიდრე ტრანს-ადრიატიკის მილსადენი. ნაბუკო ვესტის მხარდასაჭერად ავსტრიის, უნგრეთის, რუმინეთის და ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა წერილით მიმართეს ევროკავშირის ერთ-ერთ ინსტიტუტს ევროკომისიას, რომ ევროკავშირს სჭირდება გაცილებით უფრო მეტი კოორდინირებული მოქმედება გაერთიანების საერთო ინტერესების დასაცავად. ხოლო, გამომდინარე იქიდან, რომ ნაბუკო ვესტის პროექტი უფრო მეტად პასუხობდა ევროკავშირის ენერჯო დივერსიფიკაციის პოლიტიკას ვიდრე ტრანს-ადრიატიკის პროექტი, ამიტომ აუცილებელი იყო ევროკავშირს უპირატესობა მიენიჭებინა ნაბუკო ვესტის მილსადენისთვის (Socor, 2013). მართლაც, ტრანს-ადრიატიკის მილსადენი მიზნად ისახავდა 2019 წლისთვის 10 მლრ მ³ ბუნებრივი აირის მიწოდებას ევროპისთვის. აქედან თითო-თითო მლრ მ³-ს მიიღებდნენ საბერძნეთი და ალბანეთი, ხოლო დანარჩენ 8 მლრ მ³-ს კი იტალია (Barden, 2015). უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2012 წლის სტატისტიკური მონაცემებით საბერძნეთი 56%-ით და იტალია 28%-ით იყო დამოკიდებული რუსულ გაზზე. ეს მაჩვენებლები შედარებით მცირეა ევროკავშირის აღმოსავლეთ წევრი ქვეყნების პროცენტულ მაჩვენებლებთან (იხ. დანართი N1) (Statista, 2012)²⁰. ასევე, იტალია ბუნებრივი აირის უდიდესი მომხმარებელი სახელმწიფო იყო ევროკავშირის ფარგლებში, რომელიც წლიურად მოიხმარდა 74 მლრ მ³ გაზს. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ იტალია ისედაც მაღალ დივერსიფიცირებული სახელმწიფოს წარმოადგენდა ენერჯო რესურსების იმპორტის მიმართულებით. შესაბამისად

²⁰ Statista (2021). "Share of gas supply from Russia in Europe in 2019, by selected country". Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/1201743/russian-gas-dependence-in-europe-by-country/>

ევროკავშირის საერთო ენერგო დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიმართულებით ტრანს-ადრიატიკის პროექტის განხორციელება ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო ნაბუკო ვესტის პროექტის განხორციელებასთან შედარებით. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ტრანს-ადრიატიკის მილსადენით ევროკავშირი მიიღებდა მხოლოდ 10 მილიარდ მ³ გაზს, რაც ევროკავშირის მთლიანი მოხმარების მხოლოდ 2%-ს წარმოადგენდა. ეს კი ნამდვილად არ იყო საკმარისი ევროკავშირის რუსულ გაზზე დამოკიდებულების შესამცირებლად.

ტრანს-ადრიატიკის მილსადენისგან განსხვავებით ნაბუკო WEST-ის პროექტი მიზნად ისახავდა ევროკავშირის ცენტრალური და აღმოსავლეთ წევრი ქვეყნების დამოკიდებულების შემცირებას რუსულ გაზზე, რომლებიც გაცილებით უფრო მეტად იყვნენ დამოკიდებულები რუსეთზე ვიდრე სამხრეთის ქვეყნები. ეს ძალიან კარგად გამოჩნდა კიდევ 2006 და 2009 წლებში რუსეთ-უკრაინას შორის არსებულ ბუნებრივი აირის გარშემო არსებული კონფლიქტის დროს. სწორედ ევროკავშირის აღმოსავლეთ წევრი ქვეყნები დაზარალდნენ ყველაზე მეტად 2009 წელს რუსული გაზის შეწყვეტის გამო. ტრანს-ადრიატიკის მილსადენისგან განსხვავებით ნაბუკო ვესტის პროექტი მიზნად ისახავდა ტრანს-ანატოლიური მილსადენისგან 16 მლრ მ³ ბუნებრივი აირის მიღებას, ხოლო შემდგომ მეორე ეტაპზე 2026 წილდან მილსადენის 31 მლრ მ³-მდე გაფართოება იგეგმებოდა. შესაბამისად, ტრანს-ანატოლიური და ნაბუკო ვესტის მილსადენების განხორციელება გარკვეულწილად ანაცვლებდა ნაბუკოს პირველ ვარიანტს (Sobjak, 2012). ნაბუკო ვესტით პირველ ეტაპზე იგეგმებოდა ტრანზიტი ქვეყნების გაზით მომარაგება: ბულგარეთი (2012 წელს 89%-ით იყო რუსეთზე დამოკიდებული), რუმინეთი (...24%), უნგრეთი (...80%) და ავსტრია (...60%) (Statista, 2012)²¹. ამ ქვეყნების მომარაგების შემთხვევაში მათი მდგომარეობა ენერგო დივერსიფიკაციის და უსაფრთხოების საკითხებში გაუმჯობესდებოდა, ხოლო მეორე ეტაპზე კი უფრო მეტი გაზის გატარების ხარჯზე იგეგმებოდა ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნების მომარაგებაც.

²¹ Statista (2021). "Share of gas supply from Russia in Europe in 2019, by selected country". Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/1201743/russian-gas-dependence-in-europe-by-country/>

თუმცა, საბოლოოდ აზერბაიჯანმა და შაჰ-დენიზის კონსორციუმმა 2013 წელს ტრანს-ადრიატიკის მილსადენის სასარგებლოდ მიიღეს გადაწყვეტილება (Trans Adriatic Pipeline, 2013). აღნიშნული გადაწყვეტილება რუსეთის სრულ ინტერესში შედიოდა, რადგან რუსეთი თავად გეგმავდა სამხრეთ ნაკადის განხორციელებას ევროპის მიმართულებით, რომელიც მიზნად ისახავდა გაზის მიტანას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (ჩრდილოეთ იტალია, ავსტრია, სლოვენია, უნგრეთი, სერბეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი). შესაბამისად ტრანს-ადრიატიკის მილსადენი არ იქნებოდა მისი კონკურენტი აღნიშნული ქვეყნების გაზის ბაზრებში. ასევე, რუსეთისთვის სამხრეთის ნაკადს გეოპოლიტიკური დატვირთვაც ქონდა, რის გამოც აზერბაიჯანს არ სურდა რუსეთთან კონფრონტაციაში შესვლა მილსადენების მიზეზით. ასევე, სამხრეთის ნაკადთან გაზის გაყიდვის კონკურენციაში შესვლა იყო საფრთხილო, რადგან ეს გავლენას მოახდენდა გრძელვადიან კომერციულ მოგებაზეც. შესაბამისად აზერბაიჯანმა მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომ თან საკუთარი გაზის ექსპორტირება მოეხდინა ევროკავშირის ენერჯეტიკის ბაზარზე და ამავდროულად თავიდან აეცილებინა რუსეთთან დაპირისპირება. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის გაზის კომპანია მანამ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა ტრანს-ადრიატიკის მილსადენის სასარგებლოდ, რამდენიმე დღის წინ მან შეიძინა საბერძნეთის „DESFA“, რომელიც გაზის ტრანზიტის სისტემა იყო. აღნიშნული სისტემა ეკუთვნოდა რუსეთის გაზის კომპანიას გაზპრომს, რომელმაც უარი თქვა მის პრივატიზაციაზე და გადასცა აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანიას სოკარს. ასევე აზერბაიჯანმა რუსეთთან შეთანხმების დადებით მიიღო 1 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო შეიარაღება. როგორც ჩანს რუსეთის სახელმწიფო ცდილობდა აზერბაიჯანის გულის მოგებას იმისათვის, რომ გადაწყვეტილება ტრანს-ადრიატიკის სასარგებლოდ მიეღო. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ შაჰ-დენიზის კონსორციუმის მეწილეს წარმოადგენდა “TNK-BP” კომპანია, რომელიც მთლიანად ეკუთვნოდა რუსეთის სახელმწიფო გაზის კომპანიას „როსნეფტს“. შესაბამისად რუსეთს როსნეფტის გავლით კონტროლი ჰქონდა TNK-BP-ს კომპანიის მართველ სტრუქტურაზეც, ხოლო TNK-BP-ის

საშუალებით კი მას შეეძლო გავლენა მოეხდინა შაკ-დენიზის კონსორციუმის საბოლოო გადაწყვეტილებაზეც (Gurbanov, 2013).

თავი 5. რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ენერგოპროექტები და ევროკავშირის წევრი ქვეყნების არაკორდინირებული ენერგოპოლიტიკა

მოცემულ თავში საუბარი იქნება თუ რა უარყოფით როლს ასრულებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების დანაწევრებული ენერგოპოლიტიკა გაერთიანების საერთო ინტერსების რუსეთზე დამოკიდებულების შემცირების მიმართულებით, რაც საბოლოო ჯამში რუსეთის ენერგოპოლიტიკის ინტერესებში შედის, რადგან ევროკავშირის შიგნი არსებული განსახვავებული საგარეო პოლიტიკების გამო რუსეთი ამას თავის სასარგებლოდ იყენებს და სხვადასხვა ენერგომილსადენების დაფინანსებით ზრდის ევროკავშირის დამოკიდებულებას რუსეთის ტერიტორიიდან მომდინარე გაზზე. აღნიშნულ ქვეთავში შევეხებით იმ ძირითად და ცნობილ ენერგოპროექტებს, რომლებშიც ევროკავშირის და აშშ-ს წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთმა დაარწმუნა ევროკავშირის ცალკეული წევრი სახელმწიფო მონაწილეობა მიეღოთ რუსეთის მიერ მხარდაჭერილ ენერგოპროექტებში. ეს ენერგოპროექტებია: ჩრდილოეთის ნაკადი, სამხრეთის ნაკადი და ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის პროექტები.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული ენერგოპროექტები როგორც არის სამხრეთის ნაკადი (მოცემული პროექტი შეჩერებულია), ჩრდილოეთის ნაკადი და ჩრდილოეთის ნაკადი 2, რეალურად ემსახურება ევროკავშირის პოზიციების შესუსტებას აღმოსავლეთ ევროპაში. რადგან აღმოსავლეთ ევროპის ისეთი ქვეყნები როგორებიც არიან

პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები და უკრაინა, მათსა და რუსეთს შორის პოლიტიკური დაპირისპირების შემთხვევაში რუსეთს უპრობლემოდ შეეძლება შეუწყვიტოს ბუნებრივი აირის მიწოდება და გამოიყენოს ალტერნატიული გზები ევროკავშირის დანარჩენი წევრი ქვეყნების გაზით მოსამარაგებლად. შედეგად კი აღნიშნული ქვეყნები ვეღარ გამოიყენებენ ენერგოდერეფნებს რუსეთის ზეწოლის შესასუსტებლად. ამიტომ რუსეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მოცემული პროექტების განხორციელება.

5.1. სამხრეთის ნაკადი

სამხრეთ ნაკადის პროექტი რუსეთის მიერ ინიცირებული ენერგოპროექტი იყო, რომელიც მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა რუსეთის საგარეო პოლიტიკური ამოცანების განსახორციელებლად. რუსეთმა ძალიან კარგად გამოიყენა ევროკავშირის წევრი ქვეყნების არაკორდინირებული ენერგოპოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, რის შედეგადაც რუსეთმა მოახერხა მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაეყარა სამხრეთ ნაკადის პროექტის განსახორციელებლად. სამხრეთის ნაკადის პროექტის განხორციელებით რუსეთი აღწევდა რამდენიმე საგარეო პოლიტიკურ მიზანს: 1) სამხრეთის ნაკადი ნაბუკოს პროექტის განხორციელების კომერციულ მოტივებს ასუსტებდა, რადგან სამხრეთ ნაკადსაც იგივე მარშრუტი უნდა გაეწვლინა სატრანზიტო ქვეყნებზე, და ასევე იმავე სახელმწიფოებისთვის უნდა მიეწოდებინა გაზი, როგორც ნაბუკოს პროექტით იყო გათვალისწინებული. ეს კი ორ პროექტს შორის კონკურენციის შესაძლებლობას ქმნიდა, რაც შემდგომ აუცილებლად იმოქმედებდა გაზის ფასებზე; 2) სამხრეთის ნაკადი რუსეთის დაუმორჩილებელი მეზობლების უკრაინის და პოლონეთის დასჯის საშუალებას იძლეოდა, რადგან აღნიშნული პროექტით რუსეთს საშუალება ეძლეოდა უკრაინის და პოლონეთის გვერდის ავლით, ბალკანეთის ნახევარკუნძულის გამოყენებით, გაზი მიეწოდებინა ევროკავშირის დანარჩენი წევრებისთვის. 3) პროექტის განხორციელების შემთხვევაში რუსეთს

ევროკავშირის ენერგეტიკის ბაზარზე დამატებით 63 მილიარდ მ³ გაზის შეტანის შესაძლებლობა ეძლეოდა, რაც რუსეთის პოზიციებს ევროკავშირის მიმართ კიდევ უფრო მეტად განამტკიცებდა. ამიტომ, აღნიშნული პროექტი რუსეთისთვის მრავალმხრივ იყო მნიშვნელოვანი.

შესაბამისად, რუსეთის მიერ ინიცირებული სამხრეთის ნაკადის ენერგოპროექტის განხორციელება ნამდვილად არ ჯდებოდა ევროკავშირის მიერ აღებული ენერგოდივერსიფიკაციის პოლიტიკის ფარგლებში. რადგან ევროკავშირის წევრი ქვეყნები ისედაც ძლიერ იყვნენ დამოკიდებულები რუსეთიდან იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე. თუმცა, მიუხედავად ევროკავშირის სუპრანაციონალური ინტერესებისა, ორგანიზაციის ცალკეულმა სახელმწიფოებმა საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე სამხრეთის ნაკადს პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადეს. მეტიც, მხარდაჭერა გამოუცხადეს ისეთმა სახელმწიფოებმაც, რომლებიც ნაბუკოს პროექტის მონაწილეებიც იყვნენ.

სამხრეთ ნაკადის პროექტის მიზნად ისახავდა ევროკავშირში დამატებით 63 მლრ მ³- ბუნებრივი აირის შეტანას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მილსადენი ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის რუსულ გაზზე შემცირების პოლიტიკას, ევროკავშირის ცალკეულმა სახელმწიფოებმა საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე შეთანხმება გააფრორმეს რუსეთთან და მონაწილეობის მიღების მზადყოფნა გამოაცხადეს სამხრეთ ნაკადის პროექტში. მეტიც, პროექტს პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადეს ნაბუკოს პროექტში მონაწილე ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმაც. აღნიშნული ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ ამ ქვეყნებს კარგად ახსოვდათ 2006 და 2009 წლის რუსეთ-უკრაინის გაზის კონფლიქტის ქეისები. მაგალითად ამ პერიოდში რუსული გაზის 80% სწორედ უკრაინაში მდებარე მილსადენის საშუალებით მიეწოდებოდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს. შესაბამისად 2009 წლის იანვრის თვეში რუსეთის მხრიდან უკრაინისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტამ, წნევა შეამცირა ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ ქვეყანაშიც. ზამთრის პერიოდში ბუნებრივი აირის შეწყვეტამ გამოიწვია კატასტროფული შედეგები (ეკონომიკური და ჰუმანიტარული პრობლემები) ზოგიერთ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი

ევროკავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ წევრ ქვეყნებში. რუსეთის მხრიდან უკრაინის მიმართულებით გაზის შეწვევების გამო დაზარალებულნი ევროკავშირის წევრი შემდეგი ქვეყნები, რომლებიც მნიშვნელოვნად იყვნენ დამოკიდებულები უკრაინიდან წამოსულ რუსულ გაზზე: ბულგარეთი (100%-ით იყო რუსულ გაზზე დამოკიდებული. კონფლიქტის გამო მას მთლიანად შეუწყდა გაზის მიწოდება); სლოვაკეთი (97%-ით შეუწყდა); საბერძნეთი (80%-ით შეუწყდა); ავსტრია (66%-ით შეუწყდა); ჩეხეთი (71%-ით შეუწყდა); სლოვენია (50%-ით შეუწყდა); უნგრეთი (45%-ით შეუწყდა); პოლონეთი (33%-ით შეუწყდა); რუმინეთი (34%-ით შეუწყდა); გერმანია (10%-ით შეუწყდა); იტალია (25%-ით შეუწყდა); საფრანგეთი (15%-ით შეუწყდა); სერბეთი (100%-ით შეუწყდა); ბოსნია და ჰერცეგოვინა (40%-ით შეუწყდა); ხორვატია (40%-ით შეუწყდა) (Pirani, 2009)²². აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით ევროკავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ წევრი ქვეყნების ეროვნულ ინტერესებში შედიოდა უკრაინის გვერდის ავლით ახალი მილსადენის განხორციელება. ხოლო ასეთ მილსადენს კი წარმოდგენდა რუსეთის მიერ ინიცირებული სამხრეთის ნაკადი. სამხრეთ ნაკადის პროექტს ევროკავშირის ზოგიერთმა სახელმწიფომ მხარდაჭერა გამოუცხადა:

- ბულგარეთი - ბულგარეთის ხელისუფლება მოცემული პროექტის მხარდამჭერი იყო 2007 წლიდან მოყოლებული. ბულგარეთი ასევე მხარს უჭერდა ნაბუკოს პროექტის განხორციელებასაც. სამხრეთის ნაკადის პროექტის საშუალებით ბულგარეთი იუმჯობესებდა ენერგო უსაფრთხოების ვითარებას, რადგან აღარ იქნებოდა დამოკიდებული უკრაინის გავლით მიღებულ ბუნებრივ აირზე. გარდა ამისა, ბულგარეთი იქნებოდა სამხრეთ ნაკადის ტრანზიტი სახელმწიფო, რის შედეგადაც ის დამატებით მიიღებდა შემოსავლებს. შესაბამისად, 2008 წლის 18 იანვარს რუსეთ-ბულგარეთს შორის მალევე დაიდო შეთანხმება, რომ ბულგარეთი აღნიშნულ პროექტში მიიღებდა მონაწილეობას, ხოლო 2008 წლის 25 ივლისს აღნიშნული შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა ბულგარეთის პარლამენტმა (BBC Staff, 2008).

²² სტატისტიკური მონაცემების წყარო: Gas Coordination Group, Member State General Situation According to Significance of Impact, Memo 09/3, Brussels, 9 January 2009.

- უნგრეთი - ის იყო ნაბუკოს პროექტის მხარდამჭერი სახელმწიფო. მან ასევე პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადა სახმრეთის ნაკადსაც. შედეგად 2008 წლის 25 იანვარს ერთობლივი შეთანხმება დაიდო რუსეთ-უნგრეთს და რუსეთ-სერბეთს შორის აღნიშნულ პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით (Shchedrov, 2008).
- ავსტრია - მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიის სახელმწიფოს ნაბუკოს პროექტის მონაწილე ქვეყანაც იყო, ის აქტიურად უცხადებდა პოლიტიკურ მხარდაჭერას სამხრეთის ნაკადის მილსადენსაც და ზოგ შემთხვევაში არც კი ერიდებოდა აშშ-ს და ევროკავშირის გაკრიტიკებასაც მათი პოზიციის გამო. ავსტრიის პრეზიდენტიმა ჰეინზ ფიშერმა პუტინთან შეხვედრისას აშშ-ს და ევროკავშირი გააკრიტიკა: „გაზსადენი რომელიც ნატოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს კვეთს, ვერავინ ვერ მეტყვის თუ რატომ ვერ გადაკვეთს ის ავსტრიის ტერიტორიას 50 კილომეტრში“²³ (Deutsche Welle Staff, 2014). რუსეთ-ავსტიას შორის სამხრეთ პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით შეთანხმება გაფორმდა 2010 წელს (Deutsche Welle Staff, 2010).
- საბერძნეთი - რუსეთ-საბერძნეთს შორის სამხრეთ ნაკადის პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით შეთანხმება დაიდო 2010 წლის 7 ივნისს (Reuters Staff, 2010).
- სლოვაკეთი - 2009 წლის 13 ნოემბერს რუსეთ-სლოვაკეთს შორის გაფორმდა შეთანხმება სამხრეთ ნაკადის პროექტში ჩართულობასთან დაკავშირებით (By NS Energy Staff Writer, 2009).
- ხორვატია - 2010 წლის 3 მარტს რუსეთ-ხორვატიას შორის დაიდო სამხრეთ ნაკადის პროექტში მონაწილეობის შესახებ შეთანხმება (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხორვატია 2013 წლიდან გახდა ევროკავშირის წევრი ქვეყანა) (Nedelkovski, 2010).
- იტალია - სამხრეთის ნაკადის პროექტი რუსეთის კომპანია გაზპრომის და იტალიური კომპანიის „ENI“-ის მიერ ინიცირებული მილსადენი იყო. მთავრობათაშორისი შეხვედრა რუსეთსა და იტალიას შორის გაზპრომთან და „ENI“-ისთან ერთად შედგა

²³ ინგლისური ვერსია: no one can tell me why... a gas pipeline that crosses NATO and EU states can't touch 50 kilometers (31 miles) of Austrian territory.

2008 წელს, რომელშიც მათ ერთმანეთთან შეათანხმეს სამხრეთის ნაკადის სატრანზიტო ქვეყნების მარშრუტის გრაფიკი (Hydrocarbons Technology Staff). იტალია აქტიურად უჭერდა სამხრეთის ნაკადის პროექტის განხორციელებას და არც იმ აქტორების გაკრიტიკებას ერიდებოდა, რომლებიც სამხრეთის ნაკადის განხორციელებას ეწინააღმდეგებოდნენ. 2014 წელს ბრიუსელში გამოსვლისას იტალიელმა სანდრო გოზიმ, როგორც ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტის პოსტის მქონე პირმა, განაცხადა, რომ იტალიის მთავრობა სამხრეთ ნაკადის პროექტის განხორციელებას უჭერს მხარს, რადგან ეს პროექტი ევროკავშირის დაეხმარება გაზის მარშრუტების დივერსიფიკაციაში. მოცემულ განცხადება დიდი გამოხმაურება მოყვა, მათ შორის არის უკრაინის საელჩოს პოზიცია, რომ ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა ერთმანეთში არ უნდა აურიოს იტალიის ეროვნული პოზიცია და ევროკავშირის პოზიცია, რადგან ამ პროექტს ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო არ უჭერს მხარს (Corner, 2014).

მიუხედავად ევროკავშირის ცალკეული წევრი ქვეყნების მცდელობებისა, რომ სამხრეთის ნაკადის პროექტის რეალობაში განხორციელებულიყო, ევროკავშირმა სხვადასხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით შეეცადა აღნიშნული პროექტის დაბლოკვა. ევროკავშირმა მიზეზად დაასახელა მოცემული პროექტის მხრიდან ევროკავშირის ანტიმონოპოლიური პოლიტიკის დარღვევა²⁴. შედეგად ევროკავშირმა ზეწოლა მოახდინა ბულგარეთის ხელისუფლებაზე, რომ არ დათხმებოდა სამხრეთის ნაკადის პროექტის მის ტერიტორიაზე გატარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ბულგარეთი ჩაითვლებოდა ევროკავშირის რეგულაციების დამრღვევად და საქმეს გადასცემდა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს. საბოლოო ჯამში ბულგარეთმა შეიცვალა პოზიცია და გამოთქვა სურვილი, რომ სამხრეთის ნაკადის პროექტის განხორციელებას იმ შემთხვევაში

²⁴ ევროკავშირის ანტიმონოპოლიური კანონის მიხედვით ერთ კომპანიას არ აქვს უფლება ერთდროულად ფლობდეს სატრანზიტო ინფრასტრუქტურას და ასევე ყიდდეს ენერგო რესურსებს აღნიშნული ინფრასტრუქტურის გამოყენებით.

დათანხმდებოდა თუ რუსეთი ევროკავშირის ანტიმონოპოლიურ პოლიტიკის პირობებს შეასრულებდა (Macdowall, 2014).

5.2. ჩრდილოეთის ნაკადი

ჩრდილოეთის ნაკადის პროექტის შესახებ პირველად საუბარი 1990-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო. ეს იყო გაზსადენი, რომელიც მიზნად ისახავდა პოლონეთის და ბალტიის ქვეყნების გვერდის ავლით გერმანიაში გაზის მიწოდებას (იხ. დანართი N9). ჩრდილოეთის ნაკადის კონსორციუმის ნახევარზე მეტის მეწილე იყო „გაზპრომი“, რომელსაც მართავდა რუსეთის სახელმწიფო. აღნიშნული მილსადენის სიგრძე 1224 კმ-ს წარმოადგენდა, რომელიც ბალტიის ზღვის გავლით პირდაპირ ერთმანეთთან დააკავშირებდა რუსეთსა და გერმანიას. მილსადენის წლიური ტევადობა 55 მილიარდ მ³-ს წარმოადგენდა. აღნიშნული მილსადენი მიზნად ისახავდა გაზით მომარაგებას არა მარტო გერმანიის, არამედ საფრანგეთის, დანიის, ნიდერლანდების და დიდი ბრიტანეთის. ავტორის მიხედვით, აღნიშნულმა მილსადენმა კიდევ უფრო მეტად გაზარდა ევროკავშირის საშუალო დამოკიდებულება რუსეთიდან მომდინარე გაზზე, რამაც რუსეთს სერიოზული პოლიტიკური ბერკეტი მისცა საკუთარი პოზიციების ევროპის რეგიონში გასამყარებლად. გარდა ამისა აღნიშნულმა პროექტმა გამოიწვია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ორ დაპირისპირებულ ბანაკად დაყოფა, რამაც საბოლოო ჯამში გაართულა ევროკავშირის საერთო ენერგოპოლიტიკის განხორციელებაც (Larsson, 2007).

გერმანია რუსეთს არ მიიჩნევდა როგორც საფრთხედ, არამედ გერმანიის საგარეო პოლიტიკური ხედვით აუცილებელი იყო რუსეთთან უფრო ღრმა ეკონომიკური თანამშრომლობა, რომ ევროკავშირსა და რუსეთს შორის ღრმა ყოვლისმომხველი ურთიერთდამოკიდებულება ჩამოყალიბებულიყო, რაც იქნებოდა გარანტია რუსეთ-ევროკავშირის შორის მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ამ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც „ოსტ-პოლიტიკასაც“ უწოდებენ, ჯერ კიდევ გერმანია საბჭოთა კავშირის პერიოდიდან

მოყოლებული ახორციელებდა. ოსტ-პოლიტიკის განახლება მოხდა 2000-იანი წლებიდან გერმანიის კანცლერ გერჰარდ შროდერის დროს. აღნიშნული პიროვნება აქტიურად ცდილობდა რუსეთთან უფრო მეტი საერთოს მიებას, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები პოზიტივისკენ წაეხალისებინა (Forsberg, 2016). რუსეთ-გერმანიას შორის თანამშრომლობამ მოიცვა ენერგეტიკის სფეროც, მათ შორის აღსანიშნავია ჩრდილოეთ ნაკადის პროექტი, რომელსაც გერმანია აქტიურად იცავდა ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნების კრიტიკისგან. მოცემული მილსადენის განხორციელებას მხარს უჭერდა გერმანიის მაშინდელი კანცლერი შროდერი, რომელმაც კანცლერობის დასრულებამდე სერიოზული საფუძველი ჩაუყარა ჩრდილოეთის ნაკადის განხორციელებას. 2005 წელს გერმანიის კანცლერს შროდერს და რუსეთის პრეზიდენტს პუტინს შორის ხელი მოეწერა აღნიშნული პროექტის განხორციელების შესახებ შეთანხმება. შეთანხმების მიხედვით მილსადენის მშენებლობა დაიწყებოდა 2010 წელს და დასრულდებოდა 2012 წლისთვის. თავიდანვე მას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა აშშ-ს და ჯერ კიდევ ორგანიზაციის არა წევრი ქვეყნების მხრიდან, როგორებიც იყვნენ პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები (2004 წელს პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები ევროკავშირის წევრი ქვეყნები გახდნენ). ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მოცემული გაზსადენის პროექტის განხორციელება რუსეთის პოზიციებს აძლიერებდა პოლონეთის, ბალტიის ქვეყნების, უკრაინის და ბელარუსის წინაშე, რადგან ნაკლებად დამოკიდებული ხდებოდა ამ ქვეყნების დახმარებით გაზის მიწოდებას მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ენერგეტიკის ბაზრისთვის - გერმანიისთვის (Cohen, 2006). ჩრდილოეთის ნაკადის მიმართ კრიტიკა სულ უფრო მეტად გაიზარდა 2006 და 2009 წლების რუსეთ-უკრაინის გაზის დავის ქეისებიდან გამომდინარე. ევროკავშირის აღმოსავლეთ წევრი ზოგიერთი სახელმწიფო შემფოთებული იყო გერმანიის მოცემული გადაწყვეტილებით, რადგან ჩრდილოეთის ნაკადის პროექტის განხორციელების შემთხვევაში რუსეთს ეძლეოდა შესაძლებლობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის გაზის შეწვეტის გარეშე, ევროკავშირის აღმოსავლეთ წევრი ქვეყნების წინააღმდეგ გამოეყენებინა ენერგორესრუსები როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი (Boyes, 2009).

მას შემდეგ, რაც 2005 წელს გერმანია და რუსეთი შეთანხმდნენ ჩრდილოეთ ნაკადის მშენებლობაზე, ამან ევროკავშირში გამოიწვია გეოპოლიტიკური დამაბულობა და მისი ორ ბანაკად დაყოფა. ჩრდილოეთ ნაკადის მშენებლობის აქტიური მოწინააღმდეგეები იყვნენ ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები (2004 წელს გახდნენ ორგანიზაციის წევრები). პოლონელებმა ამ ფაქტს „გეოპოლიტიკური კატასტროფა“ უწოდა. 2006 წელს ბრიუსელის სამიტზე პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ გერმანია-რუსეთის შეთანხმებაზე შემდეგ განცხადება გააკეთა: „პოლონეთი ძალიან მგრძობიარე იმ კორიდორებისა და შეთანხმებების მიმართ, რომლებიც მასთან დაკავშირებით იდება. ეს არის ლოკარნოს ტრადიცია. ეს არის მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ტრადიცია“²⁵ (Fritz, 2020). ეს იყო ყველაზე ცნობილი კრიტიკა ჩრდილოეთის ნაკადის წინააღმდეგ, რითაც ის გერმანიას ახსენებდა მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტებისა და კომუნისტების შეთანხმებას პოლონეთის მიწების გაყოფაზე. როგორც ჩანს პოლონეთის ხელისუფლებისთვის რუსეთ-გერმანიას შორის დადებული შეთანხმება ფაშისტებსა და კომუნისტებს შორის დადებული შეთანხმების ტოლფასი იყო. თუმცა, ამაზე საპასუხოდ რუსები ამბობდნენ, რომ რეალობაში ჩრდილოეთის ნაკადი ემსახურებოდა ევროკავშირის ენერჯო უსაფრთხოების განმტკიცებას, ხოლო აღმოსავლეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოზიციები კი რეალურად არის შემოფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი კარგავდნენ ენერჯორესურსების ტრანზიტისგან მიღებულ შემოსავლებს და ასევე პოლიტიკურ გავლენას, რადგან მათზე აღარ იქნებოდა დამოკიდებული დასვლეთ ევროპისთვის გაზის მიწოდება (BBC Staff, 2005). თუმცა, 2006 და 2009 წლების მოვლენების მიუხედავად საბოლოო ჯამში რუსეთმა მაინც შეძლო გერმანიის დაყოლიება ჩრდილოეთის ნაკადის პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით, რადგან ეს ორივე სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებში შედიოდა.

²⁵ ინგლისური ვერსია: „Poland is sensitive to corridors and agreements over its head. That is the tradition of Locarno. That is the tradition of the Ribbentrop-Molotov Pact“

5.3. ჩრდილოეთის ნაკადი 2

ჩრდილოეთის ნაკადი 2 იმავე პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა როგორც ჩრდილოეთ ნაკადის პირველი ვარიანტი. ამჯერად, დამატებით ახალი მილსადენის განხორციელება კიდევ უფრო მეტად ზრდიდა ევროკავშირის რუსეთზე დამოკიდებულებას, რადგან ორივე მილსადენის გამოყენებით რუსეთს წლიურად 110 მლრ მ³ ბუნებრივი აირის ექსპორტირების შესაძლებლობა ეძლეოდა (ორივე მილსადენს წლიურად 55 მლრ მ³ ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება შეუძლიათ). ამით კიდევ უფრო მეტად იზრდებოდა ევროკავშირის ერთ-ერთი წამყვანი წევრი სახელმწიფოს გერმანიის დამოკიდებულება რუსეთიდან იმპორტირებულ გაზზე. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის განხორციელებით პოლონეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნების, უკრაინის და ბელარუსის პოზიციები სუსტდებოდა არა მარტო ევროკავშირის წინაშე, არამედ თავად რუსეთის წინაშეც. რადგან მოცემულ ქვეყნების რუსეთთან კონფრონტაციის შემთხვევაში კიდევ უფრო ნაკლები ბერკეტი ექნებათ ენერგორესრუსების სახით. შედეგად კი რუსეთს ეძლეოდა ამ ქვეყნებზე პოლიტიკური ზეწოლის საშუალება და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მათი დასჯის ინსტრუმენტი. როგორც ჩრდილოეთ ნაკადი ერთის პროექტის შემთხვევაში, მოცემული მილსადენის პროექტმაც ევროკავშირი კვლავ ორ დაპირისპირებულ ბანაკად დაყო. ერთ მხარეს არიან გერმანია, საფრანგეთი და ავსტრია, რომლებსთვისაც რუსული გაზი და ჩრდილოეთის ნაკადის პროექტები არის იაფი გაზის წყარო. ხოლო მეორე მხარეს არიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები, უკრაინა), რომელთათვისაც რუსეთი დიდ საფრთხეს წარმოადგენს (Mikulska, 2018).

2006 და 2009 წლის რუსეთ-უკრაინის გაზის კონფლიქტმა ბევრი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა დაარწმუნდა, რომ არ შეიძლება რუსეთის ნდობა. ხოლო თუ ეს ქვეყნები დაკარგავენ რუსული გაზის ტრანსპორტირების ფუნქციას, მაშინ ისინი დაუცველები დარჩებიან მის წინაშე. 2011 წელს რუსეთის სახელმწიფო კომპანიის წინააღმდეგ დაიწყო ანტი-უნდობლობის გამოძიება, რომელმაც უამრავი გადაცდომები გამოავლინა სხვადასხვა რესიპიენტი მიმართ ევროკავშირში, ხოლო ჩრდილოეთ ნაკადის 2-ის პროექტის

განხორციელება კიდევ უფრო მეტ გავლენას მისცეს გაზპრომს. ამასთან დაკავშირებით ევროკომისიამ გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ ჩრდილოეთის ნაკადი 2 არ გააძლიერებდა ევროკავშირის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას (Rettman, 2018). უსაფრთხოების სერიოზული გამოწვევებიდან გამომდინარე 2016 წელს აღმოსავლეთ ევროპის 9 სახელმწიფომ ხელი მოაწერა ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის პროექტის წინააღმდეგ²⁶. ასევე, აღსანიშნავია აშშ-ს რადიკალური პოზიცია ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის პროექტის მიმართ (Goldthau, 2016). აშშ, განსაკუთრებით კი ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში, სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს მილსადენის მშენებლობის პროცესს. აშშ-მ მრავალი სანქციები დააწესა ამ პროექტში ჩართულ სახელმწიფოებს, კერძო კომპანიებს და პროექტთან დაკავშირებულ აღმასრულებელ პირებს (Jacobsen, 2021). აშშ-ს ოფიციალურმა პირმა აღნიშულ ენერგოპროექტს უწოდა „ცივი ომის გაცოცხლება ეკონომიკურ განზომილებაში“ (Gurzu & Schatz, 2016). 2021 წლის აპრილში პოლონეთის და სლოვენის პრემიერ მინისტრებმა (მათეუმ მორავიეკი და იანეზ ჯანსა) გერმანიას მოუწოდეს ჩრდილოეთის ნაკადი 2 პროექტის გაუქმება, რადგან ის ევროპის დესტაბილიზაციას უწყობდა ხელს. პოლონეთის პრემიერმა მორავიეკმა განაცხადა: „ჩრდილოეთის ნაკადი ეს არის გერმანულ-რუსული პროექტი, რომელიც ევროპის დესტაბილიზაციას უწყობს ხელს და საფუძველს უთხრის ევროპულ უსაფრთხოებას“ (Obara, 2021). გარდა ამ ქვეყნებისა, პროექტს აქტიურად აკრიტიკებენ ისეთი ქვეყნები როგორებიც არიან დანია და შვედეთი. ასევე, ევროკომისის პრეზიდენტმა დონალტ ტუსკმაც გააკრიტიკა გერმანიის პოზიცია ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის პროექტთან მიმართებაში. 2018 წლის 12 დეკემბერს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის გაუქმებას, ხოლო მიზეზად კი ასახელებენ ევროკავშირის ენერგო უსაფრთხოების საკითხებს (Economist Staff, 2019). თუმცა, ამის მიუხედავად გერმანია ჯიუტად აგრძელებს

²⁶ ეს სახელმწიფოებია: ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, პოლონეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი, ლიტვა, ხორვატია. წყარო: Sytas, Andrius (2016). *“EU leaders sign letter objecting to Nord Stream-2 gas link”*. <https://www.reuters.com/article/uk-eu-energy-nordstream-idUKKCN0W11YV>

პროექტის განხორციელებას და ამტკიცებს, რომ ის არის კომერციული პროექტი და არა პოლიტიკური.

დასკვნა: შემაჯამებელი ანალიზი

მოცემული კვლევის საკვლევ საგანს წარმოადგენდა ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის დივერსიფიკაციის საკითხში (კერძოდ კი გაზის მიმართულებით) რუსეთის შემაჯამებელი ფაქტორის გამოკვლევა. როგორც კვლევისას ვაჩვენეთ 2010-2020 წლებში ევროკავშირი საშუალოდ 34%-ით არის რუსეთიდან იმპორტირებულ გაზზე დაამოკიდებული. ხოლო

ისეთ მიმწოდებელზე დამოკიდებულება როგორც არის რუსეთი, რომელიც ენერგორესრუებს იყენებს საკუთარი პოლიტიკური ამოცანების განსახორციელებლად, წარმოდგენს დიდ საფრთხეს. მოცემული საფრთხე არაერთხელ გამოჩნდა რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობების დროს. ამაში იგულისხმება 2006, 2009 და 2014 წლებში რუსეთ-უკრაინის კონფლიქტების დროს რუსეთის მხრიდან გაზის შეწყვეტა, რასაც მოყვა ნეგატიური შედეგები ევროკავშირის თითქმის ყველა წევრი ქვეყნისთვის, ხოლო ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში გამოიწვია კატასტროფული შედეგებიც (ეკონომიკური, ჰუმანიტარული). სწორედ ამიტომ, დროის სვლასთან ერთად ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები სულ ფურო მეტად რწმუნდებოდნენ, რომ მათ აუცილებლად სჭირდებოდათ რუსეთიდან იმპორტირებულ გაზზე დამოკიდებულების შემცირება. ევროკავშირმა რუსეთიდან იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით არაერთ ენერგოპროექტს გამოუცხადა პოლიტიკური მხარდაჭერა და ზოგ შემთხვევაში ცდილობდა შეეფერხებინა რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ენერგოპროექტები. თუმცა, ამ გაზე ევროკავშირის სერიოზული გამოწვევები შეხვდა რუსეთის სახით, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით ცდილობდა ხელი შეეშალა ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის დივერსიფიკაციის მცდელობებისთვის. მოცემული საკითხის საკვლევად შევისაწავლეთ 2000-იანი წლებიდან მოყოლებული რუსეთისა და ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი ენერგოპროექტები. რუსეთი ორი მიმართულებით ცდილობდა ხელი შეეშალა ევროკავშირის რუსეთზე დამოკიდებულების შემცირების პოლიტიკას: პირველი, რუსეთს არ დაეშვა იმ ენერგოპროექტების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავდნენ კასპიის ზღვის ბუნებრივი აირის იმპორტირებას რუსეთის გვერდის ავლით სამხრეთ კავკასიის დერეფნის გამოყენებით ევროკავშირამდე მიტანას; მეორე, რუსეთს თავად განეხორციელებინა ახალი ენერგოპროექტები, რომლებიც კიდევ უფრო მეტ რუსულ ბუნებრივ აირს შეიტანდნენ ევროკავშირის ენერგო ბაზარში.

პირველ საკითხთან მიმართებაში, კერძოდ ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ენერგოპროექტების კონტექსტში შევისწავლეთ ნაბუკოს გაზსადენის, ტრანს-კასპიური

მილსადენის და ნაბუკო ვესტის პროექტები. აღნიშნულ მილსადენებთან დაკავშირებით რუსეთმა სხვადასხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით შეეცადა მათ განხორციელების შეფერხებას.

ნაბუკოს პროექტთან მიმართებაში ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენდა მილსადენის გაზით შევსების საკითხი, რადგან პროექტის ინვესტორებმა მხოლოდ აზერბაიჯანის თანხმობა მიიღეს ნაბუკოს მილსადენის შევსებასთან დაკავშირებით. გაზით მომარაგებელ პოტენციურ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ თურქმენეთი და ყაზახეთი, მაგრამ მათი გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე აუცილებელი იყო ტრანს-კასპიური მილსადენის განხორციელება, რომ აღნიშნულ ქვეყნებს თავიანთი გაზი მიეწოდებინათ აზერბაიჯანისთვის. თუმცა, რუსეთმა და ირანმა ტრანს-კასპიური მილსადენის დაბლოკვის მიზნით გამოიყენეს კასპიის ზღვის დაუდგენელი სამართლებრივი საკითხი და ეკოლოგიური მიზეზები. შედეგად, ნაბუკოს პროექტი დარჩა გაზის მომწოდებელი სახელმწიფოების გარეშე. გარდა მოცემული საკითხისა, ნაბუკოს პროექტის მეორე პრობლემას წარმოადგენდა მისი სიძვირე, რის გამოც პროექტის ინვესტორები თუ კერძო ბანკები ძალიან ფრთხილობდნენ პროექტში ფულის ჩადებისგან. მათთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში პროექტისგან მიეღოთ მოგება. თუმცა, ამას ნაწილობრივ ეჭვქვეშ აყენებდა ორი პრობლემა. პირველი პრობლემა იყო რუსეთის მიერ ინიცირებული სამხრეთის ნაკადის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ნაბუკოსთან შედარებით 2-ჯერ მეტი ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას ევროკავშირის ბაზარზე (წლიურად 63 მლრ მ³). ამან ინვესტორებში გამოიწვია შიში, რომ ნაბუკოს და სამხრეთის ნაკადის ერთდროულად განხორციელების შედეგად ევროკავშირის ენერჯო ბაზარს წალეკავდა ბუნებრივი აირი, რაც აუცილებლად გამოიწვევდა მასზე ფასების შემცირებას. სიტუაციას ისიც ამძაფრებდა, რომ რუსეთმა ძალიან მოკლე ვადაში შეძლო არა მარტო ევროკავშირის ცალკეული წევრების პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება, არამედ ნაბუკოს პროექტის მხარდამჭერი სახელმწიფოების დარწმუნებაც. ეს კი სამხრეთ ნაკადის პროექტის განხორციელების ატმოსფეროს ქმნიდა ინვესტორებს შორის. ნაბუკოს პროექტის ინვესტორებისთვის რუსეთთან მიმართებაში მეორე პრობლემას წარმოადგენდა

მილსადენის უსაფრთხოების საკითხი. ნაბუკოს პროექტის მილსადენის მომარაგება იგეგმებოდა საქართველოზე გამავალი გაზსადენის საშაულებით, რომელიც აზერბაიჯანულ გაზს მიიტანდა თურქეთში არსებულ ნაბუკოს მილსადენამდე. თუმცა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა, საქართველოზე გამავალი მილსადენის უსაფრთხოების სერიოზული გამოწვევები შექმნა. სიტუაცია გაართულა იმ ფაქტმაც, რომ ომის შემდეგ რუსეთმა საქართველს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების შენება და ბორდერიზაციის პოლიტიკა წამოიწყო. ეს კი ინვესტორებში აჩენდა შიშს, რომ პროვოკაციების შემთხვევაში შესაძლებელი იყო ნაბუკოს მილსადენს ვეღარ მიეღო მისი ერთადერთი გაზით მომარაგებელი აზერბაიჯანისგან ბუნებრივი აირი. საბოლოო ჯამში, ნაბუკოს პროექტთან მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა ნაბუკოს პროექტის გაზით მომარაგებელ სახელმწიფოებზე ზეწოლით (ტრანს-კასპიური მილსადენის კონტექსტში), ინვესტორების დაშინებით და პროექტისთვის უსაფრთხოების გამოწვევებით საფუძველი შეურყია ნაბუკოს პროექტის განხორციელებას.

როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ ტრანს-კასპიურ მილსადენი ევროკავშირისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ნაბუკოს კონტექსტში. ზოგადად მოცემული მილსადენი 1990-იანებიდან მოყოლებული ყოველთვის იწვედა ევროკავშირის დაინტერესებას, რადგან მისი დახმარებით თურქმენული და ყაზახური ბუნებრივი აირის იმპორტირება იყო შესაძლებელი რუსეთის გვერდის ავლით. თუმცა, რუსეთმა ტრანს-კასპიური მილსადენის თემის დაბლოკვა არაერთხელ შემლო კასპიის ზღვის სამართლებრივი საკითხის გაურკვევლობის და ეკოლოგიური მიზეზების გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს კასპიის რეგიონის ქვეყნები შეთანხმდნენ ზღვის სამართლებრივ საკითხებზე, მაგრამ რუსეთმა და ირანმა 2018 წლის შეთანხმებაში სპეციალურად შეატანინეს დებულება, რომლის მიხედვითაც კასპიის ზღვაში დიდი პროექტების განხორციელების შემთხვევაში საჭირო იყო რეგიონის ყველა ქვეყნის თანხმობის მიღება. ამ გზით რუსეთმა უკვე სამართლებრივი გზით შეიძინა ტრანს-კასპიური მილსადენის პროექტის დაბლოკვის უფლება.

ნაბუკო ვესტის პროექტი, როგორც კვლევის დროსაც ვაჩვენეთ, ევროკავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ წევრი ქვეყნებისთვის რუსეთის გავლენების შემცირების კონტექსტში სტრატეგიულად უფრო მნიშვნელოვანი იყო ვიდრე ტრანს-ადრიატიკის პროექტი. ეს ძალიან კარგად გამოჩნდა კიდევ 2009 წელს რუსეთის მხრიდან უკრაინისთვის გაზის შეწვევების შედეგად, როდესაც ევროკავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ წევრი ქვეყნები გაცილებით უფრო მეტად დაზარალდნენ ვიდრე სხვა წევრი სახელმწიფოები. სწორედ ამ ვითარებიდან გამომდინარე რუსეთმა შეიცვალა ტაქტიკა და მხარი დაუჭირა იმ ენერგოპროექტს, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც ნაკლებად დაზარალდებოდა მისი საგარეო პოლიტიკური ინტერესები. ასეთი ენერგოპროექტი გამოდგა ტრანს-ადრიატიკის მილსადენი. სწორედ ამიტომ, რუსეთი აზერბაიჯანზე ზეწოლის შედეგად ცდილობდა შაჰ-დენიზის კონსორციუმის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენას. კერძოდ, რუსეთმა აზერბაიჯანს გადასცა 1 მლრ დოლარის ღირებულების სამხრედრო შეიარაღება და, ასევე აზერბაიჯანის სამხელმწიფო კომპანიას გადასცა საბერძნეთის გაზის სატრანზიტო სისტემა DESFA. აზერბაიჯანიც კარგად აცნობიერებდა, რომ არ ღირდა რუსეთთან კონფრონტაციაში შესვლა და მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომლითაც არც რუსეთი გააღიზიანა და ამავდროულად თავისი მიზანიც აისრულა (ევროკავშირში შეიტანა აზერბაიჯანული გაზი).

ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის დივერსიფიკაციის კონტექსტში, რუსეთი არა მარტო ცდილობდა შეეფერხებინა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ენერგოპროექტები, არამედ თავადვე გეგმავდა ახალ ენერგოპროექტებს, რომლებიც კიდევ უფრო მეტად გაზრდიდნენ ევროკავშირის რუსეთზე დამოკიდებულებას. ამ საკითხთნ მიმართებაში გაავანალიზეთ რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ის ენერგოპროექტები, როგორებიც არის სამხრეთის ნაკადი, ჩრდილოეთის ნაკადი ერთი და ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის პროექტები. კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ რუსეთმა ეფექტურად შეძლო თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ევროკავშირის წევრი ქვეყნების არაკოორდინირებული ენერგოპოლიტიკა რუსეთზე დამოკიდებულების შემცირების კონტექსტში.

სამხრეთ ნაკადის პროექტთან მიმართებაში, მიუხედავად ევროკავშირის და მისი ცალკეული სახელმწიფოების პოზიციების (პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები), ევროკავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ წევრი ქვეყნები (მათ შორის ნაბუკოს პროექტის მხარდამჭერი სახელმწიფოებიც) მზად იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ სამხრეთის ნაკადის პროექტის განხორციელებაში. აღნიშნულმა სახელმწიფოებმა რუსეთთან ხელშეკრულებებიც კი გააფორმეს, რითაც პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადეს პროექტს. ეს ნაწილობრივ გამოწვეული იყო იმით, რომ ამ სახელმწიფოებს არ სურთად 2009 წლის შემთხვევის განმეორება, რომლის დროსაც ბუნებრივ აირის შეწვეტის გამო ზოგიერთ მათგანს ეკონომიკური და ჰუმანიტარული კატასტროფების გადატანა მოუწიათ. ასევე, სამხრეთ ნაკადის პროექტის განხორციელებით ისინი სხვადასხვა სარგებელს მიიღებდნენ, როგორც იყო ტრანზიტისგან მიღებული შემოსავლები, შეღავათები და პოლიტიკური გავლენა ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებთან მიმართებაში. შესაბამისად, მიუხედავად ევროკავშირის სუპრანაციონალური ინტერესებისა, მოცემულმა სახელმწიფოებმა არჩიეს საკუთარი ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილება. რუსეთმა კი აღნიშნულით ისარგებლა და მას შესაძლებლობა მიეცა ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის დივერსიფიკაციისთვის ხელი შეეშალა და ევროკავშირში დამატებით 63 მლრ მ³ რუსული ბუნებრივი აირის შეტანის შესაძლებლობა მიეცა (თუმცა, პროექტი ჩავარდა ევროკავშირის მცდელობების შედეგად).

ჩრდილოეთ ნაკადის პროექტმა დიდი გამოხმაურება გამოიწვიეს არა მარტო ევროკავშირის მასშტაბით, არამედ აშშ-ს მხრიდანაც. აღნიშნული მილსადენების განხორციელება არ შედიოდა ევროკავშირის სუპრანაციონალურ ინტერესებში, რადგან მათი განხორციელების შემთხვევაში ჯამში ევროკავშირი დამატებით 110 მლრ მ³ გაზს მიიღებდა რუსეთისგან. ეს კი კიდევ უფრო მეტად გაზრდიდა ევროკავშირის რუსეთზე დამოკიდებულებას, რაც საბოლოო ჯამში ზიანს მიაყენებდა ევროკავშირის რეგიონალურ ინტერესებს. აშშ-ს, ევროკავშირის და განსაკუთრებით მისი ცალკეული წევრი სახელმწიფოების მცდელობების, რომ აღნიშნული ენერგოპროექტები არ განხორციელებულიყო, რუსეთმა მაინც შეძლო მათი განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი

წარმატებების მიღწევა. ეს პირველრიგში გამოწვეული იყო იმით, რომ ამ შემთხვევაშიც რუსეთმა კარგად გამოიყენა ევროკავშირის წევრი სახელწმიფოების დანაწევრებული ენერგოპოლიტიკა. კერძოდ, რუსეთმა შეძლო გერმანიის დარწმუნება. ევროკავშირის სუპრანაციონალური ინტერესების მიუხედავად გერმანიის ეროვნულ ინტერესებში შედიოდა ჩრდილოეთის ნაკადის პროექტების განხორციელება. გერმანია, ამ პროექტების განხორციელებით აღარ იქნებოდა დამოკიდებული ბუნებრივი აირის ტრანზიტ ქვეყნებსა და რუსეთს შორის არსებულ პოლიტიკურ ვითრებაზე. ასევე, გერმანია იყო ევროკავშირში ყველაზე დიდი ენერგეტიკის ბაზარი, ხოლო ბუნებრივ აირზე მოთხოვნა სულ უფრო მეტად იზრდებოდა, რასაც დაკმაყოფილება ესაჭიროებოდა. და ბოლოს, გერმანიისთვის რუსეთი შედარებით ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენდა, რის გამოც მისთვის რუსულ ბუნებრივ აირზე დამოკიდებულების შემცირება ნაკლებად პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენდა ვიდრე ეკონომიკური თანამშრომლობიდან მიღებული სარგებელი.

ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა - *რაც უფრო ფრაგმენტულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ენერგოპოლიტიკები ორგანიზაციის საერთო ენერგოპოლიტიკასთან მიმართებაში (კერძოდ რუსეთის გაზზე დამოკიდებულების შემცირების მიმართულებით), მით უფრო წარმატებულია რუსეთის ენერგოპოლიტიკა ევროკავშირის მასზე დამოკიდებულების შენარჩუნების პოლიტიკაში* - სამხრეთ ნაკადის, ჩრდილოეთის ნაკადის და ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის პროექტების განხილვის კონტექსტში არის ვალიდური. მართალია, რომ სამხრეთ ნაკადის პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა, რაც გამოწვეული იყო ევროკავშირის მხრიდან მიღებული დირექტივით, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც წევრ სახელმწიფოს სამართლებრივ კონტექსტში შეექმნებოდა სერიოზული პრობლემები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის პოზიციის მიუხედავად სამხრეთის ნაკადმა მიიღო ყველა საჭირო პოლიტიკური მხარდაჭერა ტრანზიტის ქვეყნებისგან. ეს კი სამხრეთ ნაკადის პროექტის განხორციელების თეორიულ შესაძლებლობას იძლეოდა. ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სამხრეთ ნაკადის პროექტის ჩაშლა მოხდა ევროკავშირის მხრიდან ბულგარეთის სახელმწიფოზე ზეწოლის შემდეგ. ხოლო ბულგარეთის სახელმწიფო კი, აღმასრულებელ და საკანონმდებლო დონეზე მზადყოფნას აცხადებდა სამხრეთ ნაკადის

პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთმა უარი თქვა სამხრეთ ნაკადის პროექტში მონაწილეობაზე, მაგრამ მან ასევე დაამატა, რომ ბულგარეთი მზად იყო სამხრეთ ნაკადის პროექტის ტრანზიტი სახელმწიფო ყოფილი თუ რუსეთი დააკმაყოფილებდა ევროკავშირის ანტიმონოპოლიურ დირექტივას. შესაბამისად, რუსეთის მხრიდან ევროკავშირის ანტი-მონოპოლიური დირექტივის დაკმაყოფილების შემთხვევაში მას მაინც მიეცემოდა ევროკავშირში სამხრეთ ნაკადის გამოყენებით 63 მლრ მ³ ბუნებრივი აირის შეტანის შესაძლებლობა, რაც ევროკავშირის სუპრანაციონალურ ინტერესებში კვლავ არ შედიოდა.

დასკვნის სახით ვიტყვით იმას, რომ მიუხედავად ევროკავშირის მცდელობებისა, რომ რუსეთიდან იმპორტირებულ გაზზე დამოკიდებულება შეამციროს, მისი ეს პოლიტიკა არის წარუმატებელი. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2018 წლის მონაცემებით ევროკავშირის მხრიდან რუსეთიდან იმპორტირებულმა ბუნებრივმა აირმა კვლავ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია 40% (200.8 მლრ მ³). ხოლო ეს იმ ფონზე, როდესაც ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის პროექტი (რომელიც 55 მლრ მ³ გაზის ექსპორტირებას ისახავს მიზნად ევროკავშირში) ჯერ არ დასრულებულა. შესაბამისად, აღნიშნული მილსადენის დასრულების შემდეგ ევროკავშირის რუსეთზე დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტად გაიზრდება პროცენტულ მაჩვენებლებში.

ბიბლიოგრაფია

- აკობია, ეკა (2006). „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“. გამომცემელი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი. Retrieved from: http://old.ucss.ge/010%20Saertashoriso%20Urtiertobebis%20Teoria_txfnTbKRrH.pdf (30.05.2021)
- გვალაია, გიორგი (2008). „ძალთა წონასწორობა თუ საფრთხის წონასწორობა? ალიანსები სამხრეთ კავკასიაში“. საერთაშორისო პოლიტიკის სერია (4). ბთკკ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი. Retrieved from: <http://eprints.iliauni.edu.ge/863/> (13.06.2021)
- გარაყანიძე, ნატა (2020). „ენერგორესურსები და პოსტსაბჭოთა პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა“. Retrieved from: https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Nata_Garakanidze.pdf (21.06.2021)
- კომახია, მამუკა (2017). „სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანი: პერსპექტივები და გამოწვევები“. Retrieved from: <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/79-expert-opinion-geo.pdf> (21.06.2021)

რონდელი, ალექსანდრე (2006). „საერთაშორისო ურთიერთობები“. გამომცემლობა: ნეკერი.
Retrieved from: <http://www.bu.org.ge/x1834?lang=geo> (13.06.2021)

Agayev, Zulfugar (2012). “*TAP gas pipeline project gains support of Italy, Greece, Albania*”. Retrieved from: <https://www.bloomberg.com/news/articles/2012-09-28/tap-gas-pipeline-project-gains-support-of-italy-greece-albania> (21.06.2021)

BBC Staff (2014). “*Russia drops South Stream gas pipeline plan*”. Retrieved from: <https://www.bbc.com/news/world-europe-30283571> (30.05.2021)

By Bogoviz, Lobova, Ragulina, & Alekseev (2018). „*Russia’s Energy Efficiency Policies in the Industry Sector: Critical Perspectives*”. Retrieved from: <https://ideas.repec.org/a/eco/journ2/2018-06-8.html> (30.05.2021)

British Petroleum - Energy charting tool and app. Retrieved from: <https://www.bp.com/en/global/corporate/energy-economics/energy-charting-tool-desktop.html> (30.05.2021)

By Aigerim Ibrayeva, Dmitriy V. Sannikov, Marsel A. Kadyrov, Vladimir N. Zapevalov, Elnur L. Hasanov, Vladimir N. Zuev (2018). „*Importance of the Caspian Countries for the European Union Energy Security*“. Retrieved from: <https://www.econjournals.com/index.php/ijeep/article/view/6263/3717> (13.06.2021)

By Simon Pirani, Jonathan Stern and Katja Yafimava (2009). “*The Russo-Ukrainian gas dispute of January 2009: a comprehensive assessment*”. Retrieved from: <https://www.oxfordenergy.org/wpcms/wp-content/uploads/2010/11/NG27-TheRussoUkrainianGasDisputeofJanuary2009AComprehensiveAssessment-JonathanSternSimonPiraniKatjaYafimava-2009.pdf> (30.05.2021)

By Shamkhal Abilov, Ceyhun Mahmudlu & Natig Abdullayev (2020). “*Contested Waters: implications of the 2018 convention on the legal status of the Caspian sea and the future of the trans-caspian pipeline*”. Retrieved from: <https://www.insightturkey.com/articles/contested->

waters-implications-of-the-2018-convention-on-the-legal-status-of-the-caspian-sea-and-the-future-of-the-trans-caspian-pipeline#:~:text=The%20parties%20reached%20a%20final,to%20the%20five%20coastal%20S tates (21.06.2021)

By Anita Sobjak & Konrad Zasztowt (2012). “*Nabucco West—Perspectives and Relevance: The Reconfigured Scenario*”. Retrieved from: <https://www.files.ethz.ch/isn/155288/PISM%20Policy%20Paper%20no%2044.pdf> (30.05.2021)

BBC Staff (2008). “*Bulgarian Parliament Ratifies Agreement with Russia on South Stream*”. Retrieved from: https://www.rigzone.com/news/oil_gas/a/64696/bulgarian_parliament_ratifies_agreement_wi th_russia_on_south_stream/ (30.05.2021)

BBC Staff (2005). “*Baltic deal worries polish press*”. Retrieved from: <http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/4226296.stm> (30.05.2021)

Barden, Justine (2015). “*Natural gas pipelines under construction will move gas from Azerbaijan to southern Europe*”. US Energy Information Administration. Retrieved from: <https://www.eia.gov/todayinenergy/detail.php?id=23332> (30.05.2021)

Boyes, Roger (2009). “*Comment: Gazprom is not a market player, it’s a political weapon*”. Retrieved from: <https://www.thetimes.co.uk/article/comment-gazprom-is-not-a-market-player-its-a-political-weapon-nhj35gckkj3> (21.06.2021)

Cohen, Josh (2015). “*COLUMN-Vladimir putin’s most effective weapon is gas – but not the poison kind*”. Retrieved from: <https://www.reuters.com/article/cohen-gazprom-idUSL1N1082VT20150728> (21.06.2021)

Cini, Michelle & Nieves, Perez-Solorzano Borrigan (2010). “*European Union Politics*”. 3rd edition. Chapter 6 – Intergovernmentalism. Retrieved from:

https://edisciplinas.usp.br/pluginfile.php/4030530/mod_resource/content/1/Cini%20c.%206.pdf (21.06.2021)

Cohen, Ariel (2006). *“The north European gas pipeline threatens Europe’s Energy Security”*. Published by the heritage foundation. Retrieved from: <https://www.heritage.org/europe/report/the-north-european-gas-pipeline-threatens-europes-energy-security> (13.06.2021)

Cason, Bruce A. (2015). “The Trans-caspian pipeline: implications for the five littoral states”. Retrieved from: <https://academic.oup.com/jwelb/article-abstract/8/5/474/945437> (13.06.2021)

Corner, Elizabeth (2014). *“Italian EU presidency in support for south stream pipeline”*. Retrieved from: https://www.worldpipelines.com/business-news/11072014/italian_eu_presidency_in_support_for_south_stream_pipeline/ (13.06.2021)

DaDalt, Audrey and Hyun Park, Seo (2020). *“Asymmetric interdependence and the politics of energy in Europe: Hirschman’s ‘influence effect’ redux”*. Retrieved from: <https://link.springer.com/article/10.1057/s41268-020-00184-x> (13.06.2021)

Deutsche Welle Staff (2014). “Austria and Russia sign South Stream Pipeline agreement”. Retrieved from: <https://www.dw.com/en/austria-and-russia-sign-south-stream-pipeline-agreement/a-5503376> (21.06.2021)

Deutsche Welle Staff (2014). *“Austria defies US, EU over South Stream during Putin visit”*. Retrieved from: <https://www.dw.com/en/austria-defies-us-eu-over-south-stream-during-putin-visit/a-17734602> (30.05.2021)

Eurostat - Retrieved from: <https://ec.europa.eu/eurostat/cache/infographs/energy/bloc-2c.html> (30.05.2021)

European Commission Communication (2008). *“Second Strategic Energy review – an EU energy security and solidarity action plan”*. COM(2008) 781 FINAL. 4 p. Retrieved from: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52008DC0781> (21.06.2021)

- Erdogdu, Erkan (2010). *“Bypassing Russia: Nabucco project and its implications for the European gas security”*. Retrieved from: <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S136403211000208X> (21.06.2021)
- Economist Staff (2019). *“A plan to reduce Europe’s dependence on Russian gas looks shaky”*. Retrieved from: <https://www.economist.com/business/2019/01/05/a-plan-to-reduce-europes-dependence-on-russian-gas-looks-shaky> (21.06.2021)
- Fuhrmann, Michael (2019). *“European union keen on trans-caspian pipeline development – improvement of relations with Russia and turkey a key hurdle”*. https://www.mitsui.com/mgssi/en/report/detail/_icsFiles/afieldfile/2020/01/31/1911e_fuhrmann_e.pdf (13.06.2021)
- Fernandez, Rafael (2010). *“Nabucco and the Russian gas strategy vis-à-vis Europe”*. <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/14631377.2011.546976> (13.06.2021)
- Fritz, Philipp (2020). *“A pipeline that divides: Germany, Poland and Nord Stream”*. Retrieved from: <https://notesfrompoland.com/2020/09/25/a-pipeline-that-divides-germany-poland-and-nord-stream/> (30.05.2021)
- France24 Group (2008). *“BP announces new Georgian pipeline closures”*. Retrieved from: <https://www.france24.com/en/20080812-bp-announces-new-georgian-pipeline-closures-georgia-energy> (30.05.2021)
- Forsberg, Tuomas (2016). *“From Ostpolitik to ‘frostpolitik’? merkel, putin and german foreign policy towards russia”*. Retrieved from: <https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/1468-2346.12505> (30.05.2021)
- Gazprom (2010). *“South stream is estimated to cost EUR 15.5 billion”*. Retrieved from: <https://www.gazprom.com/press/news/2010/november/article106074/> (21.06.2021)
- Gazprom (2018). Retrieved from: <https://www.gazpromexport.ru/en/statistics/> (30.05.2021)

Gazprom. Retrieved from: <https://www.gazprom.com/projects/nord-stream2/> (21.06.2021)

Gurbanov, Ilgar (2013). “*Between TAP and Nabucco: Who is the “WINNER” of pipeline selection? – Azerbaijan or Russia?*”. Retrieved from: <https://energycorridors.wordpress.com/2013/08/31/between-tap-and-nabucco-who-is-the-winner-of-pipeline-selection-azerbaijan-or-russia/> (30.05.2021)

Gurzu, Anca & Schatz, Joseph J. (2016). “Great northern gas war”. Retrieved from: <https://www.politico.eu/article/the-great-northern-gas-war-nordstream-pipeline-gazprom-putin-ukraine-russia/> (30.05.2021)

Goldthau, Andreas (2016). “*Assessing nord stream 2: regulation, geopolitics and energy security in the EU, central eastern Europe and the uk*”. Retrieved from: <https://www.asktheeu.org/en/request/7115/response/23365/attach/2/Goldthau%20July%202016.pdf>

Hirschman, Albert (1945). „*National Power and the Structure of Foreign Trade*“. University of California Press. Retrieved from: <https://dspace.gipe.ac.in/xmlui/bitstream/handle/10973/29303/GIPE-026809.pdf> (30.05.2021)

Hajiev, Shahnar (2019). “*Turkmenistan should promote the Trans-Caspian Pipeline more actively*”. Retrieved from: <https://www.euractiv.com/section/azerbaijan/opinion/turkmenistan-should-promote-the-trans-caspian-pipeline-more-actively/> (30.05.2021)

Hydrocarbons Technology Staff. “*Trans Anatolian natural gas pipeline project*”. Retrieved from: <https://www.hydrocarbons-technology.com/projects/trans-anatolian-natural-gas-pipeline-project-tanap/> (21.06.2021)

Hydrocarbons Technology Staff. “*South stream pipeline project, Europe*”. Retrieved from: <https://www.hydrocarbons-technology.com/projects/southstream/> (21.06.2021)

- Johnson, Keith (2015). “*Putin’s Ukrainian power play*”. Retrieved from: <https://foreignpolicy.com/2015/02/24/putins-ukrainian-power-play-natural-gas-gazprom-naftogaz/> (21.06.2021)
- Jacobsen, Ryan (2021). “US Sanctions on Nord Stream 2”. Retrieved from: <https://www.politikaspolecnost.cz/wp-content/uploads/2021/01/US-Sanctions-on-Nord-Stream-2-IPPS.pdf> (21.06.2021)
- Keohane, Robert, O. & Nye, Joseph (1977). “*Power and interdependence: world politics in transition*”. Boston: Little, Brown.
- Korteweg, Rem (2018). “*Energy as a tool of foreign policy of authoritarian states, in particular russia*”. Retrieved from: [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/603868/EXPO_STU\(2018\)603868_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/603868/EXPO_STU(2018)603868_EN.pdf) (13.06.2021)
- Kakachia, Kornely K. (2011). “*Challenges to the South Caucasus regional security aftermath of Russian–Georgian conflict: Hegemonic stability or new partnership?*”. Retrieved from: <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1879366510000382> (13.06.2021)
- Karayianni, Marika (2018). “*Is the Trans-caspian gas pipeline really important for europe*”. Retrieved from: <https://www.iene.eu/is-the-trans-caspian-gas-pipeline-really-important-for-europe-p4022.html> (21.06.2021)
- Kubicek, Paul (2013). “*Energy politics and geopolitical competition in the caspian basin*”. Retrieved from: <https://journals.sagepub.com/doi/10.1016/j.euras.2013.03.007> (21.06.2021)
- Kiselyova, Maria (2021). “*Russia within 62 miles of finishing Nord Stream 2 gas pipeline*”. Retrieved from: <https://www.reuters.com/business/energy/russia-says-nord-stream-2-pipeline-almost-complete-100-km-left-tass-2021-06-03/> (21.06.2021)

- Shchedrov, Oleg (2008) “*UPDATE 2-Russia wins Hungary for South Stream gas project*“. Retrieved from: <https://www.reuters.com/article/oilRpt/idUKL2530997220080225?edition-redirect=uk> (30.05.2021)
- Loskot-strachota, Agata (2008). “*Nabucco vs. south stream – rivalry over Balkan gas pipelines*”. Retrieved from: https://www.files.ethz.ch/isn/55482/commentary_03.pdf (21.06.2021)
- Larsson, Robert, L. 2007. Nord Stream, Sweden and Baltic Sea Security. FOI. Swedish Defence Research Agency.
- Laitai, Roland (2009). “Nabucco VS. South stream: the effects and feasibility in the central and eastern European region”. Retrieved from: <http://members.igu.org/html/wgc2009/papers/docs/wgcFinal00780.pdf> (21.06.2021)
- Litera, Bohuslav (1995). “*The Kozyrev doctrine – a Russian variation on the Monroe doctrine*”. <https://www.jstor.org/stable/23615773> (13.06.2021)
- Mikulska, Anna. 2018. “*Nord Stream 2: between monopoly and diversification*”. Retrieved from: <https://isppan.waw.pl/wp-content/uploads/2019/07/MIKULSKA-SM-4-2018.pdf> (21.06.2021)
- Mikhelidze, Nona (Jul 2013). “*The winner is TAP: the EU’s failed policy in the south caucasus*”. Journal: istituto affair internazionali. Retrieved from: https://www.jstor.org/stable/resrep09725?seq=1#metadata_info_tab_contents (13.06.2021)
- Macdowall, Andrew (2014). „*The South Stream “pipeline” and Bulgarian syntactical gymnastics*“. Retrieved from: <https://www.ft.com/content/97163233-70ff-3755-9976-f97ecc35fe94> (30.05.2021)
- National Intelligence Estimate (2007). „*Iran: Nuclear Intentions and Capabilities*“. Retrieved from: https://web.archive.org/web/20101122022043/http://www.dni.gov/press_releases/20071203_release.pdf (30.05.2021)

- Norling, Nicklas (2007). „*Gazprom’s Monopoly and Nabucco’s Potentials: Strategic Decisions for Europe*“. Retrieved from: https://www.silkroadstudies.org/resources/pdf/SilkRoadPapers/2007_11_SRP_Norling_Gazprom-Nabucco.pdf (30.05.2021)
- Nedelkovski, Kire (2010). “*Croatia Signs Agreement with Russia on South Stream Gas Project - Hina*”. Retrieved from: <https://seenews.com/news/croatia-signs-agreement-with-russia-on-south-stream-gas-project-hina-194239> (30.05.2021)
- NS Energy Staff Writer (2009). “*Russia, Slovenia Sign South Stream Gas Pipeline Project Agreement*”. Retrieved from: https://www.nsenergybusiness.com/news/newsrussia_slovenia_sign_south_stream_gas_pipeline_project_agreement_091114/ (30.05.2021)
- NS Energy Staff. “*TurkStream Pipeline*”. Retrieved from: <https://www.nsenergybusiness.com/projects/turkstream-pipeline/> (30.05.2021)
- NS Energy Staff (2019) “*Trans Adriatic pipeline*”. Retrieved from: <https://www.nsenergybusiness.com/projects/trans-adriatic-pipeline/> (21.06.2021)
- Obara, Marcin (2021). „*Polish, Slovenian PMs call on Germany to withdraw from Nord Stream 2*“. Retrieved from: <https://www.thefirstnews.com/article/polish-slovenian-pms-call-on-germany-to-withdraw-from-nord-stream-2-21445> (30.05.2021)
- Pirani, Simon (2019). “*Central Asian Gas: prospects for the 2020s*”. THE OXFORD INSTITUTE FOR ENERGY STUDIES. Retrieved from: <https://www.oxfordenergy.org/publications/central-asian-gas-prospects-for-the-2020s/> (21.06.2021)
- Rutland, Peter (2008). “*Russia as an Energy Superpower*”. Retrieved from: <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13563460802018547?journalCode=cnpe20> (21.06.2021)


- Reuters Staff (2010). “*Gazprom, Greece sign South Stream gas venture deal*”. Retrieved from: <https://cn.reuters.com/article/russia-greece-southstream/gazprom-greece-sign-south-stream-gas-venture-deal-idUSLDE6561U120100607> (30.05.2021)
- Reuters Staff (2009). “*TIMELINE-Key dates for Nabucco and South Stream pipelines*”. Retrieved from: <https://www.reuters.com/article/gas-nabucco-timeline-idUSL77647320090807> (30.05.2021)
- Rettman, Adnrew (2018). “EU documents lay bare Russian energy abuse”. Retrieved from: <https://euobserver.com/foreign/141584> (30.05.2021)
- Statista (2021). “*Mashriq region: total population 2020, by country*”. <https://www.statista.com/statistics/981706/total-population-of-the-mashriq-countries/#:~:text=The%20Mashriq%2C%20also%20Mashreq%2C%20is,United%20Arab%20Emirates%2C%20and%20Yemen> (30.05.2021)
- Statista (2021). Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/1021735/share-russian-gas-imports-eu/> (30.05.2021)
- Statista (2021). Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/1021752/share-russian-petroleum-oil-imports-eu/> (30.05.2021)
- Statista (2021). Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/1021735/share-russian-gas-imports-eu/> (30.05.2021)
- Statista (2021). “*Share of gas supply from Russia in Europe in 2019, by selected country*”. Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/1201743/russian-gas-dependence-in-europe-by-country/> (30.05.2021)
- Statista (2014). “*Selected countries' estimated reliance on natural gas supplied by Russia in 2012*”. Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/305395/natural-gas-supplied-by-russia-as-a-share-of-total/> (30.05.2021)

- Socor, Vladimir (2006). „*INTEREST REBOUNDS IN TRANS-CASPIAN PIPELINE FOR TURKMEN GAS*“. Retrieved from: <https://jamestown.org/program/interest-rebounds-in-trans-caspian-pipeline-for-turkmen-gas/> (30.05.2021)
- Trans Adriatic Pipeline (2012). “*Trans Adriatic pipeline selected by shah Denis as the priority route to Italy*”. Retrieved from: <https://www.tap-ag.com/news/news-stories/trans-adriatic-pipeline-selected-by-shah-deniz-as-the-priority-route-to-italy> (30.05.2021)
- Trans Adriatic Pipeline (2013). “*Shah Deniz consortium selects the Trans Adriatic pipeline (TAP) as European export pipeline*”. Retrieved from: <https://www.tap-ag.com/news/news-stories/shah-deniz-consortium-selects-the-trans-adriatic-pipeline-tap-as-european-export-pipeline> (30.05.2021)
- Trans Adriatic Pipeline (2013). “*Greece, Italy and Albania sign a trilateral intergovernmental agreement, demonstrating their full support for tap*”. Retrieved from: <https://www.tap-ag.com/news/news-stories/greece-italy-and-albania-sign-a-tri-lateral-intergovernmental-agreement-demonstrating-their-full-support-for-tap> (30.05.2021)
- Socor, Vladimir (2013). “*Nabucco Countries’ Governments Appeal to EU for Support of the Project*”. Retrieved from: <https://jamestown.org/program/nabucco-countries-governments-appeal-to-eu-for-support-of-the-project/> (30.05.2021)
- Sytas, Andrius (2016). “*EU leaders sign letter objecting to Nord Stream-2 gas link*”. <https://www.reuters.com/article/uk-eu-energy-nordstream-idUKKCN0WI1YV> (30.05.2021)
- Spiegel, P (2014). “*Brussels chiefs urge EU states to approve tough curbs on Russia*”. Retrieved from: <https://www.ft.com/content/0ae68c40-142a-11e4-9acb-00144feabdc0> (30.05.2021)
- Tandy, Nigel (2010). “*Austria and Russia sign South Stream pipeline agreement*”. Retrieved from: <https://www.dw.com/en/austria-and-russia-sign-south-stream-pipeline-agreement/a-5503376> (30.05.2021)

- Torbakov, Igor (2000). *“Putin’s Russia defines its foreign policy agenda”*. Retrieved from:
<https://eurasianet.org/putins-russia-defines-its-foreign-policy-agenda> (13.06.2021)
- U.S. Energy Information Administration (EIA) (2017). *“RUSSIA”*. Retrieved from:
<https://www.eia.gov/international/analysis/country/RUS> (30.05.2021)
- U.S. Energy Information Administration (EIA) (2014). *“Oil and natural gas sales accounted for 68% of Russia’s total export revenues in 2013”*. Retrieved from:
<https://www.eia.gov/todayinenergy/detail.php?id=17231> (30.05.2021)
- Worldometer Group. *“Natural Gas Reserves by Country”*. Retrieved from:
<https://www.worldometers.info/gas/gas-reserves-by-country/> (30.05.2021)
- Worldometer Group. *“Oil Reserves by Country”*. Retrieved from:
<https://www.worldometers.info/oil/oil-reserves-by-country/> (30.05.2021)

დანართები

1. დანართი



ევროკავშირის წევრი ქვეყნების რუსეთის გაზზე % დამოკიდებულება 2012 და 2019 წლებში.

წყარო:

Statista (2021). *“Share of gas supply from Russia in Europe in 2019, by selected country”*. Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/1201743/russian-gas-dependence-in-europe-by-country/> (21.06.2021)

Statista (2014). *“Selected countries' estimated reliance on natural gas supplied by Russia in 2012”*. Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/305395/natural-gas-supplied-by-russia-as-a-share-of-total/> (21.06.2021)

2. *զանաճույթ*



კასპიის ზღვის რეგიონის პოლიტიკური რუკა.

წყარო: Wikipedia Commons

3. დანართი



სამხრეთ კავკასიის მილსადენები - ბაქო-სუფსას ნავთობსადენი; ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი; ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი.

წყარო: Wikipedia Commons

4. დანართი



ნაბუკოს მილსადენის პროექტი.

წყარო: Wikipedia Commons

5. დანართი



სამხრეთის ნაკადის პროექტი

წყარო: Gazprom (2010). "South stream is estimated to cost EUR 15.5 billion". Retrieved from: <https://www.gazprom.com/press/news/2010/november/article106074/> (21.06.2021)

6. დაწართი



ტრანს-კასპიური მისადენის პროექტი.

7. დანართი



სამხრეთ კავკასიის გაზსადენი (SCP); ტრანს-ანატოლიის მილსადენი (TANAP); ტრანს-ადრიატიკის მილსადენი (TAP); ნაბუკო WEST-ის მილსადენი.


8. დანართი



სამხრეთ კავკასიის გაზსადენი (SCP); ტრანს-ანატოლიის მილსადენი (TANAP); ტრანს-ადრიატიკის მილსადენი (TAP).

წყარო: Southern Gas Corridor. Retrieved from: <https://www.sgc.az/en> (21.06.2021)

9. დანართი



ჩრდილოეთის ნაკადი 1; ჩრდილოეთის ნაკადი 2.

წყარო: Gazprom. Retrieved from: <https://www.gazprom.com/projects/nord-stream2/> (21.06.2021)

10. დანართი

ნაშრომში ნახსენები მილსადენების შესახებ ტექნიკური მონაცემები:

აკრონიმები	დასახელება	სიმძლავრე წელიწადში	ექსპლუატაციაში შესვლის (სავარუდო) თარიღი	სიგრძე	ტრანზიტი ქვეყნები
WREP	ბაქო-სუფსას ნავთობსადენი	6 მლნ. მ ³	1999	847 კმ	აზერბაიჯანი- საქართველო
	თებრიზ-ანკარას გაზსადენი	14 მლრ. მ ³	2001		ირანი-თურქეთი
BTC	ბაქო-თბილისის- ჯეიჰანის ნავთობსადენი	60 მლნ. მ ³	2006		აზერბაიჯანი- საქართველო- თურქეთი
SCP/BTE	ბაქო-თბილისი- ერზურუმის გაზსადენი	6 მლრ. მ ³	2006		აზერბაიჯანი- საქართველო- თურქეთი
TCP	ტრანს-კასპიური გაზსადენი	13-30 მლრ. მ ³	?	300 კმ	თურქმენეთი (ან ყაზახეთი)- აზერბაიჯანი
	სამხრეთის ნაკადი	63 მლრ. მ ³	გაუქმებულია	2500 კმ	რუსეთი- თურქეთი- ბულგარეთი- სერბეთი- უნგრეთი-ავსტრია
	ნაბუქოს გაზსადენი	31 მლრ. მ ³	გაუქმებულია	3893 კმ	თურქეთი- ბულგარეთი- რუმინეთი- უნგრეთი-ავსტრია
	ნაბუქო ვესტის პროექტი	10-23 მლრ. მ ³	გაუქმებულია	1329 კმ	თურქეთი- ბულგარეთი-

					რუმინეთი- უნგრეთი-ავსტრია
	თურქული ნაკადი	30 მლრ. მ ³	2016-2019	930 კმ	რუსეთი- თურქეთი
TANAP	ტრანს-ანატოლიის გაზსადენი	16-23 მლრ. მ ³	2019	1850 კმ	თურქეთი
TAP	ტრანს- ადრიატიკის გაზსადენი	10-20 მლრ. მ ³	2019	878 კმ	საბერძნეთი- ალბანეთი- იტალია
	ჩრდილოეთის ნაკადი	55 მლრ. მ ³	2012	1224 კმ	რუსეთი-გერმანია
	ჩრდილოეთის ნაკადი 2	55 მლრ. მ ³	2019-2021	1222 კმ	რუსეთი-გერმანია

11. დანართი

Russia as one of the major obstacles to the EU energy diversification policy



Museif Shaverdovi

Master Program of Diplomacy and International Politics

A thesis submitted for the degree of Master of Arts in Diplomacy and International Politics

Supervisor: Davit Macaberidze, PhD of Political Sciences, Assistant Professor at Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, 2021